

სოციალური

დავები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2014, №12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2014, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2014, №12

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2014, №12

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. სარჩოს დაკისრება

მარჩინალის გარდაცვალების გამო ყოველთვიური სარჩოს ოდენობის განსაზღვრა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-378-367(კ-13)

14 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სარჩოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 14 მარტს ნ. გ-მა და არასრულწლოვანი მ. გ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა თ. კ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელებმა მოპასუხეებად დაასახელეს ქ. თბილისის მერია, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური, შპს „ს...“, შპს „ჯ...“, შპს „ა...“ და დ. გ-ა. მოსარჩელებმა მოპასუხეთათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, ან გარდაცვლილი ნ. გ-ი ნ. გ-ის შვილი და არასრულწლოვანი მ. გ-ის მამა იყო. ნ. გ-ი 2009 წლის 9 მარტის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ს...“-ში, მემონტაჟედ იყო დასაქმებული. 2009 წლის 26 აპრილს ნ. გ-ი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შპს „ს...-ის“ კუთვნილი შენობის ჩამონგრევის გამო გარდაიცვალა. შენობის ჩამონგრევა გამოიწვია მასში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა. შპს „ს...-ის“ კუთვნილ შენობაში, მდებარე ... ქ. №5ა სარეკონსტრუქციო სამუშაოებს შპს „ს...-ის“ დაკვეთით აწარმოებდა შპს „ჯ...“ და შპს „ა...“ ისე, რომ არ არსებობდა სათანადო ნებართვა. ამასთან, შპს „ა...-ის“ თანამშრომელი დ. გ-ა სარეკონსტრუქციო სამუშაოებს კონსტრუქციული ნახაზებისა და პროექტის გარეშე აწარმოებდა. დ. გ-ას მიმართ აღძრული

სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას შენობის ყოფილი მე-საკუთრის შპს „თ...“ წარდგენილ იქნა მხოლოდ 1965 წელს დამუშავებული შენობის კონსტრუქციული ნახაზი.

მოსარჩელე მხარის მოსაზრებით ქ. თბილისში, ... ქ. №5ა-ში მდებარე შენობაში რეალთი შოუს პარალელურად სარეკონსტრუქციო სამუშაოების უნებართვოდ და არასწორად წარმოებაში გამოიწვია შენობის ნაწილის ჩამონგრევა, რამაც ნ. გ-ის გარდაცვალება გამოიწვია. ამდენად, შპს „ს...-მა“, დასაქმებულისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემო ვერ უზრუნველყო. იგი ასევე ვალდებული იყო სამუშაოების დაწყებამდე რეკონსტრუქციის განხორციელების ნებართვა მოეპოვებინა, რომელსაც გადასცემდა სამუშაოთა მწარმოებელს. შპს „ს...“-ს ასევე არ ჰქონდა საინჟინრო-გეოდეზიური კვლევის შესახებ დასკვნა, რაც „განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლისა და უსაფრთხოების შესახებ“, კანონის თანახმად ტელეცენტრის შენობის რეკონსტრუქციისას სავალდებულო იყო. მასვე თანამშრომლებისათვის არ მიუწოდებია ინფორმაცია ობიექტის საფრთხის ხარისხის შესახებ და არ გააჩნდა ავარიის შემთხვევაში ევაკუაციის გეგმა. თავის მხრივ, შპს „ჯ...“, შპს „ა...-ს“, და დ. გ-ას არ გააჩნდათ სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია. რაც შეეხება ქ. თბილისის მერიას, ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურსა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, მათ კანონისმიერი ვალდებულება ჰქონდათ განეხორციელებინათ კონტროლი, გამოევლინათ უნებართვოდ მიმდინარე მშენებლობა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებით შეეჩერებინათ იგი და სათანადო რეაგირება მოეხდინათ როგორც უნებართვო სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების, ისე მენარდის მიერ ლიცენზიის გარეშე სამუშაოთა წარმოების ფაქტზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ მოპასუხეებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლების, ასევე სამოქალაქო კოდექსის 408-415-ე, 997-998-ე, მე-1000, 1002-ე, 1004-ე და 1006-ე მუხლების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების სახით ერთჯერადად მ. გ-ის სასარგებლოდ 200 000 ლარის, ხოლო ნ. გ-ის სასარგებლოდ 1000 ლარის (სიმბოლურად) ანაზღაურება უნდა დაეკისროთ. მათვე მ. გ-ის სასარგებლოდ მის სრულწლოვანების მიღწევამდე ყოველთვიური სარჩოს – 1000 ლარის გადახდა უნდა დაეკისროთ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიმართ არ დაკმაყოფილდა. მ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის – თ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა სარჩოს დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეებს – თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, შპს „ს...-ს“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ (ყოფილი შპს „ა...“) და დ. გ-ას სოლიდარულად დაეკისრათ მ. გ-ის (დაბადებული 2005 წლის 4 აპრილს) სასარგებლოდ სარჩოს სახით ყოველთვიურად 743 ლარის ანაზღაურება სრულწლოვანების მიღწევამდე. მოსარჩელებს უარი ეთქვათ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრებით ნ. გ-მა, არასრულწლოვანი მ. გ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გაასაჩივრეს. შპს „ს...-მა“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ (ყოფილი შპს „ა...“) და დ. გ-ამ შეგებებული სააპელაციო საჩივრები წარადგინეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის, არასრულწლოვანი მ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის – თ. კ-ის სააპელაციო საჩივარი და შპს „ს...-ის“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ და დ. გ-ას შეგებებული სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის სარჩოს დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. გ-ს და არასრულწლოვანი მ. გ-ის კანონიერ წარმომადგენელს თ. კ-ს უარი ეთქვათ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის სარჩოს თანხის დაკისრებაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ნაწილობრივ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემ-

დეგი ფაქტობრივი გარემოებები: შპს „ს...-სა“ და ნ. გ-ს შორის 2009 წლის 9 მარტს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების თანახმად ნ. გ-ი იყო მემონტაჟე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2009 წლის 9 მარტიდან 2009 წლის 9 ივნისამდე. დაქირავებულის შრომის ანაზღაურება 900 ლარს (დაქვითული) შეადგენდა. სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ნ. გ-ს შორის 2009 წლის 16 აპრილის შრომითი ხელშეკრულების თანახმად, ნ. გ-ს ეკავა მემონტაჟის თანამდებობა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2009 წლის 23 აპრილიდან 2009 წლის 1 აგვისტომდე. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება შეადგენდა 880 ლარს. დაბადების მონმობის თანახმად, ნ. გ-ი არის ნ. გ-ის შვილი. ასევე, მ. გ-ის დაბადების მონმობის მიხედვით, მ. გ-ი არის ნ. გ-ის შვილი, დაბადებული 2005 წლის 4 აპრილს.

2008 წლის 19 ნოემბერს შპს „ს...-სა“ და შპს „ჯ...“ შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანი იყო ქ. თბილისში, ... №5ა-ში მდებარე 800 კვ.მ.-ში მდებარე ქონების ევროსტანდარტების შესაბამისად სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესრულება. ხელშეკრულების 2.1. პუნქტის თანახმად, მენარდე უფლებამოსილია დაიქირავოს სხვა ორგანიზაცია/ორგანიზაციები სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად. 2008 წლის 21 ნოემბერს შპს „ჯ...“ და შპს „ა...-ს“ შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანი იყო ქ. თბილისში, ... №5ა-ში მდებარე 800 კვ.მ.-ში მდებარე ქონების ევროსტანდარტების შესაბამისად არქიტექტურული და სარემონტო სამუშაოების შესრულება. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, მენარდე უფლებამოსილია დაიქირავოს სხვა ორგანიზაცია/ორგანიზაციები სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად. 2008 წლის 22 ნოემბერს შპს „ა...-სა“ და მუშაკს/მშენებელ დ. გ-ას შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანი იყო „...-ის“ კუთვნილ შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ხელშეკრულების 6.1 პუნქტის თანახმად, მუშაკი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას და პასუხისმგებელია ჩასატარებელი სამუშაოების ხარისხზე, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე, სამუშაოების ჩატარების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2009 წლის 12 ნოემბრის განაჩენით დ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-

ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით. აღნიშნული განაჩენის მიხედვით დ. გ-ამ ჩაიდინა უსაფრთხოების წესების დარღვევა სამშენებლო სამუშაოს წარმოებისას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანება. ასევე, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. აღნიშნული განაჩენით დადგენილია, რომ დ. გ-ას მიერ სამშენებლო სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევამ 2009 წლის 26 აპრილს, დაახლოებით 05:00 საათზე, გამოიწვია ქ. თბილისში, ... ქ. №5ა-ში მდებარე შპს „ს...-ის“ ბალანსზე რიცხული შენობის ნაწილის ჩამონგრევა. ნანგრევებში გარდაიცვალა შპს „ს...-ს“ თანამშრომელი ნ. გ-ი. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის 2009 წლის 11 ივნისის №1610/18 დასკვნით დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №5ა-ში მდებარე შპს „ს...-ის“ ბალანსზე რიცხული შენობის ნგრევა გამოიწვია მშენებლობის დროს (1967 წლამდე) დაშვებული კონსტრუქციული ხასიათის ხარვეზებისა და შემდგომში მასზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების არაკვალიფიციურად წარმოების ერთობლიობამ. კონკრეტულ შემთხვევაში სამუშაოების ხელმძღვანელის (სამუშაოთა მწარმოებლის დ. გ-ას) მიერ დარღვეულია სამშენებლო ნორმებისა და წესების II-4-80ნ.-ის („უსაფრთხოების წესები მშენებლობაში“) 2.49-ის მოთხოვნები, რომლის თანახმად, დაშლის სამუშაოების დაწყების წინ უნდა შემუშავდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოებას.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ საქმეში არსებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის 2009 წლის 11 ივნისის №1610/18 დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. №5ა-ში მდებარე შპს „ს...-ის“ ბალანსზე რიცხულ შენობაში მე-6 ღერძზე განივი სიხისტის აგურის საყრდენი კედელი (დიაფრაგმა) I სართულზე დაშლილია და მის საკომპენსაციოდ ჩატარებულია გამაგრებითი სამუშაოები, კერძოდ, მე-6 ღერძზე მოწყობილია კოლონა (რაც თავდაპირველი პროექტით არ იყო გათვალისწინებული) და B და C ღერძებს შორის ლითონის შევლერებით მოწყობილია ლითონის კოჭები. თუმცა, ჩატარებული გამაგრებითი სამუშაოები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა მოხსნილი კედლის სიხისტის კომპენსაციას. ექსპერტიზაზე წარდგენილი არქიტექტურული პროექტით №6 ღერძზე გათვალისწინებული იყო 38 სმ. სისქის აგურის კედლის – დიაფრაგმის დაშლა I და II სართულზე მაშინ, როცა 38 სმ. სისქის კედელი – დიაფრაგმა ხელუხლებელი

რჩებოდა III, IV და V სართულებზე. იმავე ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შენობის ჩამონგრევის უბანში C ლერძზე არსებული კედლის უკან მიშენებული იყო ორსართულიანი შენობა (დემონტაჟი დაწყებული იყო), რომლის რკინაბეტონის სვეტი ხისტად იყო დაკავშირებული C ლერძზე არსებულ კედელთან ლითონის კოჭით. აღნიშნული სვეტის თავზე მიბმულია ფოლადის ბაგირი, რომლის ბოლო მოწყვეტილია და რკინაბეტონის აღნიშნული სვეტი დაქანებულია C ლერძზე ადრე არსებული კედლის მართობი მიმართულებით ისე, რომ კედელთან დამაკავშირებელი ლითონის კოჭი ნაწილობრივ დაძრულია გარე მიმართულებით (რკინაბეტონის სვეტის მიმართულებით). აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ რკინაბეტონის სვეტის წაქცევას აწარმოებდნენ მასზე მიბმული ფოლადის ბაგირით, რაც გამოიწვევდა C ლერძზე სილიკატური აგურით აშენებული კედლისა და მთლიანად შენობის რყევას განივი მიმართულებით (ამ მიმართულებით შენობას სათანადო სიხისტე არ ჰქონდა), რაც გამოიწვევდა შენობის მზიდი კონსტრუქციების დაზარვასა და შესაბამისად, მთლიანი შენობის მდგრადობის შესუსტებას. თუმცა შენობას რომ არ ჰქონოდა დეფექტები, რკინაბეტონის სვეტის მითითებული მეთოდით წაქცევის მცდელობა არ გამოიწვევდა ძირითადი შენობის მნიშვნელოვან დაზიანებას. სისხლის სამართლის საქმეზე დ. გ-ას მოწმედ დაკითხვის ოქმებით დგინდება, რომ იგი შპს „ა...-ის“ დირექციის დავალებით აწარმოებდა სამუშაოებს ...-ის“ კუთვნილ შენობაში, რომელიც რამდენიმე ავტონომიური ნაგებობისაგან შედგებოდა. სამუშაოს შესასრულებლად განხორციელდა ყველა ნაგებობაში არსებული ტიხრების დემონტაჟი და სამშენებლო ნაგვის გატანა, რაც აპრილის ბოლოსათვის დასრულებული იყო. სამუშაოების შესრულებისას ხელმძღვანელობდა არქიტექტურის მიერ გადაცემული ნახაზებით. დ. გ-ასათვის უცნობი იყო, არსებობდა თუ არა სამუშაოების ორგანიზების პროექტი, რადგან სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას ასეთი პროექტის შედგენა საჭირო არ იყო. მოწმემ ასევე განმარტა, რომ იგი იყო სამუშაოების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ე.წ. ადმინისტრაციული შენობაში განახორციელა I, II და III სართულების ტიხრებისა და დიაფრაგმის დემონტაჟი, ხოლო IV, V სართულები ხელუხლებელი დარჩა. მისი მოსაზრებით, ტიხრებისა და დიაფრაგმის დემონტაჟის განხორციელებამდე გამაგრებისათვის ჩატარებულ საკომპენსაციო სამუშაოებს უნდა უზრუნველყო შენობის მდგრადობა. იმავე სამუშაოების წარმოებისას მანვე განახორ-

ციელა ე.წ. ადმინისტრაციულ შენობაზე მიშენებული ორსართულიანი შენობის დემონტაჟი. შპს „თ...“ 2009 წლის 16 ივლისის წერილით განმარტებულია, რომ ქ. თბილისში, ... №5ა, ... „...-ის“ შენობაში („თ...“ ყოფილ შენობაში), რომელმაც ნგრევა განიცადა, პირველ სართულზე დაშლილი იყო განივი სიხისტის აგურის საყრდენი კედელი (დიაფრაგმა) და მის საკომპენსაციოდ ჩატარდა გამაგრებითი სამუშაოები, რაც მათი აზრით, რეკონსტრუქციად უნდა ჩაითვალოს. სპეციალისტის სახით მოწვეული ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომდეგობისა და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტის მოსაზრებით, „...-ის“ კუთვნილ ე.წ. ადმინისტრაციულ შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დროს, პირველ სართულზე განხორციელდა 40 სმ სისქის მქონე განივი კედლის, „დიაფრაგმის“ დემონტაჟი და მის ნაცვლად ლითონის კოჭები მოეწყო, რაც რეკონსტრუქციად უნდა ჩაითვალოს. პირველ სართულზე დემონტირებული კედელი, გარდა იმისა, რომ დიაფრაგმას წარმოადგენდა და შენობის კონსტრუქციული სქემის ნაწილი იყო, რომელიც მის საერთო სიხისტესა და მდგრადობაში მონაწილეობდა, მზიდ კედელსაც წარმოადგენდა მის ზევით არსებული II-V სართულის ანალოგიური კედლებისათვის. სპეციალისტის მოსაზრებით, აღნიშნული კედლის დემონტაჟი რეკონსტრუქციად უნდა იქნეს განხილული, რომელიც მშენებლობის ნებართვის გაცემას საჭიროებდა და სამუშაოები სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო პროექტების მიხედვით უნდა შესრულებულიყო. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მე-2 მუხლის 45-ე პუნქტის თანახმად, რეკონსტრუქცია არის მშენებლობა, რომლის მიზანია არსებული შენობა-ნაგებობების არსობრივი შეცვლა, მათი ფიზიკური, ხარისხობრივი ან/და თვისობრივი განახლების მიზნით. იმავე მუხლის 76-ე პუნქტის მიხედვით, შენობა-ნაგებობების შეკეთება (რემონტი, აღჭურვა/მოპირკეთება) არის მშენებლობა, რომლის დროსაც დეფექტები აღმოიფხვრება ან გაუმჯობესდება ისე, რომ არ იცვლება შენობა-ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები. იმავე დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შენობა-ნაგებობების შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვა არის ისეთი მშენებლობა,

რომლის დროსაც დეფექტები აღმოიფხვრება ისე, რომ არ იცვლება შენობა-ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები, კერძოდ, არ ხდება შენობის ინტერიერში ტიხრების გადაადგილება, ახლის დამატება ან/და მოკლება, ასევე მათში ლიობ(ებ)ის გამოჭრა, ხოლო 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე. ამგვარად განიმარტება სამშენებლო სამუშაოების სახეობები (რეკონსტრუქცია, დემონტაჟი, რემონტი) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის მე-14, 50-ე და მე-80 პუნქტებით. 2010 წლამდე მოქმედი „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა მშენებლობაზე, რეკონსტრუქციასა და დემონტაჟზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მიუხედავად შპს „ს...-სა“ და შპს „ჯ...“, თავის მხრივ, შპს „ჯ...“ და შპს „ა...-სა“ და შემდეგში შპს „ა...-სა“ და მუშაკს/მშენებელ დ. გ-ას შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულებების საგნად სარემონტო სამუშაოების შესრულების მითითებისა, ზემოაღნიშნული მტკიცებულებებისა და ნორმების გათვალისწინებით უდავოა, რომ შპს „ს...-ის“ კუთვნილ შენობაში მიმდინარეობდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები და შენობის დემონტაჟი. შესაბამისად, ქ. თბილისში, ... №5ა-ში მიმდინარე სამუშაოების წარმოება საჭიროებდა მშენებლობის ნებართვას.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხეების – შპს „ს...-ის“, შპს „ჯ...“ და შპს „ო...“ მსჯელობა მასზე, თითქოს სადავო იყოს მ. გ-ის ნ. გ-ის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტი. ამასთან დაკავშირებით დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ არასრულწლოვანი მ. გ-ი არის ნ. გ-ის შვილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება. მართალია, მოპასუხეები არ უთითებდნენ რაიმე გარემოების არსებობაზე, მაგრამ მშობლის აღნიშნული ვალდებულება იმპერატიულია. ამასთან, მონემ განმარტა, რომ ნ. გ-ი და თ. კ-ი ერთად ცხოვრობდნენ და მ. გ-ი და თ. კ-ი მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი გარემოებების მიხედვით მოსარჩელეთა მიმართ მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრებოდათ მოპასუხედ მითითებულ ქ.

თბილისის მერიასა და ქ. თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახურს. სააპელაციო პალატამ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ მოსარჩელეთათვის ზიანის მიყენება გამოწვეულია მოპასუხეების შპს „ს...-ის“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ და დ. გ-ას მოქმედებით (უმოქმედობით), ვინაიდან აღნიშნულ ობიექტზე მიმდინარეობდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები სათანადო ნებართვის გარეშე. ამასთან, სარეკონსტრუქციო სამუშაოებს აწარმოებდა სათანადო ლიცენზიის არმქონე პირი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხეების შპს „ს...-ს“, შპს „ჯ...“ და შპს „ო...“ მოსაზრება, რომ ზიანი მათ მოქმედებას არ გამოუწვევია, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე არსებული განაჩენით დადგენილ იქნა, რომ ნ. გ-ის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია დ. გ-ას მიერ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევამ. სააპელაციო პალატამ აღნიშნულთან დაკავშირებით გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ შპს „ს...-ის“ კუთვნილ შენობაში წარმოებდა სარეკონსტრუქციო სამუშაო, რომელიც საჭიროებდა მშენებლობის ნებართვას. „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მენაშენე არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კერძო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე, დამკვეთის მეშვეობით ან უშუალოდ, ურთიერთობა აქვს წინასაპროექტო, საპროექტო, სამშენებლო-სამონტაჟო და გამშვებ-გასამართი სამუშაოების შემსრულებელ მენარდესთან და რომლისგანაც მას საექსპლუატაციოდ გადაეცემა დასრულებული ობიექტი ან მისი ნაწილი. იმავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამკვეთი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კერძო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც მენაშენისაგან ხელშეკრულებით დელეგირებული აქვს მშენებლობის პროცესთან დაკავშირებულ იურიდიულ ან მენარმე ფიზიკურ პირთან უშუალო ურთიერთობის განხორციელების ფუნქციები. იმავე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მენარდე არის იურიდიული ან მენარმე ფიზიკური პირი, რომელიც ასრულებს წინასაპროექტო, საპროექტო-საძიებო, სამშენებლო-სამონტაჟო და გამშვებ-გასამართ სამუშაოებს, დადგენილი წესით მიღებული აქვს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზია და პასუხისმგებელია მის და ქვემენარდის მიერ წარმოებულ სამუშაოებზე. „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამკვეთმა საპროექტო-სამშენებლო

საქმიანობის განსახორციელებლად უნდა შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მენარდე, უზრუნველყოს მშენებლობის პროექტის ექსპერტიზა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აიღოს მშენებლობის დანყების ნებართვა უფლებამოსილი ორგანოსაგან, დააფინანსოს შესრულებული სამუშაოები. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც გააჩნია ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დამკვეთს უფლება აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გადასცეს თავისი უფლებამოსილება სხვა პირს, რომელიც სამშენებლო საქმიანობის ურთიერთობებში წარმოდგენილი იქნება დამკვეთის უფლებამოსილებით. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დამკვეთი ვალდებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოს მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების შედგენა. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ვერ დადგინდა დამკვეთის ვინაობა, მაშინ დამკვეთად ითვლება მესაკუთრე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მითითებას, რომ ქ. თბილისში, ... №5ა-ში სამუშაოების განსახორციელებლად მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვალდებულება გააჩნდა შპს „ჯ...“ სამუშაოების დანყებამდე, ვინაიდან მას ეკისრებოდა დამკვეთის ფუნქცია. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სამუშაოები ნაწარმოებია მშენებლობის ნებართვის მოპოვების გარეშე, დამდგარი ზიანისათვის პასუხისმგებელ პირად მიჩნეულ უნდა იქნეს ასევე შპს „ს...“. გარდა ამისა, შპს „ჯ...“ „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ვალდებული იყო მოეძიებია და სამშენებლო სამუშაოების წარმოება დაევალებინა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მენარდისათვის. სააპელაციო პალატამ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლო მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხეებმა ვერ დაადასტურეს სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისას „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით შპს „ჯ...“ და შპს „ო...“ ლიცენზირების ფაქტი. საქალაქო სასამართლომ

სწორად მიუთითა საქმეში არსებულ შპს „ს...-ის“ კუთვნილი შენობის მედეგობის გამოკვლევის თაობაზე შპს „თ...“ მიერ შედგენილ დასკვნაზე და სწორად მიიჩნია, რომ აღნიშნული ვერ ჩართვებოდა სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ პირთა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად, ვინაიდან იგი ვერ შეცვლიდა მშენებლობის ნებართვას. ამასთან, მედეგობის დასკვნა მიღებული იყო შენობის რეკონსტრუქციის დაწყების შემდეგ. გარდა ამისა, შპს „ს...-ს“ ევალბოდა ობიექტის საიმედო და უსაფრთხო მშენებლობისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა „განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. სააპელაციო პალატა ასევე დაეთანხმა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140, ასევე საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 (მოქმედებს 2009 წლის 28 მარტიდან) დადგენილებების მიხედვით, მშენებლობის ნებართვის მოპოვება გულისხმობს მშენებლობის განხორციელებისათვის საჭირო მთელი რიგი დოკუმენტების მოპოვებას, რაც უზრუნველყოფდა სამშენებლო სამუშაოების (რეკონსტრუქცია, დემონტაჟის) წარმოების ზუსტ განერას, არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შემუშავებას. ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმედ დაკითხული დ. გ-ა მიუთითებდა არქიტექტურული პროექტის არსებობაზე, აღნიშნული ვერ განაპირობებდა წარმოებული სამუშაოების კანონის მოთხოვნების დაცვით განხორციელებას. კანონის დაცვით გაცემული მშენებლობის ნებართვის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების წარმოება, ამასთან, ლიცენზირებული მენარდის მიერ სამუშაოების წარმოება ვარაუდის მაღალი ხარისხით განაპირობებდა სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებას და დამდგარი შედეგის თავიდან აცილებას.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას მასზე, რომ მოსარჩევეებისათვის ზიანის მიყენება ასევე გამოწვეულია ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უმოქმედობითაც, რაც გამოიხატა მის მიერ კანონისმიერი ვალდებულებების შეუსრულებლობაში. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, როგორც წესი, პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის ითვალისწინებს ოთხ აუცილებელ პირობას: 1. უნდა არსე-

ბობდეს ზიანი; 2. ზიანი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო; 3. ზიანის მიყენებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა არსებობდეს პირდაპირი და უშუალო კავშირი; 4. ზიანის მიმყენებელს ზიანის მიყენებაში უნდა მიუძღვოდეს ბრალი. სამოქალაქო კოდექსი იცნობს ბრალის ორ ფორმას – განზრახ და გაუფრთხილებლობით ბრალს. თავის მხრივ, გაუფრთხილებელი ბრალი იყოფა უხემ და მარტივ გაუფრთხილებლობად. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. ამდენად, ამ მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოს პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, თუ ზიანის მიყენება გამოწვეულია 1) სახელმწიფო მოსამსახურის 2) განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობითი ბრალით. ასევე, სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ესადა სარჩო. სამოქალაქო კოდექსი გაუფრთხილებელი ბრალის განმარტებას არ იძლევა, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიის გამოყენებით, მითითებული კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, გაუფრთხილებელ ბრალს მაშინ აქვს ადგილი, თუ: 1. პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა (თვითიმედოვნება) ან 2. პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ (დაუდევრობა). აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო სამართალურთიერთობებშიც გაუფრთხილებელი ბრალის არსებობის დასადასტურებლად აუცილებელია, რომ პირს გაცნობიერებული ჰქონდეს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება და ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას ან პირს გაცნობიერებული შეიძლება არ ჰქონდეს წინდახედულო-

ბის ნორმით აკრძალული ქმედება და არც ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამ კონკრეტული ქმედების გათვალისწინება მას უნდა ევალებოდეს და შეეძლოს კიდეც. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მართალია, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კანონისმიერი ვალდებულებაა განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი დედაქალაქში მიმდინარე ყველა სახის არქიტექტურულ-სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე, შესაბამისად, სამსახურს ევალება უნებართვოდ ან შეთანხმებული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის, რეკონსტრუქციის, დემონტაჟის გამოვლენა, დარღვევის გამოსწორებისა და დამრღვევის მიმართ საჯარიმო სანქციების გატარება, მაგრამ განსახილველ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ზედამხედველობის სამსახური ვალდებული იყო და შეეძლო კიდეც სცოდნოდა უკანონო მშენებლობის მიმდინარეობის კონკრეტული ფაქტი, რამაც შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ზედამხედველობის სამსახურის პასუხისმგებლობას, მის ბრალს შეიძლება მხოლოდ მაშინ ჰქონოდა ადგილი, თუ მას ეცოდინებოდა უკანონო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ და არ მიიღებდა სათანადო ზომებს მის აღმოსაფხვრელად, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ დაუდასტურებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ზედამხედველობის სამსახურმა იცოდა უკანონო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ და არ მიიღო სათანადო ზომები მის შესაჩერებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით ვინაიდან ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არანაირი განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალი არ მიუძღვოდა მოსარჩევეებისათვის ზიანის მიყენებაში, ამიტომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო პალატამ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის მერიას და ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს არც პირდაპირი მოქმედებით და არც უმოქმედობით მოსარჩევეებისათვის არანაირი ზიანი არ მიუყენებიათ, მათ არანაირი ბრალი არ მიუძღვით ზიანის გამომწვევი შედეგის დადგომაში, რის გამოც

არ არსებობდა მათთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე მოსარჩევებისათვის უარის თქმასთან დაკავშირებით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მორალური (არაქონებრივი) ზიანის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. დამკვიდრებული მოსაზრებით, მორალური ზიანი არის ის სულიერი განცდა და ფიზიკური ტკივილი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცდის ფიზიკური პირი. მორალური ზიანი თავისი ხარისხით და წარმოშობის საფუძვლის მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, პირდაპირ, ცალსახად არის დადგენილი, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი არსებობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებაც პირდაპირ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების სივრცე სამართალში შეზღუდულია, ზიანის სრული ანაზღაურება უპირობოდ ეხება მხოლოდ ქონებრივ ზიანს. მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ, თუ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება. მორალური ზიანის ანაზღაურება კანონით ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებშია მოქცეული, ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას კონკრეტული ნორმა უნდა დაედოს საფუძველად. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ასევე უპირველესად საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მეუღლის, შვილის, მშობლის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, ასეთი რამ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების უფლება გააჩნია მხოლოდ დაზარალებულს, რის გამოც მოსარჩევების მოთხოვნა თანხის ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო პალატა ასევე სრულად დაეთანხმა საქალაქო

სასამართლოს მსჯელობას მ. გ-ის სასარგებლოდ ასანაზღაურებელი ყოველთვიური სარჩოს ოდენობის დადგენასთან დაკავშირებით. მოსარჩელე მ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნაა მოპასუხეებს დაეკისროთ მოსარჩელის სრულწლოვანებამდე ყოველთვიური სარჩოს გადახდა 1000 ლარის ოდენობით. საქალაქო სასამართლომ ამ შემთხვევაშიც სწორად განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირის მიერ სხვა პირისათვის ზიანის მიყენება წარმოშობს ვალდებულებას. ასეთი ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა. მოცემული სახის ვალდებულებების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს სამართალდარღვევა, რომელსაც დელიქტურ ვალდებულებებს უწოდებენ. მართალია, მითითებულ მუხლში მოქმედებით მიყენებულ ზიანზე საუბარი, მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ზიანი შეიძლება პირს მხოლოდ აქტიური მოქმედებით მიადგეს. ზიანი შეიძლება უმოქმედობითაც იყოს გამოწვეული. თუ ზიანის მიყენებაში რამდენიმე პირი მონაწილეობს, მაშინ ისინი დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების ვალდებულება სოლიდარულად უნდა დაეკისროთ შპს „ს...-ს“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ და დ. გ-ას, თუმცა სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მსჯელობა ყოველთვიური სარჩოს ასევე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის დაკისრების თაობაზე. ამასთან, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, შპს „ს...-თან“ მიმართებაში საქალაქო სასამართლომ დამატებით სწორად განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის თანახმად, შენობის მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად წარმოიშვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი არ არის გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით. საქმეზე დადგენილად არის მიჩნეული, რომ არასრულწლოვანი მ. გ-ი არის გარდაცვლილი ნ. გ-ის შვილი. ნ. გ-ის გარდაცვალება გამოწვეულია მის სამუშაო ადგილას, შპს „ს...-ს“ კუთვნილ შენობაში მიმდინარე მშენებლობის სათანადო ნებართვის გარეშე წარმოებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო შენობის ჩამონგრევით. შრომის კოდექსის (2010 წლის 17 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) 35-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველ-

ყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. ამდენად, საწარმომ ვერ უზრუნველყო დასაქმებული პირისათვის შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნა და მისი კუთვნილი შენობის ჩამონგრევამ განაპირობა ზიანის დადგომა. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლით დადგენილია დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. კერძოდ, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებულებული იქნებოდა ეხადა სარჩო. ამდენად, მ. გ-ს, როგორც ნ. გ-ის არასრულწლოვან შვილს, უფლება აქვს მოითხოვოს მამის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და მოპასუხეთათვის სარჩოს დაკისრება მის სრულწლოვანებამდე. სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს იმასთან დაკავშირებით, რომ გარდაცვალებამდე ნ. გ-ი დასაქმებული იყო შპს „ს...“-ში და მისი შრომის ანაზღაურება იყო 900 ლარი (დაქვითული), ასევე, იგი შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელთან და ანაზღაურება შეადგენდა თვეში 880 ლარს. მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, გააჩნდა თუ არა ნ. გ-ს კიდევ სხვა წყაროდან შემოსავალი, რომლის მიღების უფლება გაქარწყლდა მისი გარდაცვალებით. სააპელაციო პალატა ასევე დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ ზიანის ოდენობა განისაზღვრება გარდაცვლილის ხელფასის (შემოსავლის) იმ ნილის ოდენობით, რომელსაც პირი იღებდა ან უფლება ჰქონდა მიეღო სარჩოს სახით მარჩენალის სიცოცხლემდე. საქმის მასალებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალა ის ფაქტი, რომ ნ. გ-ის ოჯახი შედგებოდა სამი სულისაგან. ოჯახის წევრები იყვნენ გარდაცვლილის კმაყოფაზე და შესაბამისად, მოპასუხეებს სოლიდარულად უნდა დაკისრებოდათ მ. გ-ის სასარგებლოდ მის სრულწლოვანებამდე თვეში 743 ლარის გადახდა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მ. გ-ის მოთხოვნა მოპასუხეებისათვის სარჩოს სახით 1000 ლარის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ საფუძვლიანი იყო. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს პირის უფლებების აღდგენას თავდაპირველი მდგომარეობის გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში პირს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი იმ სახით, რომ გარდაც-

ვლილი პირის მიერ მისი რჩენის ვალდებულება ჩანაცვლებულ იქნეს ზიანის მიმყენებელი პირის ვალდებულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეებისათვის იმაზე მეტი ოდენობის სარჩოს დაკისრების თაობაზე, რასაც იგი მიიღებდა მოპასუხეთა ქმედებას მარჩენალის გარდაცვალება რომ არ გამოენვია, საფუძველს მოკლებულია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით ნ. გ-მა და მ. გ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა – თ. კ-მა გაასაჩივრეს, რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლოს მხედველობის მიღმა დარჩა სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს შენობის ჩამონგრევის შემთხვევაში პირის გარდაცვალების გამო დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებას. ამდენად, აღნიშნული ნორმა დაზარალებულად მიიჩნევის იმ პირებსაც, ვინც ახლობლის გარდაცვალებით დაზარალდა იმ განცდებისა და სულიერი ტკივილის გამო, რაც ადამიანის გარდაცვალებამ გამოიწვია. რაც შეეხება ზიანს, აღნიშნული ნორმა არ გულისხმობს მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, არამედ მოიცავს მორალურ ზიანსაც. მით უმეტეს, რომ თავად სასამართლოებმა მიიჩნეს, რომ ნ. და მ. გ-ებმა მოპასუხეთა ქმედების შედეგად უდავოდ განიცადეს არამატერიალური ზიანი. კასატორები ასევე არ ეთანხმებიან სასამართლოს მიერ მხოლოდ რჩენაზე პასუხისმგებელი პირის გარდაცვალებამდე არსებული შემოსავლების გათვალისწინებით სარჩოს ოდენობის განსაზღვრას. კასატორების აზრით სასამართლოს უნდა ემსჯელა იმაზე, რომ სადღეისოდ უცნობია თუ რა ოდენობის შემოსავალი ექნებოდა გარდაცვლილს ან როგორ გაიზრდებოდა სარჩენი არასრულწლოვანის მოთხოვნები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ნ. გ-ისა და არასრულწლოვანი მ. გ-ის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმისა და ქ. თბილისის მერი-

ის, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისთვის სარჩოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. ნ. გ-ისა და არასრულწლოვანი მ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებაზე, მოპასუხეებისათვის არასრულწლოვანი მ. გ-ის სასარგებლოდ სარჩოს – 257 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-ისა და მ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის – თ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ (სარჩოს – 257 ლარის) ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება არასრულწლოვანი მ. გ-ის სასარგებლოდ ყოველთვიურად სარჩოს – 743 ლარის დაკისრების ნაწილში მონინაალმდევე მხარეს საკასაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებია. ამდენად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში. რაც შეეხება ნ. გ-ისა და არასრულწლოვანი მ. გ-ის საკასაციო საჩივარს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 19 სექტემბრის განჩინებით მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმისა და ქ. თბილისის მერიის, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისთვის სარჩოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილშიც შესულია კანონიერ ძალაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხეებისათვის არასრულწლოვანი მ. გ-ის სასარგებლოდ სარჩოს – 257 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილთან მიმართებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: შპს „ს...-სა“ და ნ. გ-ს შორის 2009 წლის 9 მარტს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების თანახმად, ნ. გ-ს მემონტაჟის თანამდებობა ეკავა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2009 წლის 9 მარტიდან 2009 წლის 9 ივნისამდე განსაზღვრული იყო. დაქირავებულის შრომის ანაზღაურება 900 ლარს (დაქვითული) შეადგენდა. სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ნ. გ-ს შორის 2009 წლის 16 აპრილის შრომითი ხელშეკრულების თანახმად, ნ. გ-ს მემონტაჟის თანამდებობა ეკავა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2009 წლის 23 აპრილიდან 2009 წლის 1 აგვისტომდე იყო განსაზღვრული. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება 880 ლარს შეადგენდა. საქმეში არსებული დაბადების მონომობის თანახმად, მ. გ-ი არის ნ. გ-ის შვილი, დაბადებული 2005 წლის 4 აპრილს.

2008 წლის 19 ნოემბერს შპს „ს...-სა“ და შპს „ჯ...“ შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანი ქ. თბილისში, ... №5ა-ში მდებარე 800 კვ.მ. ქონების ევროსტანდარტების შესაბამისად სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესრულება იყო. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, მენარდე უფლებამოსილია დაიქირავოს სხვა ორგანიზაცია/ორგანიზაციები სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად. 2008 წლის 21 ნოემბერს შპს „ჯ...“ და შპს „ა...-ს“ შორის ნარდობის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების საგანი ქ. თბილისში, ... №5ა-ში მდებარე 800 კვ.მ. ქონების ევროსტანდარტების შესაბამისად არქიტექტურული და სარემონტო სამუშაოების შესრულება იყო. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, მენარდე უფლებამოსილია დაიქირავოს სხვა ორგანიზაცია/ორგანიზაციები სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად. 2008 წლის 22 ნოემბერს შპს „ა...-სა“ და მუშაკს/მშენებელ დ. გ-ას შორის ნარდობის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების საგანი „ს...-ის“ კუთვნილ შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება იყო. ხელშეკრულების 6.1 პუნქტის თანახმად, მუშაკი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას და პასუხისმგებელია ჩასატარებელი სამუშაოების ხარისხზე, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე, სამუშაოების ჩატარების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2009 წლის 12 ნოემბრის განაჩენით დ. გ-ა ცნობილ იქნა

დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით. აღნიშნული განაჩენის მიხედვით დ. გ-ამ ჩაიდინა უსაფრთხოების წესების დარღვევა სამშენებლო სამუშაოს წარმოებისას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანება, ასევე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. აღნიშნული განაჩენის თანახმად, დ. გ-ას მიერ ჩადენილმა სამშენებლო სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევამ 2009 წლის 26 აპრილს, დაახლოებით 05:00 საათზე, ქ. თბილისში, ... ქ. №5ა-ში მდებარე შპს „ს...-ის“ ბალანსზე რიცხული შენობის ნაწილის ჩამონგრევა გამოიწვია. ნაგრევებში შპს „ს...-ის“ თანამშრომელი ნ. გ-ი გარდაიცვალა.

ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დგინდება, რომ შპს „ა...-ს“ (ს/კ ...) შეეცვალა საფირმო სახელწოდება და შესაბამისად, მისი უფლებამონაცვლე გახდა შპს „ო...“.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სასამართლოების მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირის მიერ სხვა პირისათვის ზიანის მიყენება წარმოშობს ვალდებულებას. ასეთი ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა. მოცემული სახის ვალდებულებების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს სამართალდარღვევა, რომელსაც დელიქტურ ვალდებულებებს უწოდებენ. საკასაციო პალატა მართებულად მიიჩნევს სასამართლოების მიერ შპს „ს...-თან“ მიმართებით სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის გამოყენებას. აღნიშნული ნორმის თანახმად, შენობის მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად წარმოიშვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი არ არის გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით. ნ. გ-ის გარდაცვალება მის სამუშაო ადგილას, შპს „ს...-ის“ კუთვნილ შენობაში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო შენობის ჩამონგრევით არის გამოწვეული. შრომის კოდექსის (2010 წლის 17 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) 35-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. ამდენად, საწარმომ დასაქმებული პირისათვის შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნა ვერ უზრუნველყო და მისი კუთვნილი შენობის ჩამონგრევამ ზიანის დადგომა განაპი-

რობა. გარდა ამისა, შპს „ს...-ის“ კუთვნილ შენობაში მიმდინარეობდა სარეკონსტრუქციო სამუშაო, რომელიც მშენებლობის ნებართვას საჭიროებდა. „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მენაშენე არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კერძო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე, დამკვეთის მეშვეობით ან უშუალოდ, ურთიერთობა აქვს წინასაპროექტო, საპროექტო, სამშენებლო-სამონტაჟო და გამშვებ-გასამართი სამუშაოების შემსრულებელ მენარდესთან და რომლისგანაც მას საექსპლუატაციოდ გადაეცემა დასრულებული ობიექტი ან მისი ნაწილი. იმავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამკვეთი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კერძო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც მენაშენისაგან ხელშეკრულებით დელეგირებული აქვს მშენებლობის პროცესთან დაკავშირებულ იურიდიულ ან მენარმე ფიზიკურ პირთან უშუალო ურთიერთობის განხორციელების ფუნქციები. იმავე მუხლის „თ“, ქვეპუნქტის თანახმად, მენარდე არის იურიდიული ან მენარმე ფიზიკური პირი, რომელიც ასრულებს წინასაპროექტო, საპროექტო-საძიებო, სამშენებლო-სამონტაჟო და გამშვებ-გასამართ სამუშაოებს, დადგენილი წესით მიღებული აქვს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზია და პასუხისმგებელია მის და ქვემენარდის მიერ წარმოებულ სამუშაოებზე. „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამკვეთმა საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად უნდა შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მენარდე, უზრუნველყოს მშენებლობის პროექტის ექსპერტიზა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აიღოს მშენებლობის დანყების ნებართვა უფლებამოსილი ორგანოსაგან, დააფინანსოს შესრულებული სამუშაოები. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასამენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც გააჩნია ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დამკვეთს უფლება აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გადასცეს თავისი უფლებამოსილება სხვა პირს, რომელიც სამშენებ-

ლო საქმიანობის ურთიერთობებში წარმოდგენილი იქნება დამკვეთის უფლებამოსილებით. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დამკვეთი ვალდებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოს მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების შედგენა. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ვერ დადგინდა დამკვეთის ვინაობა, მაშინ დამკვეთად ითვლება მესაკუთრე. აქედან გამომდინარე, ქ. თბილისში, ... №5ა-ში სამუშაოების განსახორციელებლად მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვალდებულება ჰქონდა შპს „ჯ...“ სამუშაოების დაწყებამდე, რადგან მას ეკისრებოდა დამკვეთის ფუნქცია. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სამუშაოები ნაწარმოებია მშენებლობის ნებართვის მოპოვების გარეშე, დამდგარი ზიანისათვის პასუხისმგებელ პირად მიჩნეულ უნდა იქნეს ასევე შპს „ს...“. გარდა ამისა, შპს „ჯ...“ „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ვალდებული იყო მოეძიებია და სამშენებლო სამუშაოების წარმოება დაევალებინა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მენარდისათვის. სააპელაციო პალატამ მართებულად დაადგინა ის გარემოება, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისას შპს „ჯ...“ და შპს „ა...-ს“ (შპს „ო...“) არ გააჩნდათ შესაბამისი ლიცენზია, რაც გათვალისწინებულია „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით. სააპელაციო პალატამ ასევე სწორად შეაფასა ის გარემოება, რომ „ს...-ის“ კუთვნილი შენობის მედეგობის გამოკვლევის თაობაზე შპს „თ...“ მიერ შედგენილი დასკვნა ვერ ჩაითვლებოდა სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ პირთა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად, ვინაიდან მას არ შეეძლო შეცვალა მშენებლობის ნებართვა, ასევე შენობის მედეგობის დასკვნა მიღებული იყო შენობის რეკონსტრუქციის დაწყების შემდეგ. ამასთან, შპს „ს...-ს“ ევალებოდა ობიექტის საიმედო და უსაფრთხო მშენებლობისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა „განსაკუთრებული მნიშვნელობის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური კონტროლისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სასამართლოთა მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140, ასევე საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 (მოქმედებს 2009 წლის 28 მარტიდან) დადგენილებების მიხედვით, მშენებ-

ლობის ნებართვის მოპოვება გულისხმობს მშენებლობის განხორციელებისათვის საჭირო მთელი რიგი დოკუმენტების მოპოვებას, რაც უზრუნველყოფდა სამშენებლო სამუშაოების (რეკონსტრუქცია, დემონტაჟის) წარმოების ზუსტ განერას, არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სექემის შემუშავებას. ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმედ დაკითხული დ. გ-ა მიუთითებდა არქიტექტურული პროექტის არსებობაზე, ამგვარი პროექტით წარმოებული სამუშაოები მაინც ვერ ჩაითვლებოდა კანონშესაბამისად, ვინაიდან არ არსებობდა სათანადო სამსახურის მიერ გაცემული მშენებლობის (რეკონსტრუქციის) ნებართვა. კანონის დაცვით გაცემული მშენებლობის ნებართვის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების წარმოება, ამასთან, ლიცენზირებული მენარდის მიერ სამუშაოების წარმოება ვარაუდის მაღალი ხარისხით განაპირობებდა სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებას და დამდგარი შედეგის თავიდან აცილებას.

საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება მოცემულ დავასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებას. აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ ზიანის მიყენებაში რამდენიმე პირი მონაწილეობს, მაშინ ისინი დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ამდენად, არასრულწლოვანი მ. გ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების ვალდებულების სოლიდარულად შპს „ს...-ის“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ და დ. გ-ასათვის დაკისრება მართებულია.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლზე, რომლის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. ამდენად, მ. გ-ს, როგორც ნ. გ-ის არასრულწლოვან შვილს, უფლება აქვს მოითხოვოს მამის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და მოპასუხეთათვის სარჩოს დაკისრება მის სრულწლოვანებამდე. საკასაციო საჩივრის დაშვებული ნაწილის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავის გადანყვეტი-სათვის მნიშვნელოვანია სარჩოს ოდენობის სწორად დადგენა, რათა გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირისათვის შესაბამისი ოდენობის სარჩოს გადახდით მიღწეულ იქნეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზანი. როგორც უკვე აღინიშნა,

ან გარდაცვლილი ნ. გ-ის შრომის ანაზღაურება (დაბეგრული) შეადგენდა 1780 (900+880) ლარს. მოსარჩელე მ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნაა მოპასუხეებს დაეკისროთ მოსარჩელის სრულწლოვანებამდე ყოველთვიური სარჩოს გადახდა 1000 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის ოდენობა განისაზღვრება გარდაცვლილის ხელფასის (შემოსავლის) იმ წილის ოდენობით, რომელსაც პირი იღებდა ან უფლება ჰქონდა მიეღო სარჩოს სახით მარჩენალის გარდაცვალებამდე. მიუხედავად აღნიშნული შეფასების მართებულობისა, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციების მიერ მ. გ-ის სასარგებლოდ სარჩოს ოდენობის განსაზღვრისათვის ნ. გ-ის ოჯახის შემადგენლობის გათვალისწინებას და აღნიშნავს, რომ პირის გარდაცვალების გამო სარჩენთათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ზიანის მიმყენებელს წარმოეშობა იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რაც დაზარალებული პირის გარდაცვალების მომენტში არსებობს. ამასთან, სარჩენ პირად მიიჩნევა არა ოჯახის ყველა წევრი, არამედ დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელსაც დამოუკიდებლად საკუთარი რჩენის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს არასრულწლოვნობის ან შრომისუუნარობის გამო, ასევე ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში (სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლი). ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ნ. გ-ის ოჯახი შედგებოდა სამი წევრისაგან და მას კმაყოფაზე ჰყავდა როგორც შვილი – მ. გ-ი, ასევე მეუღლე, საქმეში არ არის რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ არსებობდა ნ. გ-ის მხრიდან მეუღლის – თ. კ-ის კანონისმიერი რჩენის ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. გ-ის შემოსავლიდან მ. გ-ის წილის განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ორი პირი, თავად ნ. გ-ი და მ. გ-ი, ვინაიდან მხოლოდ მას ჰქონდა უფლება მიეღო მშობლის (მამის) შემოსავლის ნაწილი სარჩოს სახით. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 408.1 მუხლზე, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამდენად, მშობლების ვალდებულება – აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად (სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის

პირველ ნაწილში), მშობლის გარდაცვალების პირობებში, ამავე კოდექსის 1006.1 მუხლის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არასრულწლოვანი პირისათვის შესაბამისი ოდენობის სარჩოს დაწესებით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. გ-ს უფლება ჰქონდა მამის სიცოცხლეში მიეღო ნ. გ-ის კუთვნილი შემოსავლის ნაწილი. როგორც აღინიშნა ნ. გ-ის დაბეგრული ხელფასი ჯამში 1780 ლარს შეადგენდა. ვინაიდან არც სამოქალაქო კოდექსი და არც სადღეისოდ მოქმედი რაიმე სამართლებრივი ნორმა არ შეიცავს მარჩენალის გარდაცვალებისას სარჩენთათვის გადასახდელი სარჩოს გაანგარიშების წესს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არასრულწლოვან მ. გ-ისათვის გადასახდელი სარჩოს ოდენობა უნდა გამოთვლილიყო ნ. გ-ის რეალური შემოსავლის – სარჩოს გაყოფით გარდაცვლილის ჩათვლით სარჩენ პირთა ოდენობაზე. ამდენად, მ. გ-ის სარჩოს ოდენობა (დაბეგრული) უნდა განსაზღვრულიყო $890 (1780:2=890)$ ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს არასრულწლოვანი მ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის საკასაციო საჩივრის დაშვებულ (სარჩოს) ნაწილში გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და ამ ნაწილში (სარჩოს – დამატებით 147 ლარის (დაბეგრული)) სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩოს – დამატებით 147 ლარის (დაბეგრული) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში უნდა გაუქმდეს და მოპასუხეებს – შპს „ს...-ის“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ და დ. გ-ას უნდა დაეკისროთ არასრულწლოვან მ. გ-ის სასარგებლოდ სარჩოს სახით დამატებით 147 ლარის (დაბეგრული) გადახდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩოს – 110 ლარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩეს უცვლელი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოსარჩელე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოპასუხე-

ებს – შპს „ს...-ის“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ და დ. გ-ას სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის შესაბამისი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა სოლიდარულად უნდა დაეკისროთ.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. არასრულწლოვანი მ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის – თ. კ-ის საკასაციო საჩივარი (სარჩოს – 257 ლარის ნაწილში) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება არასრულწლოვანი მ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის – თ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნის მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩოს – 147 ლარის ოდენობით დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. არასრულწლოვანი მ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის – თ. კ-ის სარჩელი მოპასუხეებისათვის – შპს „ს...-ის“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ და დ. გ-ასათვის მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩოს - დამატებით 147 ლარის (დაბეგრილი) ოდენობით დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;

4. მოპასუხეებს – შპს „ს...-ის“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ და დ. გ-ას სოლიდარულად დაეკისროთ არასრულწლოვანი მ. გ-ის სასარგებლოდ მარჩენალის გარდაცვალების გამო ყოველთვიური სარჩოს – დამატებით 147 ლარის (დაბეგრილი) ანაზღაურება;

5. არასრულწლოვანი მ. გ-ის კანონიერი წარმომადგენლის – თ. კ-ის საკასაციო საჩივარი მოპასუხეებისათვის – შპს „ს...-ის“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ და დ. გ-ასათვის მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩოს – 110 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება;

6. მოპასუხეებს – შპს „ს...-ს“, შპს „ჯ...“, შპს „ო...“ და დ. გ-ას სოლიდარულად დაეკისროთ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის შესაბამისი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა.

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობის დაზიანების გამო სარჩოს დაკისრების საფუძველი

ბანძინება

№ბს-1800-1768(კ-11)

6 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: უბედური შემთხვევის შედეგად ზიანის მიყენება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ტ-ემ 28.09.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის ფორმა ტ-1 გაცემის დავალება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მუშაობდა №35 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ. 02.06.02წ. ხაშურის №35 საარჩევნო ოლქში არჩევნები არ ჩატარდა, რაც გამოწვეული იყო ცესკოს მიერ საარჩევნო კოდექსით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობით, საარჩევნო ოლქში ბიულეტენების დროულად არ მიწოდებით. საარჩევნო ბიულეტენები მიწოდებული იქნა 9 საათსა და 40 წუთზე, რის გამოც ვერ გაიხსნა 14 საარჩევნო უბანი. ცესკოს იმდროინდელი თავმჯდომარის ჯ.ლ-ის 27.05.02წ. №01-05/28 მიმართვის საფუძველზე ბიულეტენები უნდა დაბეჭდილიყო ქ.თბილისში, სს „...“ სტამბაში. საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესი შეფერხებით მიმდინარეობდა. მოგვიანებით

ცნობილი გახდა, რომ ბიულეტენების დაბეჭდვა სს „...“ ნაცვლად ... ქუჩაზე მდებარე სტამბაში უნდა მომხდარიყო. 01.06.02წ. ბიულეტენების ჩამოსატანად ქ.თბილისში მიაგვლინა საოლქო კომისიის წევრები, ხოლო თავად ხაშურის რაიონის სოფლებში აწარმოებდა დაბეჭდილი ბიულეტენების საუბნო საარჩევნო კომისიაში მიტანას. ასეთი საუბნო კომისია რაიონის მასშტაბით 27 იყო. ცესკოს მიერ საარჩევნო კოდექსით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის, ბიულეტენების დაგვიანებით მიწოდების გამო ვერ გაიხსნა 14 საარჩევნო უბანი, რაიონის სოფლებში, კერძოდ, 27 საარჩევნო უბანში, რომელთათვისაც ბიულეტენები ადგილობრივ სტამბაში დაიბეჭდა, არჩევნები ჩატარდა ქ.ხაშურის მასშტაბით. არჩევნების ჩაშლამ გამოიწვია სრული ქაოსი და აზრთა მითქმა-მოთქმა, კანდიდატები და მათი მომხრეები გამოხატავდნენ აგრესიას. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დაძაბულმა მდგომარეობამ და გაურკვევლობამ იმოქმედა მის ნერვიულ სისტემაზე, გახდა ცუდად, დაკარგა გონება, მას ადგილზე ჩაუტარდა სამედიცინო დახმარება. 03.06.02წ. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ცესკოს თავმჯდომარეს და მოითხოვა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იმ დღიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებოდა ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ, თანდათან გაუარესდა, ის გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი. ჯანმრთელობის შერყევა გამოწვეულია 02.06.02წ. №35 საარჩევნო ოლქში შექმნილი მდგომარეობით, რაც გამოწვეული იყო ცესკო-ს მიერ საარჩევნო კოდექსით დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებით და დაუდევრობით. არაერთჯერადი მიმართვის მიუხედავად ცესკო-ს ხელმძღვანელობა უარს აცხადებს უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და ფორმა ტ-1-ის შედგენაზე. მოსარჩელემ მოითხოვა ცესკოსათვის ფორმა ტ-1 ცაცემის დავალება 02.06.02წ. №35 საარჩევნო ოლქში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით.

სარჩელს თან დაერთო თ. ტ-ის განცხადებები ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიის, ცესკო-ს და სახალხო დამცველის სახელზე გაგზავნილი განცხადებები და ხსენებული ორგანოების პასუხები. საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, ხოლო ცესკო-ს და სახალხო დამცველის აპარატის პასუხებში აღინიშნა, რომ არ დასტურდება განმცხადებლის ავადმყოფობის კავშირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის შრომის მთავარმა ინსპექტორმა შიდა ქართლის და ცხინვალის მხარეში მ. ყ-მა 17.10.05 წ. შეადგინა დასკვნა უბედური შემთხვევის შესახებ, რომელშიც უბედური შემთხვევის მიზეზად მითითებულია არჩევნების არაორგანიზებულობით შექმნილი სტრესული სიტუაცია. დასკვნის სარეზოლუციო ნაწილით ადმინისტრაციას დაევალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ ტ-1 აქტის შედგენა დასკვნის შესაბამისად.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 26.10.05წ. განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

10.07.06წ. თ. ტ-ემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის შიდა ქართლში და ცხინვალის მხარეში მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის 17.10.05წ. დასკვნის შესრულება და მოპასუხისათვის მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ აქტის – ფორმა ტ-1 გაცემის დავალება; ყოველთვიური სარჩოს უვადოდ დანიშვნა 2002 წლის 2 ივნისიდან (სარგოს ცვალებადობის გათვალისწინებით); წამლების შექმნისათვის დამატებითი ხარჯის (9774ლ.) ანაზღაურება; საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის 33-ე პუნქტის შესაბამისად შრომისუნარიანობის სრული დაკარგვის გამო 5 წლის თანამდებობრივი სარგოს (7200ლ.) ანაზღაურება.

მოსარჩელის 16.08.06წ. გარდაცვალების გამო, 26.09.06წ. საოქმო განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა. 03.01.07წ. განჩინებით საქმეზე განახლდა საქმის წარმოება, მოსარჩელის უფლებამონაცვლედ მიჩნეული იქნა თ. ჩ-ი

საქალაქო სასამართლოს 14.05.07წ. საოქმო განჩინებით მოთხოვნა ფორმა ტ-1 გამოცემის დავალების ნაწილში გამოეყო საქმეს, დანარჩენ ნაწილში საქმის წარმოება შეჩერდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.07.07წ. გადაწყვეტილებით თ. ტ-ის უფლებამონაცვლის თ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ცესკო-ს დაევალა თ. ტ-ის მიმართ წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტის – ფორმა ტ-1-ის გაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.04.08წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ცესკო-ს სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა პირველი ინსტან-

ციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მოსარჩელის უფლება-
მონაცვლეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.07.09წ. №ბს-
1664-1618 (კ-08) განჩინებით თ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი ნაწი-
ლობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს
22.04.08წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათ-
ვის დაუბრუნდა იმავე პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 18.03.10წ. გადაწყვეტილებით ცესკო-ს საა-
პელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სა-
სამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახა-
ლი გადაწყვეტილება, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქართვე-
ლოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით თ. ჩ-ის საკასაციო
საჩივარი არ იქნა დაშვებული.

საქალაქო სასამართლოს 19.04.11წ. განჩინებით განახლდა
საქმის წარმოება შეჩერებულ ნაწილში.

10.05.11წ. თ. ჩ-მა დაზუსტებული სარჩელით მიმართა საქა-
ლაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა თ. ტ-ისათვის ჯან-
მრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დამდგარი ზია-
ნის ანაზღაურება 98 474 ლ. ოდენობით. მოთხოვნის სამართლებ-
რივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის
09.02.07წ. №48 ბრძანებულება, საქართველოს მთავრობის
24.03.07წ. №53 დადგენილება, საქართველოს შრომის კოდექ-
სი, სკ-ის 1006-ე მუხლი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ცესკოს
ბრალეული ქმედებით თ.ტ-ეს და მის უფლებამონაცვლეს თ.ჩ-ს
მიადგა მატერიალური ზიანი. ხაშურის საარჩევნო ოლქში ბიუ-
ლეტენები 02.06.02 წ. ცხრა საათსა და ორმოც წუთზე იქნა მი-
წოდებული, დაირღვა საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მოთ-
ხოვნა, რამაც გამოიწვია კანდიდატთა და მათი მომხრეთა გა-
ლიზიანება, სტრესული მდგომარეობის შექმნა №35 საოლქო სა-
არჩევნო კომისიაში, რამაც საბოლოოდ თ. ტ-ის ჯანმრთელობის
დაზიანება გამოიწვია. აღნიშნულის დასადასტურებლად მოსარ-
ჩელე უთითებს ამბულატორიული ავადმყოფობის №313 სამე-
დიცინო ბარათს, №35 საოლქო საარჩევნო კომისიის ყოფილ წევ-
რთა 25.07.05წ. აქტს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის შიდა
ქართლში და ცხინვალის მხარეში მთავარი სახელმწიფო ინსპექ-
ციის 17.10.05 წ. დასკვნას. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ
02.06.02წ. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მი-
ღებულმა ჯანმრთელობის დაზიანებამ გამოიწვია თ. ტ-ის სა-

ერთო და შრომისუნარიანობის თითქმის სრულად დაკარგვა, მას უფადოდ განესაზღვრა პირველი ჯგუფის ინვალიდობა. პარკინსონის დაავადების, ამიოსტატიკური სინდრომის, სუნთქვის მწვავე უკმარისობის, ფილტვების შეშუპების მიზეზით 02.08.06 წ. თ. ტ-ე 53 წლის ასაკში გარდაიცვალა. მოსარჩელე თელის, რომ ცესკოს ბრალეული ქმედებით თ. ტ-ეს და მის უფლებამონაცვლეს მიადგა მატერიალური ზიანი, საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999 წ. №48 ბრძანებულების მე-2, მე-3, მე-11, 24-ე, 33-ე, 36-ე, 50-ე პუნქტების საფუძველზე მოპასუხეს უნდა დაეკისროს ყოველთვიური სარჩო, ზიანის მიყენების დღიდან გარდაცვალებამდე, რაც შეადგენს 5760 ლარს, წამლების შეძენისათვის განეული ხარჯი – 9474 ლარი, შრომისუნარიანობის დაკარგვისათვის ერთჯერადი დახმარება 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით – 7200 ლარი, მარჩენალის გარდაცვალების გამო ყოველთვიური სარჩოს გადახდა გარდაცვალებიდან სარჩელის აღძვრამდე – 6840 ლარის ოდენობით, მოსარჩელე ითხოვს აგრეთვე მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ერთჯერადი დახმარების სახით 10 წლის სამსახურებრივი სარგოს – 67 200 ლარის დაკისრებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვს თ. ტ-ისათვის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას 98.474 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.06.11წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მოპასუხის ბრალეული ქმედების გამო დაუზიანდა ჯანმრთელობა ან გარდაცვლილ თ. ტ-ეს. საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის, სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-ის 992-ე მუხლების, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის 1.3, 1.5 მუხლების საფუძველზე სასამართლომ მიუთითა, რომ დამსაქმებელს დამდგარი ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელია, თუკი დამსაქმებელს განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალი მიუძღვის ზიანის დადგომამში. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არ არის ბრალეული თ. ტ-ის ჯანმრთელობის დაზიანებაში და მას არ უნდა დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა. საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-4, მე-14, 35-ე პუნქტებზე მითითებით სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელე თ. ჩ-ი არაუფ-

ლებამოსილია მოითხოვოს მეუღლის გარდაცვალების გამო მისთვის სარჩოს ანაზღაურება იმ მოტივით, რომ თ. ჩ-ი არ წარმოადგენს შრომისუუნარო პირს, რომელიც მეუღლის გარდაცვალებამდე იმყოფებოდა მეუღლის კმაყოფაზე, მე-14 პუნქტის სუბიექტი არის დაზარალებულის ან გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი შრომისუუნარო პირი და არა მისი ოჯახის ნებისმიერი პირი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ჩ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 11.10.11წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დელიქტური ვალდებულებები ატარებს ფარდობით ხასიათს. პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობა. პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები. აღნიშნული მუხლის მსგავსად საქართველოს პრეზიდენტის 09.02.99წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესი ითვალისწინებს დამსაქმებლის პასუხისმგებლობას ბრალის არსებობის შემთხვევაში. მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ჩაითვლება დამპირავების ბრალეულობით მიყენებულად, თუ იგი მოხდა მისგან შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესების, ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა უგულვებელყოფით ან არასათანადო შესრულებით. პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ამყარებს თავის მოთხოვნებს. საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-4, მე-14, 35-ე პუნქტებზე მითითებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თ. ჩ-ი არ არის უფლებამოსილი მეუღლის გარდაცვალების გამო სარჩელის ანაზღაურების მიღებაზე, ვინაიდან ის არ არის შრომისუუნარო პირი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა თ. ჩ-ის მიერ. კასატორი თვლის, რომ თ. ტ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა მოპასუხის ბრალეული ქმედებით, რის შესახებაც წარდგენილია დასკვნა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტორის ხელმოწერით. დასკვნაში მითითებულია, რომ თ. ტ-ის სტრესული მდგომარეობა და ჯანმრთელობის გაუარესების გამომწვევი მიზეზი მოპასუხის ბრალეულობით მოხდა. დასკვნის შესაბამისად თ. ტ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამონეწეულია

მოპასუხის მიერ არჩევნების არაორგანიზებულად ჩატარებით. კასატორი თვლის, რომ სახეზეა სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მიზეზობრივი კავშირი, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება. საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. ბრძანებულებით დამტკიცებულ წესზე მითითებით კასატორი თვლის, რომ არსებობს დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისათვის საჭირო პირობა.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება. მონინააღმდეგე მხარის – ცესკოს და მესამე პირის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა უარყვეს საკასაციო საჩივრის მოტივები და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ თ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი ზიანის ანაზღაურებას ითხოვს 2002 წლის ივნისიდან. საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი“ ითვალისწინებდა ზიანის ანაზღაურების გადახდას პირის მიერ შრომის უნარის სრულად ან ნაწილობრივ დაკარგვის შემთხვევაში (50-ე მუხ.), შრომის უნარის ხარისხის დაკარგვიდან სამი წლის გასვლის შემდეგ ზიანის ანაზღაურების შესახებ განცხადების შეტანის შემთხვევაში ხსენებული წესი ითვალისწინებდა ზიანის ანაზღაურებას განცხადების შეტანიდან (51-ე მუხ.). მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სამი წლის შემდეგ (28.09.05წ.), აღნიშნულის მიუხედავად, კასატორი ითხოვს ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურებას საარჩევნო პროცესის ჩაშლის მომენტიდან, როდესაც კასატორის აზრით ზიანი მიადგა თ. ტ-ეს (02.06.02წ.) მის გარდაცვალებამდე (02.08.2006წ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელი პირობათაგანია სამსახურებრივი მოვალე-

ობების შესრულებასა და თ. ტ-ის დაავადებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. მიზეზობრივი კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია, რაც გულისხმობს ორი მოვლენის არა უზრალო თანმიმდევრობას, არამედ შედეგის უცილობელ თანმიმდევრობას თავისი მიზეზის მიმართ. მიზეზობრიობის მთავარი მომენტია არსებითი კავშირი, სადაც დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. საქმის მასალებით ირკვევა, რომ №35 ხაშურის საარჩევნო ოლქის №14 საარჩევნო უბანზე არჩევნების ჩაშლა გამოიწვია ბიულეტენების დაგვიანებით მიწოდებამ (საარჩევნო ბიულეტენები საარჩევნო ოლქში 09:40 საათზე იქნა წარდგენილი). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 02.06.02წ. არჩევნების ჩატარების დროს მოქმედი 02.08.01წ. ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51.9 მუხლის თანახმად ცესკოს კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის უნდა გადაეცა საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები. თავის მხრივ, საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს, კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა, გადასცემდა საუბნო საარჩევნო კომისიებს. საარჩევნო ბიულეტენების მიწოდებაზე პასუხისმგებელი იყო ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ბიულეტენების დაბეჭდვას ახდენდა სტაბმა. 27.05.02წ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ №01-05/285 წერილით მიმართ სს „...“ დირექტორს ქალაქ ხაშურის საკრებულოსა და გამგებლის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის შესახებ. შემდგომში ცესკოს შეკვეთა შესასრულებლად ... ქუჩაზე მდებარე სტამბას გადაეცა. დანადგარის მწყობრიდან გამოსვლის გამო საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვა დაგვიანდა, ცესკოს საარჩევნო ბიულეტენები არ წარდგენია საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად, ცესკომ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ვერ მოახდინა ბიულეტენების საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში მიწოდება. ბიულეტენების ვადაში მიწოდებლობა არჩევნებამდე ცნობილი იყო თ. ტ-ისათვის, ვინაიდან საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებდა ბიულეტენების წარდგენას არჩევნებამდე ორი დღით ადრე. ამდენად, დამდგარი შედეგი ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის არჩევნების დაწყებამდე. ცესკოს მიერ საარჩევნო ბიულეტენების მიწოდებლობის მითითება, რაც საფუძვლად დაე-

დო მოსარჩელის მოთხოვნას, არ აკისრებდა რაიმე პასუხისმგებლობას საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. იმჟამად მოქმედი საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვაზე პასუხისმგებელი იყო ცენტრალური საარჩევნო კომისია (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის უზრუნველყოფა საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალა 02.06.02წ. არჩევნების შემდეგ, კერძოდ, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ 14.08.03წ. კანონით შეტანილი ცვლილებებით), ამდენად, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისთვის ცნობილი იყო, რომ ბიულეტენების დაგვიანებით დაბეჭდვაზე და შესაბამისად ხაშურის საარჩევნო ოლქის რამოდენიმე უბანზე არჩევნების ჩაშლისათვის მას პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა, არჩევნების ჩაშლა გამოწვეული იყო საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შესაბამისად საშუალო მგრძნობიარობის მქონე ადამიანისათვის შექმნილი ვითარება არ ქმნიდა განსაკუთრებული განცდების საფუძველს. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შედგა ოქმი ბიულეტენების დაგვიანებით მიღების შესახებ, საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ქ.ხაშურში არჩევნების გადადების შესახებ (ხაშურის რაიონის სოფლებში (27 უბანში) იმ დღეს არჩევნები ჩატარდა). კასატორი ვერ უთითებს თუ კონკრეტულად რაში ვლინდებოდა კენჭისყრის დღეს დეპუტატობის კანდიდატთა და მათი მომხრეთა მხრიდან აგრესიული ქცევა, ასეთის არსებობის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე, როგორც საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად თავად იყო უფლებამოსილი და ვალდებულიც მიეღო შექმნილი მდგომარეობის ადექვატური, კანონმდებლობით განსაზღვრული ზომები, მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისადმი და საჭიროების შემთხვევაში მოეთხოვა საარჩევნო ოლქის კომისიის შენობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. თ. ტ-ეს სამართალდამცავი ორგანოებისათვის არ მიუმართავს, საქმის მასალებით არ დასტურდება რაიმე ექსცესების არსებობა, თ. ტ-ის მიმართ რაიმე ზემოქმედება, მოსარჩელეს არ დაუსახელებია აგრესიული მოქმედების ჩამდენი კონკრეტული სუბიექტი, აგრესიის გამოვლენის კონკრეტული ფორმები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლებრივი დაცვა ორიენტირებულია საშუალო მგრძნობიარობის მქონე ადამიანზე („ნორმალური მგრძნობიარობის“ კრიტე-

რიუმი), ამასთანავე, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ფუნქციონალური დატვირთვა გულისხმობდა და მოითხოვდა კიდევ ამ თანამდებობის დამკავებელი პირისაგან კონფლიქტური სიტუაციებით წარმოქმნილ ურთიერთობებში მონაწილეობის მზაობას, ერთგვარ სტრესგამძლეობას.

მხარეები არ უარყოფენ იმ გარემოებას, რომ სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ცესკოს თავმჯდომარისადმი 03.06.02წ. მიმართვის შემდეგ თ. ტ-ემ მუშაობა გააგრძელა სტამბაში. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვებიდან ორი წლის შემდეგ, კერძოდ, 22.12.04წ. მას დაუდგინდა მხედველობითი ინვალიდობა, რაც დასტურდება საქმეში დაცული საპენსიო მოწმობით. საქმის მასალებით არ დასტურდება კომისიის თავმჯდომარის ფუნქციის შესრულებასა და მხედველობითი ფუნქციის დაქვეითებას შორის რაიმე მიზეზობრივი კავშირის არსებობა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არ არის დაცული „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ 07.12.01წ. კანონის 1-ლი, 4.2 მუხლების მოთხოვნის შესაბამისად სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ შედგენილი დასკვნა ინვალიდობის მიზეზის შესახებ, რომელიც დაადასტურებდა, რომ თ. ტ-ის შესაძლებლობის შეზღუდვა საოლქო საარჩევნო კომისიაში მუშაობამ გამოიწვია. საქმეში დაცული ხაშურის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 01.07.04წ. ცნობის თანახმად, პირველი ჯგუფის ინვალიდობის დადგენისას შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზად მითითებულია საერთო დაავადება. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის 16.1 მუხლში შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრისას დაწესებულების მიერ დასადგენ მიზეზებს შორის მითითებულია: საერთო დაავადება, შრომითი დასახიჩრება, პროფესიული დაავადება, ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვა, შესაძლებლობის შეზღუდვა, რაც დაკავშირებულია სამხედრო ვალდებულების შესრულებისას მიღებულ ტრავმასთან ან დაავადებასთან და ა.შ.. მოცემულ შემთხვევაში თ. ტ-ისათვის შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზად მითითებული საერთო დაავადება დამატებით ადასტურებს მიზეზობრივი კავშირის არარსებობას მოსარჩელის დაავადებასა და მის საარჩევნო კომისიაში მუშაობასთან. 16.2 მუხლის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვა საერთო დაავადებასთან დაკავშირებულად ითვლება, თუ იგი კავშირში არ არის შრომით დასახიჩრებასთან, პროფესიულ და-

ავადებასთან. ამდენად, საარჩევნო ადმინისტრაციაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და ოთხი წლის შემდეგ თ. ტ-ის გარდაცვალებას შორის არ იკვეთება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

საქმის მასალებით არ დასტურდება აგრეთვე თ. ტ-ის დაავადება უბედური შემთხვევის შედეგად. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის შიდა ქართლისა და ცხინვალის მხარეში შრომის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის მ. ყ-ის დასკვნა უბედური შემთხვევის შესახებ შედგა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვებიდან სამი წლის შემდეგ (17.10.05წ.), დასკვნის მიხედვით 02.06.02წ. მომხდარია უბედური შემთხვევა, შემთხვევა გამოწვეულ იქნა შექმნილი სტრესული მდგომარეობით, გაურკვეველობით. საკასაციო პალატა თვლის, რომ ქართლის რეგიონის შრომის მთავარი ინსპექტორის მიერ 17.10.05წ. შედგენილი №04-08/01 დასკვნა დამოუკიდებლად არ ადასტურებს მიზეზობრივ კავშირს თ. ტ-ის საოლქო საარჩევნო კომისიაში სამსახურსა და ჯანმრთელობის მოშლას შორის. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომის და დასაქმების მინისტრის 04.04.1997წ. №39 ბრძანებით დამტკიცებული „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის“ დებულების თანახმად, უბედურ შემთხვევასა და სამუშაოს შესრულებას შორის მიზეზობრივი კავშირის დასადასტურებლად დგებოდა ფორმა ტ-1. თ. ტ-ემ არჩევნების დღიდან 3 წლის შემდეგ მიმართა ცესკოს „ფორმა ტ-1-ის“ შედგენის მოთხოვნით, რაზეც ცესკოს თავმჯდომარის 26.08.05წ. №01-03/549 წერილით უარი ეთქვა იმის გამო, რომ ცესკოს საქმიანობა 02.06.02წ. ადგილობრივ არჩევნებში არ იმყოფება რაიმე კავშირში თ. ტ-ის განცხადებაში აღნიშნულ ფაქტთან. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 06.09.05წ. №1995/04-5/1345-ტ წერილით თ. ტ-ეს განემარტა, რომ საქმეში დაცული სამედიცინო ცნობებით არ დასტურდება თ. ტ-ის ავადმყოფობის კავშირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს 18.03.01წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით თ. ტ-ის უფლებამონაცვლის თ. ჩ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს უარი ეთქვა საარჩევნო ადმინისტრაციისათვის დაწესებულებაში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტის – „ფორმა ტ-1-ის“ შედგენის დავალებაზე. ინსპექტორის 17.10.05წ. №04-08/01 დასკვნის მომზადების დროს მოქმედი საქართველოს შრომის, ჯანმრთე-

ლობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 16.11.04წ. №310/6 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – შრომის ინსპექციის“ დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, აგრეთვე ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-9 პუნქტის თანახმად სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელით წარუდგენდა დასკვნებს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლების მქონე (3.2 მუხ.) ინსპექციის უფროსს ან უფროსის მოადგილეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – შრომის ინსპექციის ლიკვიდაცია „საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 23.12.05წ. კანონის 50-ე მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გამოცხადდა, ამასთანავე მის საფუძველზე გამოცემული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 28.06.06წ. №177/6 ბრძანებით მოხდა 16.11.04წ. №310/6 ბრძანებით დამტკიცებული შრომის ინსპექციის დებულების ძალადაკარგულად გამოცხადება, დასკვნა ინსპექციის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მიერ ინსპექციის უფროსისათვის არ წარდგენილა და არ დამტკიცებულა, შესაბამისად, დასკვნა არ იწვევს სამართლებრივ შედეგს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია საწარმოო ტრავმით, პროფესიული დაავადებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს უბედური შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო. 17.10.05წ. დასკვნის თანახმად, 02.06.02წ. ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომის და დასაქმების მინისტრის 04.04.1997წ. ბრძანებით დამტკიცებული „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის“ დებულების 1.2 მუხლის თანახმად უბედურ შემთხვევად მიიჩნეოდა ფიზიკური ზემოქმედების (მწვავე ერთჯერადი მოწამვლები, თბური დარტყმები, დამწვრობები, მოყინვები, დახრჩობა, ელვისაგან დაზიანება, ცხოველებთან, მწერებთან და ქვეწარმავლებთან კონტაქტის დროს მიყენებული დაზიანებები,

ელექტროდენით, იონიზირებული გამოსხივებით, აფეთქებით, ავარიებით, შენობა-ნაგებობების დაშლით, სტიქიური უბედურებით და სხვა საგანგებო სიტუაციების) შედეგად მიყენებული დაზიანებები. უბედური შემთხვევა არის გაუთვალისწინებელი შემთხვევა, გარემოებათა უეცარი დამთხვევა, რომელმაც გამოიწვია სხეულის დაზიანება ან სიკვდილი. ზოგადად არ არის გამორიცხული ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად ზიანის მიყენება, ამასთანავე, უბედური შემთხვევის შედეგად ზიანის მიყენება არ უკავშირდება ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად ზიანის მიყენებას. საწარმოში უბედური შემთხვევა უკავშირდება ჯანმრთელობის ტრავმულ დაზიანებას, გარეგანი ზემოქმედების შედეგად მიყენებულ ფიზიკურ დაზიანებას დაკავშირებულს პირის შრომით საქმიანობასთან ან სამუშაო დროს. აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე იმჟამად მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის XI თავი, რომლის 154-ე მუხლის საფუძველზე მინისტრის 04.04.1997 წ. №39 ბრძანებით დამტკიცდა „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის“ დებულება. საარჩევნო ბიულეტენების საოლქო საარჩევნო კომისიაში დაგვიანებით წარმოდგენა, ამის გამო დაძაბული სიტუაციის შექმნა არ ადასტურებს უბედური შემთხვევის შედეგად მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანებას. შესაბამისად არ არსებობდა საარჩევნო ადმინისტრაციის ვალდებულება მოეხდინა უბედური შემთხვევის გამოკვლევა. ამასთანავე, არ დასტურდება ადმინისტრაციის მხრიდან იმჟამად მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების (უბედური შემთხვევის გამოკვლევის და აღრიცხვის) დარღვევა. საკასაციო პალატა თვლის, რომ სამსახურში შექმნილი სტრესული სიტუაცია, ემოციური დატვირთვა ვერ იქნება მიჩნეული უბედურ შემთხვევად. იმ პერიოდში მოქმედი ხსენებული დებულების 1.5 მუხლი ითვალისწინებდა სამედიცინო დანესებულების მიერ უბედური შემთხვევის შედეგად მიღებული ტრავმის სიმძიმის კატეგორიის შესახებ ცნობის გაცემას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქმეში არ არის დაცული აგრეთვე სასწრაფო სამედიცინო სამსახურის მიერ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 10.12.1997წ. კანონის 43.1 მუხლის შესაბამისად შედგენილი ჩანაწერი ხაშურის №35 საოლქო საარჩევნო კომისიაში სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახებისა და თ. გ. ისათვის სამედიცინო დამხარების აღმოჩენის შესახებ. მითითებული მუხლის მიხედვით ექიმი და სხვა სამედიცინო პერსონალი

ვალდებულია: დადგენილი წესით აწარმოოს ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში, არასამუშაო ადგილზე სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას წერილობით ასახოს და დანიშნულებისამებრ გადასცეს ინფორმაცია განუვლი სამედიცინო დახმარების შესახებ. ასეთი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება, ხოლო საქმეში დაცული №35 საოლქო საარჩევნო კომისიის ყოფილ წევრთა მიერ სამი წლის შემდეგ (25.07.05წ.) შედგენილი და ხელმოწერილი აქტი (№35 საოლქო საარჩევნო კომისიაში სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახების შესახებ), ვერცვლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ სამედიცინო პერსონალის მიერ შედგენილ დოკუმენტს და არ ადასტურებს 02.06.02წ. საოლქო საარჩევნო უბნებში არჩევნების ჩაშლასა და შემდგომში თ.ტ-ის ჯანმრთელობის მოშლას შორის, საერთო და შრომის უნარის დაკარგვას შორის მიზეზობრივ კავშირს, სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

დაუსაბუთებელია აგრეთვე კასატორის თ.ჩ-ის მოთხოვნა თ.ტ-ის გარდაცვალების გამო გარდაცვალებიდან სარჩელის აღძვრამდე ყოველთვიური სარჩოს შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით და მარჩენალის გარდაცვალების გამო ერთჯერადი დახმარების სახით 10 წლის სამსახურებრივი სარგოს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაკისრების შესახებ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში დაცულია სამი გარდაცვალების მონმობა, აქედან ორი ერთი და იგივე რეკვიზიტით (16.08.06წ. №198398), ხოლო მესამე გარდაცვალების №205788 მონმობა გაცემულია 13.10.06წ., მასზე დასმულია შტამპი „განმეორებითი“. თავდაპირველად წარდგენილ 16.08.06წ. გაცემულ №198398 გარდაცვალების მონმობაში გარდაცვალების მიზეზად მითითებულია სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ფილტვების შეშუპება, რაც არანაირად არ უკავშირდება 02.06.02წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს. იმავე თარიღით და იმავე ნომრით გაცემულ გარდაცვალების მონმობაში გარდაცვალების მიზეზად სუნთქვის მწვავე უკმარისობისა და ფილტვების შეშუპების გარდა დამატებით მითითებულია პარკინსონის დაავადება, ამიოსტატიკური სინდრომი. მოგვიანებით გაცემული 13.10.06წ. №205788 „განმეორებითი“ გარდაცვალების მონმობაში გარდაცვალების მი-

ზეზად მითითებულია: პარკინსონის დაავადება, ამიოსტატიკური სინდრომი, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ფილტვების შეშუპება. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის თანახმად სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებისა და ცვლილების შეტანა ხდება ჩანაწერებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანის აუცილებლობის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე. საქმეში არ მოიპოვება კანონმდებლობით გათვალისწინებული საბუთი, რომელიც გახდა გარდაცვალების მიზეზში ცვლილების შეტანის და განმეორებითი გარდაცვალების მონმობის გაცემის საფუძველი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.03.03წ. №54/წ ბრძანებით დამტკიცებული „სიკვდილის შესახებ სამედიცინო მონმობის შევსების და გაცემის ინსტრუქციის“ 1-ლი მუხლების თანახმად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში სიკვდილის ფაქტის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს სიკვდილის შესახებ სამედიცინო მონმობა. ინსტრუქციის 2.7 მუხლის თანახმად, თუ გაცემულ ან სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში წარმოდგენილ მონმობაში შემდგომში აღმოჩნდება შეცდომა ან დამატებითი გამოკვლევის საფუძველზე შეიცვალა დიაგნოზი, ჯანდაცვის დაწესებულების მიერ უნდა შეივსოს ახალი მონმობა ჩანაწერით „სიკვდილის შესახებ სამედიცინო მონმობის №... მაგიერ“, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. მოგვიანებით წარმოდგენილ – იგივე რეკვიზიტების მქონე (16.08.06წ. №198398) გარდაცვალების მონმობაში შეტანილია ცვლილება, დამატებულია გარდაცვალების გამომწვევი დაავადებები, ხოლო მესამე გარდაცვალების 13.10.06წ. №205788 მონმობაზე დასმულია შტამი „განმეორებითი“. საქმის მასალებიდან არ ირკვევა, თუ რომელი გარდაცვალების მონმობის განმეორებითი მონმობაა 13.10.06წ. №205788 მოგვიანებით გაცემული გარდაცვალების მონმობა. იმ შემთხვევაში, თუ საქმეში დაცული 16.08.06წ. №198398 გარდაცვალების მონმობა არის ახალი გარდაცვალების მონმობა, არ დასტურდება მისი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენა, ვინაიდან იგი გაცემულია თავდაპირველი გარდაცვალების მონმობის თარიღით და ნომრით, მას და პირველ გარდაცვალების მონმობას განასხვავებს ის, რომ გარდაცვალების მიზეზში ფილტვების შეშუპების და სუნთქვის მწვავე უკმარისობის შემდეგ გარდაცვალების მიზეზად დამატებით მითითებულია პარკინსონის დაავადება, ამიოსტატიკური სინდრომი.

გარდაცვალების მოწმობაში ცვლილების შეტანა საჭიროებს სამოქალაქო აქტების რეესტრში ცვლილების შეტანას, სამოქალაქო აქტების რეესტრში ცვლილების შეტანის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო ახალი („სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 110.2 მუხ.) მოწმობის გაცემა. საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ განმეორებითი მოწმობა გაიცემა სამოქალაქო რეესტრში არსებული ჩანაწერების საფუძველზე, განმეორებითი მოწმობის გაცემის წესი არ ითვალისწინებს შეცვლილი მონაცემების შეტანას განმეორებით მოწმობაში (122.1 მუხ.). ამდენად, გარდაცვალების შესახებ შემდგომში გაცემული ცნობები არ არის შედგენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არ ქმნის კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

გარდაცვალების კავშირი საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობასთან არ იკვეთება აგრეთვე საქმეში დაცული ავადმყოფობის სამედიცინო ბარათით. სამედიცინო ბარათი არის იმ პაციენტის ძირითადი სამედიცინო დოკუმენტი, რომელიც პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში იმყოფება აღრიცხვაზე და მკურნალობს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალების ცნობის გაცემასთან ერთად ბარათში აღინიშნება სიკვდილის თარიღი და მიზეზი. ბარათში თავიდანვე მითითებულია, რომ თ. ტ-ე იყო მხედველობითი ინვალიდი, ბოლო ჩანაწერი ბარათში 2004 წელს არის შესრულებული. საქმეში დაცული ამბულატორიული ავადმყოფობის ორი სამედიცინო ბარათი (№313 და №277) არ შეიცავს რაიმე მითითებას იმ დაავადებაზე, რომელმაც გამოიწვია გარდაცვალება. სამედიცინო ბარათი არც სამსახურებრივ საქმიანობასთან დაავადების მიზეზობრივი კავშირის დამდგენი დოკუმენტია, მიზეზობრივი კავშირი ფორმა ტ-1 საფუძველზე დგინდებოდა. სამედიცინო ბარათში აისახება პაციენტის მონაცემები, ჯანმრთელობის დიაგნოზი, ჩივილები, გამოკვლევის შედეგები, ავადმყოფობის განვითარების ისტორია, ის არ არის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაავადების მიზეზობრივი კავშირის დამდგენი დოკუმენტი, ასეთი კავშირის დადგენა არ არის შესაძლებელი ბარათში პაციენტის მოსაზრებების ასახვის საფუძველზე. სამედიცინო ბარათით ირკვევა, რომ თ. ტ-ეს 2003 წელს დაესვა დიაგნოზი – პარკინსონის დაავადება, შემდგომ წლებში დაავადება განიცდიდა პროგრესირებას და თ. ტ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო დამძიმდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ პარკინსონის და-

ავადებითა და ამიოსტატიკური სინდრომით დაავადება „პროფესიული დაავადებების ნუსხისა და იმ პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელსაც თანახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 13.07.07წ. №216/ნ ბრძანების თანახმად პარკინსონის დაავადება და ამიოსტატიკური სინდრომი არც ერთი პროფესიის რისკჯგუფს არ განეკუთვნება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ პერიოდში მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 33-ე, 36-ე მუხლები ერთჯერად დახმარებას შრომისუნარიანობის დაკარგვისათვის, აგრეთვე, მოსარჩელის გარდაცვალებისათვის ითვალისწინებდა შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 49-ე მუხლი) ითვალისწინებს ერთჯერადი დახმარების გაცემას მოსამსახურეზე თავდასხმის შედეგად დაღუპვის ან სხეულის დაზიანების შემთხვევაში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამასთანავე, სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მითითებული საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999წ. №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესი ძალდაკარგულია საქართველოს პრეზიდენტის 02.06.2007 №93 ბრძანებულებით. „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.07წ. №53 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დამსაქმებულის ჯანმრთელობას შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით და შრომის კოდექსი და სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის და თუ არ არის გასული მოთხოვნის წარდგენის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. დადგენილების 3.2. მუხლის თანახმად, სარჩოსა და სხვა გასაცემების გაცემის ვალდებულება წყდება 2007 წლის 1 მარტიდან, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებზეც არ განხორციელებულა მათი გაცემის ვალდებულების დაკისრება, მი-

თითებული ვალდებულებები აღარ შეიძლება წარმოიშვას. საქართველოს მთავრობის 01.03.13წ. №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშნისა და გაცემის წესი“, რომლითაც გაუქმდა საქართველოს მთავრობის 24.03.07წ. №53 დადგენილებით განსაზღვრული წესი, დახმარების დანიშნისთვის ითვალისწინებს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის წარდგენის საჭირობას, რომელშიც მითითებული იქნება შრომისუნარიანობის დაკარგვის მიზეზობრივი კავშირი პროფესიულ დაავადებასთან (6.2 მუხ.), რაც არ არის წარმოდგენილი. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქმეზე ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ თ. ტ-ეს მოპასუხის ბრალეული ქმედების გამო დაუზიანდა ჯანმრთელობა. საქმეში დაცული მასალებით არ დასტურდება მიზეზობრივი კავშირის არსებობა თ. ტ-ის საოლქო საარჩევნო კომისიაში მუშაობასა და მისი ჯანმრთელობის გაუარესებას და შემდგომში გარდაცვალებას შორის, რაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის აუცილებელი პირობათაგანია. შესაბამისად, არ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის, კერძოდ ყოველთვიური სარჩოს 5760 ლარის, წამლების შექენისათვის გაწეული ხარჯის – 9474 ლარის, შრომისუნარიანობის სრული დაკარგვისათვის ერთჯერადი დახმარების ხუთი წლის თანამდებობრივი სარგოს – 7200 ლარის, მარჩენალის გარდაცვალების გამო ყოველთვიური სარჩოს 6840 ლარის და ერთჯერადი დახმარების სახით 10 წლის სამსახურებრივი სარგოს 67200 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოსათვის გადახდის დაკისრების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, არ არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პირობა, რის გამოც სსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.10.11წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. კომპენსაციის ანაზღაურება სარეიტინგო ქულების კანონიერება

განმარტება

№ბს-323-319(კ-12)

12 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 8 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა გ. ხ-მა მოპასუხეების სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილების მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა მოსარჩელის ოჯახისათვის 96750 სარეიტინგო ქულის მინიჭების შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების გადაწყვეტილებისა და შესაბამისი რეგისტრაციის მონმობის ბათილად ცნობას; სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 20 ივლისის №04/29176 გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილების დავალდებულებას ხელახლა გადაეანგარიშებინა მოსარჩელის ოჯახის მიმართ მინიჭებული სარეიტინგო ქულა და მიენიჭებინა მისი ოჯახისათვის სოციალური მდგომარეობის ადეკვატურად ამსახველი ახალი სარეიტინგო ქულა (57000 ქულამდე).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილია გ. ხ-ის ოჯახის 2011 წლის 25 მარტის (ოჯახის

საიდენტიფიკაციო კოდი; ...) დეკლარაცია, რომლის ყველა გვერდის სისწორეს ხელის მოწერით ადასტურებს თავად გ. ხ-ი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 22.1 მუხლსა და ამავე კოდექსის 23-ე და 24-ე მუხლებზე, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177 მუხლზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და გაიზიარა მოპასუხე მხარის პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ გ. ხ-მა, როგორც ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, შევსებული ოჯახის დეკლარაციის შესაბამის გრაფაში ხელმოწერით დაადასტურა სოციალური აგენტის მიერ დეკლარირებული მონაცემები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დეკლარაციაში დაფიქსირებული და გ. ხ-ის ხელმოწერით დადასტურებული მონაცემები სააგენტოს მიერ პროგრამული წესით დამუშავებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებით დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობები) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის საფუძველზე, რის შედეგადაც ოჯახს მიენიჭა სარეიტინგო ქულა ანუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი პირობითი ერთეული.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, სარეიტინგო ქულა განიმარტა, როგორც პირობითი ერთეული, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელს.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით ოჯახის იდენტიფიკაციის შედეგად უფლებამოსილი პირის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და დადგენილი მეთოდოლოგიის გამოყენებით განისაზღვრება სარეიტინგო ქულა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით მინიჭებული სარეიტინგო ქულა მყარი ერთეულია, რომლის შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია მისი მინიჭებიდან სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ, გარდა მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტით სარეიტინგო ქულის მინიჭების თარიღად მიიჩნევა დადგენილი წესის შესაბამისად ოჯახის სო-

ციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების დღის მომდევნო ოცდამეათე კალენდარული დღე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის იმ მონაცემების კორექტირება, რომელთა შეცვლაც ინვესს სარეიტინგო ქულის ცვლილებას, შესაძლებელია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებიდან მომდევნო სამი თვის განმავლობაში. ამ კორექტირებასთან დაკავშირებით სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ კორექტირება დასაშვებია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით სააგენტო უფლებამოსილია, მიღებული ან აღმოჩენილი (გამოვლენილი), დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც უკავშირდება მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებით შეცვლას ან ოჯახის წევრის (უფლებამოსილი პირის) მიერ არასწორი მონაცემების მიწოდებას, მიიღოს გადაწყვეტილება სარეიტინგო ქულის არსებული წესით ცვლილების ან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შეწყვეტის თაობაზე, რაც ეცნობება დაინტერესებულ მხარეს. სარეიტინგო ქულის შეცვლა დასაშვებია სტიქიური უბედურების ან დაუძლეველი ძალის გამომწვევი სხვა მოვლენებით მიყენებული ზიანის ფარგლებშიც.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს რეგისტრირებული ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასება. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახს, რომელიც მიიჩნევს, რომ მისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ შეესაბამება მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, უფლება აქვს მოითხოვოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასება სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით და სადავო ურთიერთობის დროს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ვერ მიუთითა ოჯახის სოციალურ-

ეკონომიკური მდგომარეობის არსებითი ცვლილების გამომწვევ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც დასახელებულია მოცემულ საგამონაკლისო ნორმაში და გავლენა შეუძლია მოახდინოს უკვე მინიჭებულ სარეიტინგო ქულაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელესთან მიმართებაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადმინისტრაციული აქტების გამოცემისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 97-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

განსახილველი საქმიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვერ უთითებდა ისეთი არსებითი ცვლილების გამომწვევ გარემოებებზე, რაც გათვალისწინებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის მე-12 მუხლით, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა უკვე მინიჭებულ სარეიტინგო ქულაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ ჩათვალა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტომ კანონშესაბამისად უთხრა უარი გ. ხ-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, არ არსებობდა სოციალური მომსახურების ოზურგეთის სააგენტოს მიერ გ. ხ-ის მიმართ შევსებული ოჯახის დეკლარაციის, ამავე წელს გ. ხ-ის სახელზე გაცემული სოციალურად დაუცველ ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მონომობის და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 20 ივლისის №04/29176 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-მა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 თებერვლის განჩინებით გ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები და დამატებით აღნიშნა, რომ აპელანტი სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ ოჯახის დეკლარაციაში არასწორად მიეთითა კონკრეტული მონაცემები

(არაჯეროვნად იქნა შევსებული) და ადასტურებდა არსებული მონაცემების სისწორეს, ამასთანავე აპელანტი სადავოდ ხდოდა იმას, რომ ამ დეკლარაციის საფუძველზე გ. ხ-ის ოჯახს მიენიჭა 96750 სარეიტინგო ქულა, მაშინ, როცა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა 2005–2008–2011 წლებში არ გაუმჯობესებულა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო აქტების გამოცემის მომენტისათვის მოქმედი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად, ამა თუ იმ მაძიებლის კეთილდღეობის ინდექსის გამოთვლის პროცედურა ეფუძნება სოციალური აგენტის მიერ მისთვის ჩამორთმეული ინტერვიუს შედეგებს, ხოლო სარეიტინგო ქულა (პირობითი ერთეული, რომელიც მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ მაძიებელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი) დგინდება სპეციალური „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე. სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაქცია, აგრეთვე, იმ გარემოებაზე, რომ 2005 წლის შემდეგ აპელანტის ოჯახის შემადგენლობაში მოხდა ცვლილებები (გარდაეცვალა მეუღლე მ. ბ-ძე, ვაჟმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი), რაც თავის მხრივ გათვალისწინებული იქნა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სარეიტინგო ქულებით შეფასებისას.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-მა.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №51 დადგენილების მე-12 მუხლი, რადგანაც იგი არეგულირებს მაძიებელი ოჯახის ყოველწლიურ გეგმიურ შემოსმებებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადასინჯვის პერიოდულობას. ის, რომ №51 დადგენილებაში არაფერია ნათქვამი ქულათა გასაჩივრების წესის შესახებ, კასატორის მოსაზრებით, არ გულისხმობს იმას, რომ №51 დადგენილებით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ქულათა ოდენობის) გასაჩივრება არ შეიძლება. მისი მოსაზრებით, თუკი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად იქნება ცნობილი, მაშინ აღდგება ის მდგომარეობა, რაც ბათილად ცნობილი აქტის გამოცემამდე (ქულების დათვლამდე) იყო.

კასატორმა მიუთითა, რომ დეკლარაციაზე ხელმოწერით ხ-მა დაადასტურა 2011 წლის დეკლარაციაში შეტანილი მონაცე-

მეზის რეალობა, მაგრამ იგი ასაჩივრებს არა 2011 წლის დეკლარაციას და მასში შეტანილ მონაცემებს, არამედ ამ დეკლარაციის მონაცემების შედეგად მინიჭებულ ქულათა ოდენობას, თვლის, რომ ეს ქულათა ოდენობა დეკლარაციის მონაცემების არაადეკვატურია. ქულები კი გამოანგარიშებული იქნა დეკლარაციის შესებებიდან ერთი თვის შემდეგ, შესაბამისად დეკლარაციაზე ხელმოწერა კავშირში ვერ იქნება ერთი თვის მერე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მისი ოჯახისათვის 96750 სარეიტინგო ქულის მინიჭების შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების გადაწყვეტილებისა და შესაბამისი რეგისტრაციის მოწმობის ბათილად ცნობა; სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 20 ივლისის №04/29176 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილების დავალებულება, ხელახლა გადაიანგარიშოს მოსარჩელის ოჯახის მიმართ მინიჭებული სარეიტინგო ქულა და მიანიჭოს მისი ოჯახისათვის სოციალური მდგომარეობის ადეკვატურად ამსახველი ახალი სარეიტინგო ქულა (57000 ქულამდე).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ხ-ის ოჯახის (საიდენტიფიკაციო კოდი ...) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გადამოწმდა ოთხჯერ: 1) 02/12/2005წ. – 58500 სარეიტინგო ქულა; 2) 11/03/2008წ. – 115700 სარეიტინგო ქულა; 3) 25/02/2010 – 80660 სარეიტინგო ქულა; 4) 25/03/2011წ. – 96750 სარეიტინგო ქულა.

ამდენად, თითოეული გადამოწმების საფუძველზე კასატორისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა, რომელიც განსაზ-

ღვრავდა მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, არ ქმინდა მისთვის საარსებო შემწეობის მიღების პირობებს, კერძოდ, არ აკმაყოფილებდა არც „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მოთხოვნებს, რომლითაც საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა იყო 57001 და არც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებას, რომლითაც სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო დაზღვევის ზღვრული ქულა გახდა 70001.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე საქმეში წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. ხ-ის სასარჩელო განცხადება მოპასუხეების საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს და სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილების მიმართ მისი ოჯახისათვის 80660 სარეიტინგო ქულის მინიჭების შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილების გადაწყვეტილების, 2010 წლის 23 აპრილს გაცემული რეგისტრაციის მოწმობის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 11 ივნისის №02/03-11571 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის განყოფილებისათვის მოსარჩელის ოჯახის სარეიტინგო ქულათა ხელახლა გადაანგარიშების და მისი სოციალური მდგომარეობის ადეკვატურად ამსახველი ახალი სარეგისტრაციო მოწმობის (57 000 სარეიტინგო ქულამდე) გაცემის დავალების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, იმ პირობებში, როდესაც წინა სარეიტინგო ქულა არ ქმნიდა მოსარჩელისათვის საარსებო შემწეობის მიღების პირობებს, რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, კასატორი ვალდებულია დაასაბუთოს, თუ რაში გამოიხატა წინა სარეიტინგო ქულის მინიჭების შემდგომ მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესება. საგულისხმოა ასევე, რომ კასატორი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ოჯახის დეკლარაციაში არასწორად მიეთითა კონკრეტული მონაცემები (პრაჯეროვნად იქნა იგი შეესებული).

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დად-

გენილებით დამტკიცებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც დადგინდა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველი და რეგისტრირებული ოჯახების კეთილდღეობის დონის შეფასების წესი. მითითებული დადგენილების 1.1 მუხლის შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველ შინამეურნეობათა (შემდგომში-მაძიებელთა) კეთილდღეობის დონის შესაფასებლად ამ მეთოდოლოგიის მიხედვით გამოიყენება შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსი, რომლის სტრუქტურა განისაზღვრება მე-2 მუხლით. მითითებული მუხლის მე-2 პუნქტით, მაძიებლის კეთილდღეობის ინდექსის გამოთვლა ხდება მონაცემთა საფუძველზე, რომელსაც მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი აფიქსირებს სპეციალურ კითხვარში – ოჯახის დეკლარაციაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) უფლებამოსილი პირის (შემდგომში – ინტერვიუერი) დახმარებით. ხოლო მე-3 პუნქტის შესაბამისად, ოჯახის დეკლარაციაში ფიქსირდება მაძიებლის მახასიათებლების ყველა ის მნიშვნელობა, რომლებიც გამოიყენება კეთილდღეობის ინდექსის გამოსათვლელ ფორმულაში.

სარეიტინგო ქულების გამოთვლის მეთოდოლოგიის სპეციფიკა საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს გაიზიაროს მონინალმდევე მხარის მითითება იმის თაობაზე, რომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ეჭვქვეშ დააყენოს სადავო აქტების კანონიერება იმ პირობებში, როდესაც თავად კასატორი სადავოდ არ ხდის სოციალური აგენტის მიერ დეკლარირებული მონაცემების სისწორეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს.

აღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ხ-ის მხრიდან წარმოდგენილი ვერ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები და არგუმენტები, რაც სასამართლოს მისცემდა იმის დადგენის შესაძლებლობას, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილება მოსარჩელის ოჯახისათვის 96750 სარეიტინგო ქულის მინიჭების შესახებ და სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 20 ივლისის №04/29176 გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ეწინააღმდეგება კანონს ან დარღვეულია მათი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი რომელიმე მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ დაურღვევია მატერიალური თუ საპროცესო სამართლის ნორმები, მან გამოიყენა ის კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის გამოც არ არსებობს განჩინების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ერთჯერადი კომპენსაციის დაკისრების საფუძველი

ბანკინება

№ბს-317-313(კ-12)

18 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ღ-ემ სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ მეუღლის რ.ნ-ის გარდაცვალების გამო კომპენსაციის თანხის – 15 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით. გორის რაიონული სასამართლოს 06.05.2011 წ. განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ნ. ღ-ემ 19.09.11წ. დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი მეუღლე რ. ნ-ე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და 02.03.2010წ. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, გულის იშემიური დაავადების გამო განვითარებული მიოკარდიუმის ინფარქტით გარდაიცვალა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელემ არაერთხელ უშედეგოდ მიმართა თავდაცვის სამინისტროს, რათა მიეღო შესაბამისი კომპენსაცია. მოსარჩელე მოთხოვნას ამყარებს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლზე და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07წ. №560-ე ბრძანების მე-40 მუხლზე.

მოპასუხე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ სასარჩელო განცხადება ხანდაზმულია. ამასთანავე, მოპასუხემ მიუთითა, რომ რ. ნ-ის გარდაცვალება გამონვეული არ ყოფილა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.11.2011 წ. გადაწყვეტილებით ნ. ღ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ რ. ნ-ე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-5 ქვეითი ბრიგადის ავტოპარკის ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოს შესრულებისას გარდაიცვალა. ამასთან, სასამართლო დაეყრდნო რა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.2007 წ. №560 ბრძანების მე-40 პუნქტსა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტს, აღნიშნა, რომ მოცემული ნორმების სწორად შეფარდებისთვის გადამწყვეტია სამხედრო მოსამსახურის მიერ მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობათა შესრულებასა და მის გარდაცვალებას შორის პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენა: სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალება გამოწვეული უნდა იყოს პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით. პირის გარდაცვალების დროს და ადგილს, კერძოდ იმას, გარდაიცვალა თუ არა პირი სამუშაო ადგილას ან სამუშაო საათების მიმდინარეობისას, არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კომპენსაციის გაცემისათვის. სასამართლომ სამედიცინო დასკვნაზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ნ-ის გარდაცვალების მიზეზი იყო მიოკარდიუმის ინფარქტი, რაც კარდიოლოგიურ დაავადებას წარმოადგენს და მისი განვითარება რ. ნ-ის მიერ სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული არ არის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.11.2011 წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.01.2012 წ. განჩინებით ნ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 390-ე მუხლზე დაყრდნობით სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და დამატებით აღნიშნა, რომ ნ. ლ-ემ ვერ წარმოადგინა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო საქმის მასალებით არ დასტურდება უშუალო მიზეზობრივი კავშირის არსებობა რ. ნ-ის გარდაცვალების გამომწვევ მიზეზსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შორის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.01.2012 წ. განჩინება საკასაციო წესით გა-

ასაჩივრა ნ. ლ-ემ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ თითქოს რ. ნ-ის გარდაცვალება არ იყო დაკავშირებული სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან. აღნიშნული გარემოების დასადგენად სასამართლოს უნდა მოენივია სპეციალისტი, რომელიც განსაზღვრავდა თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია რ. ნ-ის გარდაცვალება: სამსახურეობრივი მოვალებების შესრულებასთან დაკავშირებულმა დატვირთვამ, თუ რაიმე დაავადებამ. ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ რ. ნ-ე არ იყო გულის იშემიური დაავადების მატარებელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ კასატორის მეუღლე რ. ნ-ე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის მე-5 ქვეითი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის კაპრალად მსახურობდა. საქმის მასალებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილებისა და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილად არის ცნობილი, რომ 02.03.2010წ. რ. ნ-ე მე-5 ქვეითი ბრიგადის ავტოპარკის ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოს შესრულების დროს გულის იშემიური დაავადების გამო განვითარებული მიოკარდიუმის ინფარქტით გარდაიცვალა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 04.06.10წ. დასკვნის საფუძველზე თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 17.03.11წ. №7/594 გადაწყვეტილებით ნ. ლ-ეს უარი ეთქვა კომპენსაციის გაცემაზე, ვინაიდან რ. ნ-ის გარდაცვალების მიზეზად გულის იშემიური დაავადების შედეგად განვითარებული მიოკარდიუმის ინფარქტი დაფიქსირდა, რაც არ არის დაკავშირებული სამხედრო სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან. საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორის 30.04.10წ. დადგენილებით სისხლის სამართლის

საქმის №... წინასწარი გამოძიება მე-5 ქვეითი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის კაპრალ რ. ნ-ის გარდაცვალების ფაქტზე შეწყდა, ვინაიდან 24.03.10წ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ რ. ნ-ის სიკვდილის მიზეზი იყო მოიკარდიული ინფარქტი, განვითარებული გულის იშემიური დაავადების შედეგად, შესაბამისად არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება. სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა 23.07.10წ. მიმართა სადაზღვევო კომპანიას და აცნობა, რომ რ. ნ-ის გარდაცვალების ფაქტი არ იყო დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიას უნდა განეხილა თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების №9 დანართით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხი. სადაზღვევო კომპანია „...“ 28.07.10 წ. შეტყობინებით ნ.ღეს უარი ეთქვა თანხის ანაზღაურებაზე, ვინაიდან რ. ნ-ის გარდაცვალება მიჩნეული იქნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დამდგარ შემთხვევად, რაც 31.01.08წ. №172 ხელშეკრულების თანახმად არ განიხილება სადაზღვევო შემთხვევად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07წ. №560 ბრძანების მე-40 პუნქტზე და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07 წ. №560 ბრძანების მე-40 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურის ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირის დაღუპვის ან მიღებული ტრავმის შედეგად გამოწვეული ავადმყოფობით გარდაცვალების შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის ამ ბრძანების 42¹ მუხლით განსაზღვრული გარემოებები, მის ოჯახს მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში მყოფი პირის ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირის და-

ლუპვის სხვა შემთხვევაში მისი ოჯახის ერთ-ერთ ან რამდენიმე წევრს, მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, შეიძლება მიეცეს ერთჯერადი დახმარება შესაბამისი ინციდენტიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ოდენობით. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობებად ითვლება: სამხედრო წესდებით დადგენილ თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულება; მეთაურის (უფროსის) მიერ გაცემული ბრძანების, განკარგულების ან დასახული ამოცანის შესრულება; სამხედრო ნაწილის (დანესებულების) ტერიტორიაზე ყოფნა დღის განაწესით დადგენილი სამსახურებრივი დროის განმავლობაში, ან თუ ეს გამონკვეულია სამსახურებრივი საქმიანობით. საკასაციო პალატა თვლის, რომ ხსენებული ნორმები არ ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს, ვინაიდან აღნიშნული ნორმების გამოყენების, ერთჯერადი კომპენსაციის (15 ათასი ლარი) გაცემის პირობაა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასა და სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება. მიზეზობრივი კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია, რაც გულისხმობს ორი მოვლენის არა უბრალო მუდმივ თანმიმდევრობას, არამედ შედეგის უცილობელ თანმიმდევრობას თავისი მიზეზის მიმართ. მიზეზობრიობის მთავარ მომენტს წარმოადგენს არსებითი კავშირი, სადაც დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კაპრალ რ. ნ-ის გარდაცვალება არ არის გამონკვეული მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით. ის ფაქტი, რომ მოსამსახურე სამუშაო დროს და სამუშაო ადგილას გარდაიცვალა, არ წარმოადგენს კომპენსაციის მინიჭების უპირობო საფუძველს. საქმეზე დადგენილია, რომ რ. ნ-ის გარდაცვალების მიზეზი კარდიოლოგიური დაავადებაა, რაც თავისთავად დაკავშირებული არ არის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და გარდაცვალებას შორის არ იკვეთება არათუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, არამედ რაიმე რისკ-ფაქტორის არსებობა. ინფარქტი საკმაოდ ხშირად სწორედ გულის იშემიური დაავადების ფონზე ვითარდება, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ძირითადი რისკფაქტორებია: მაღალი არტერიული წნევა, ფსიქო-

ემოციური დატვირთვა და სხვ.. საქმის მასალებში დაცული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს მიერ შედგენილი ნამსახურობის ნუსხით დასტურდება, რომ კაპრალი რ. ნ-ე იყო ჯანმრთელი, მას არ აწუხებდა გულის დაავადებები, შესაბამისად რ. ნ-ეს არ ესაჭიროებოდა სამსახურის რაიმე განსაკუთრებული პირობების შექმნა. საქმის მასალებით არ დასტურდება აგრეთვე რაიმე განსაკუთრებული სამსახურებრივი დატვირთვა, სტრესული სიტუაციის არსებობა და სხვ.. გარდაცვლილის ოჯახისათვის თანხის გაცემის დავალებისათვის აუცილებელია, რომ სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების გამომწვევი მიზეზი უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უკავშირდებოდეს, სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალება გამომწვეული უნდა იყოს სწორედ იმით, რომ მან თავისი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულა ან ასეთ მოვალეობას ასრულებდა, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების ადგილს და დროს, კერძოდ იმას, რომ რ. ნ-ე გარდაიცვალა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამხედრო მოსამსახურისათვის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-16.4 მუხლით, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07 წ. №560 ბრძანების მე-40 მუხლით გათვალისწინებული გარანტიის შემოღება სწორედ იმ მოსაზრებით არის განპირობებული, რომ სხვა სახის სამსახურთან შედარებით, სამხედრო სამსახური, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფას, თავდასხმის მოგერიებას, სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვას, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მომეტებული საფრთხის შემცველია. აღნიშნული ესადაგება „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 4.1. მუხლის დებულებას იმის შესახებ, რომ სამხედრო მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიას სახელმწიფო იძლევა სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით. ის, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07 წ. №560 ბრძანების 40-ე მუხლით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების გაცემა უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით გამომწვეული მიზეზით გარდაცვალებას დასტურდება ამავე დადგენილების 42² პუნქტის შინაარსითაც, რომელიც ითვალისწინებს ერთჯერადი დახმარების გაცემის ვალდე-

ბულების გამომრიცხავ გარემოებებს (მე-40 პუნქტით გათვალისწინებული შედეგის დადგომა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან/და ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების ნორმების ან/და წინდახედულობის ნორმების უხეში დარღვევის შედეგად). 26.09.07წ. №560 ბრძანების მე-40 პუნქტის პირველი წინადადების შინაარსი ერთჯერადი დახმარების გაცემას უკავშირებს სამხედრო მოსამსახურის დაღუპვას ან გარდაცვალებას, გამონეულს მიღებული ტრავმის შედეგად, კომპენსაციის გაცემა უკავშირდება სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, რაც გულისხმობს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული მიზეზით გარდაცვალებას, წინააღმდეგ შეთხვევაში აზრს დაკარგავდა ბრძანების მე-40 პუნქტში მინისტრის 22.10.07 წ. №608 ბრძანებით დამატებული მეორე წინადადება, რომელშიც საუბარია დაღუპვის სხვა შემთხვევაზე. მე-40 პუნქტის მეორე წინადადება ითვალისწინებს ერთჯერადი დახმარების გაცემის შესაძლებლობას მოსამსახურის დაღუპვის სხვა შემთხვევაში ანუ ისეთ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვალება არ უკავშირდება სამხედრო სამსახურს, ასეთ შემთხვევაში ნორმის თანახმად დახმარება გაცემა მინისტრის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დახმარების ოდენობა ნორმით არ განისაზღვრება, დახმარების ოდენობა დგინდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კომპენსაციის გაცემა, მისი ოდენობა ასეთ შემთხვევაში შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის პროცესში საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.03.13 წ. №188 ბრძანებით „გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახზე ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ“ გარდაცვლილ რ. ნ-ის ოჯახს მიეცა ერთჯერადი დახმარება 2 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 04.06.10წ. დასკვნით, საქართველოს მთავარი პროკურორის დეპარტამენტის პროკურორის 30.04.10წ. №102100008 დადგენილებით, 24.03.10წ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით არ დადასტურდა რ. ნ-ის გარდაცვალების კავშირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და გარდაცვალებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა. აღნიშნულის საწინააღ-

მდევოდ კასატორს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, სასკ-ის 17.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმეზე შეგროვებული მტკიცებულებები საკმარისი იყო დავის გადასაწყვეტად, არ არსებობდა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის საჭიროება, მოსარჩელეს არ მიუთითებია მტკიცებულებების მიღების დამაბრკოლებელ გარემოებაზე, შესაბამისად საფუძველს არის მოკლებული კასატორის მითითება სსკ-ის 103-ე მუხლზე. სასკ-ის მე-19 მუხლის შესაბამისად სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, აღნიშნული ნორმა არ გამორიცხავს ამავე კოდექსის მე-17 მუხლის დანაწესს, სასკ-ის მე-19 მუხლი არ ნიშნავს სასამართლოს ვალდებულებას დაასაბუთოს სარჩელი. ამდენად, უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება რ. ნ-ის გარდაცვალებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან კავშირის არარსებობის შესახებ.

მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ სადაზღვევო კომპანია „...“ 28.07.2010წ. შეტყობინებით ნ. ღ-ეს უარი ეთქვა სადაზღვევო შემთხვევით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებაზე რ.ნ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების მოტივით. სადაზღვევო კომპანია „...“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების №9 დანართის შესაბამისად, სიცოცხლის დაზღვევა არ ვრცელდება პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დამდგარ შემთხვევაზე. საქმეში დაცული თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, გორის სამხედრო ჰოსპიტალის 01.06.10წ. №1/1041 წერილითა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 24.03.10წ. №26 დასკვნით, რ. ნ-ის გარდაცვალების მიზეზად მიჩნეულია გულის იშემიური დაავადების გამო განვითარებული მიოკარდიუმის ინფარქტი, რაც წარმოადგენს კარდიოლოგიურ დაავადებას, ქრონიკულ პათოლოგიურ პროცესს, რომლის კავშირი სამხედრო სამსახურთან არ იკვეთება. განსახილველ საქმეში მოსარჩელე ითხოვს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07წ. №560 ბრძანებით გათვალისწინებული დახმარების და არა სადაზღვევო თანხის გაცემას, სადაზღვევო კომპანია არ

არის განსახილველი დავის მონაწილე პირი, სადაზღვევო კომპანიას „...“, შეტყობინების გაგზავნის მიუხედავად, არ გამოუთქვამს თანხმობა სასკ-ის 34¹ მუხლის საფუძველზე საკასაციო ინსტანციაში მე-3 პირად ჩაბმაზე, შესაბამისად არ არსებობს კასატორის მოთხოვნით სადაზღვევო კომპანიის მოცემულ საქმეში ჩაბმის, სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის გამო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. ამასთანავე მოსარჩელეს აქვს სადაზღვევო კომპანიისადმი მოთხოვნის ცალკე წარდგენის შესაძლებლობა, რაც სხვა დავის საგანია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, არ არსებობს სსკ-ის 393.2 და 410-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობები, შესაბამისად არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ძალაში დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.01.12წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მიუღებელი სასაქონლო კომპენსაციის
ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სასჯელით**

№ბს-735-719(კ-12)

30 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელების
დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 28 თებერვალს კ. ყ-მა და თ. კ-ამ სასარჩელო გან-
ცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-
ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალუ-
რი მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელებმა სსიპ სო-
ციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 3 თებერვლის
№04/5885 წერილის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მიუ-
ღებელი სახელმწიფო კომპენსაციის, კერძოდ, თ. კ-ას სასარ-
გებლოდ – 3 360 ლარის, ხოლო კ. ყ-ის სასარგებლოდ – 2 800
ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

2012 წლის 19 მარტს მ. კ-მა სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახუ-
რების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომ-
სახურების სააგენტოს 2012 წლის 3 თებერვლის №04/5885 წე-
რილის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მიუღებელი სახელ-
მწიფო კომპენსაციის – 2 500 ლარის ანაზღაურების დაკისრება
მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2012 წლის 29 მარტის საოქმო განჩინებით საქ-
მე №3/1408-12 და საქმე №3/1069-12 გაერთიანდა ერთ წარმო-
ებად.

მოსარჩელების განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სა-

მინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, მათ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2010 წლის სექტემბრიდან დაენიშნათ სახელმწიფო კომპენსაცია, რასაც იღებდნენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის ი. ლ-ის 2010 წლის 24 ნოემბრის №04/07-2201, №04/07-2202 წერილებით (კ. ყ-ს და თ. კ-ას) და გარდაბნის რაიონული განყოფილების უფროსის 2010 წლის 15 სექტემბრის №05-19-40 წერილით (მ. კ-ს) ეცნობათ, რომ სახელმწიფო კომპენსაცია შეუჩერდათ/შეუწყდათ საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე.

მოსარჩელეთა მითითებით, კომპენსაციის შეჩერების საფუძველი გახდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, სადაც მითითებული იყო, რომ სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებოდა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირებს, რომლებიც განსაზღვრული იყვნენ საქართველოს მთავრობის დადგენილებით. მთავრობის დადგენილება, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანამდებობის პირები, რომელსაც უნდა დანიშნოდა სახელმწიფო კომპენსაცია არ არსებობდა. მოსარჩელეთა მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ხარვეზი კანონში 2011 წლის 22 მარტს განხორციელებული ცვლილებით გასწორდა, მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურება უნდა განხორციელებულიყო.

მოსარჩელეები მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებდნენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობდა, ვალდებული იყო აენაზღაურებინა დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებდა პასუხს.

მოსარჩელეები აგრეთვე მიუთითებდნენ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლზე. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადე-

მიური სტიპენდიის გაცემა შეჩერდებოდა: ა) კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას; ბ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შესაბამის სამედიცინო დანესებულებაში დადგენილ ვადაში გადამონმებაზე საპატიო მიზეზით (საავადმყოფოში, სანატორიუმში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დანესებულებაში ყოფნის გამო) გამოუცხადებლობისას. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებით დადგენის შემთხვევაში კომპენსაციის გაცემა განახლებოდა ასეთი სტატუსის დადგენის დღიდან და ანაზღაურდება ამ დანესებულებაში პირის ყოფნის პერიოდისთვისაც. ამასთანავე, თუ ხელახალი შემონმების დროს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს დაუდგინდებოდა შეზღუდული შესაძლებლობის სხვა სტატუსი, მაშინ კომპენსაცია წარსული დროისთვის გაიცემოდა შეზღუდული შესაძლებლობის წინა სტატუსის მიხედვით. სხვა საპატიო მიზეზები განისაზღვრებოდა მინისტრის ნორმატიული აქტით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის გაცემის შეჩერების ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისი გაცემა განახლებოდა მიმღების მიერ კომპეტენტურ ორგანოში კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის გაცემის განახლების თაობაზე განცხადების შეტანის შემდეგ და აუნაზღაურებოდა მის მიერ მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის გაცემის შეჩერების დღიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეებმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 3 თებერვლის №04/5885 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით კ. ყ-ის, თ. კ-ას და მ. კ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თ. კ-ას – 2010 წლის 8 სექტემბრიდან (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების განყოფილების გადაწყვეტილებით), კ. ყ-ს – 2010 წლის 6 სექტემბრიდან (სსიპ სოციალური მომსახუ-

რების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების განყოფილების გადანაცვეტილებით), ხოლო მ. კ-ს – 2010 წლის 3 სექტემბრიდან (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის სოციალური მომსახურების განყოფილების გადანაცვეტილებით) დაენიშნათ სახელმწიფო კომპენსაცია, თითოეულს – 560 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების განყოფილების გადანაცვეტილებით თ. კ-ს 2011 წლის 1 იანვრიდან შეუჩერდა სახელმწიფო კომპენსაცია; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების განყოფილების გადანაცვეტილებით კ. ყ-ს 2010 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაცია; ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის სოციალური მომსახურების განყოფილების გადანაცვეტილებით მ. კ-ს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შეუჩერდა სახელმწიფო კომპენსაცია.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის ი. ლ-ის 2010 წლის 24 ნოემბრის №04/07-2201, №04/07-2202 წერილებით (კ. ყ-ს და თ. კ-ს) და გარდაბნის რაიონული განყოფილების უფროსის 2010 წლის 15 სექტემბრის №05-19-40 წერილით (მ. კ-ს) მოსარჩელებს ეცნობათ, რომ სახელმწიფო კომპენსაცია შეუჩერდათ/შეუწყდათ საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე. ამასთან, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 3 თებერვლის №04/5885 წერილით კ. ყ-ს, თ. კ-ს და მ. კ-ს ეცნობათ, რომ მიუხედავად „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 11 მარტს განხორციელებული ცვლილებებისა, რომლის შედეგადაც დაკონკრეტდა ფინანსთა სამინისტროს ხაზით კომპენსაციის დანიშვნის უფლების მქონე პირთა წრე, მიუღებელი თანხის ანაზღაურებას კანონი არ ითვალისწინებდა, შესაბამისად, მათ უარი ეთქვათ გასული პერიოდის მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ (თავდაპირველი რედაქცია) 2005 წლის 27 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კომპენსაციის მიღების უფლება ჰქონდათ: „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში

დათხოვნილ პირებს“; ამავე კანონის მე-8 მუხლით კი დადგენილი იყო სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა კომპენსაციის გაანგარიშება. მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები აგრეთვე ვრცელდებოდა ფინანსური პოლიციის მოსამსახურეებზე, თუ მათ ჰქონდათ ნამსახურობის არანაკლებ 20 კალენდარული წელი (მათ შორის, არანაკლებ 4 წელი ფინანსურ პოლიციაში).

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2006 წლის 29 დეკემბრის №4277 კანონით შეტანილი ცვლილებით მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით, კომპენსაციის მიღების უფლება ჰქონდათ: „ე) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს, რომლებიც განსაზღვრული იყო საქართველოს მთავრობის დადგენილებით;“. ამავე კანონით ცვლილება შევიდა მე-8 მუხლში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა კომპენსაციის გაანგარიშება“; ხოლო მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები აგრეთვე ვრცელდებოდა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებზე, რომლებიც განსაზღვრულნი იყვნენ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, თუ მათ ჰქონდათ ნამსახურობის არანაკლებ 20 კალენდარული წელი (მათ შორის, არანაკლებ 2 წელი ფინანსურ პოლიციაში ან/და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საგადასახადო/საბაჟო ორგანოების თანამდებობებზე). საგადასახადო/საბაჟო ორგანოებში ნამსახურობის მიზნებისათვის გათვალისწინებული იქნებოდა მხოლოდ 2007 წლის 1 იანვრიდან ნამსახურები წლები“.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 11 მარტის №4384-ს კანონით შეტანილი ცვლილებებით მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქცი-

ით: „ე) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს“. ხოლო მე-8 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირთა კომპენსაციის გაანგარიშება“.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტი კი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები აგრეთვე გავრცელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირზე, თუ მათ ჰქონდათ ნამსახურობის არანაკლებ 20 წელი; ნამსახურობაში, გარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ნამსახურობისა, შედიოდა ნამსახურობა შემდეგ ორგანოებში: სამხედრო, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ორგანოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (2009 წლის დეკემბრამდე პერიოდი), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, პროკურატურის ორგანოები, აგრეთვე მოსამართლედ ან მის თანაშემწედ მუშაობა“.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ურთიერთობის წარმოშობის მომენტში მოქმედი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ფინანსთა სამინისტროდან გათავისუფლებული პირი სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებდა, თუ მისი თანამდებობა გათვალისწინებული იქნებოდა მთავრობის შესაბამისი დადგენილებით. დადგენილება, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობების ჩამონათვალი, რომლიდანაც გათავისუფლების შემთხვევაში პირს კომპენსაციის მიღების უფლება ექნებოდა საქართველოს მთავრობას არ მიუღია. აღნიშნულის გათვალისწინებით სა-

სამართლომ მიიჩნია, რომ 2010 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მარტამდე, მოსარჩელებს სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება არ ჰქონდათ.

მოსარჩელები მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებდნენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობდა, ვალდებული იყო აენაზღაურებინა დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებდა პასუხს. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის გამოყენება არ იყო მართებული, ვინაიდან, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით მოსარჩელეთათვის ზიანი არ მიუყენებია.

მოსარჩელები აგრეთვე მიუთითებდნენ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლზე. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის გაცემა შეჩერდებოდა: ა) კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას; ბ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შესაბამის სამედიცინო დანესებულებაში დადგენილ ვადაში გადამონმებაზე საპატიო მიზეზით (საავადმყოფოში, სანატორიუმში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დანესებულებაში ყოფნის გამო) გამოუცხადებლობისას. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებით დადგენის შემთხვევაში კომპენსაციის გაცემა განახლდებოდა ასეთი სტატუსის დადგენის დღიდან და ანაზღაურდება ამ დანესებულებაში პირის ყოფნის პერიოდისთვისაც. ამასთანავე, თუ ხელახალი შემონმების დროს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს დაუდგინდებოდა შეზღუდული შესაძლებლობის სხვა სტატუსი, მაშინ კომპენსაცია წარსული დროისთვის გაიცემოდა შეზღუდული შესაძლებლობის წინა სტატუსის მიხედვით. სხვა საპატიო მიზეზები განისაზღვრებოდა მინისტრის ნორმატიული აქტით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის გაცემის შეჩერების ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ

შემთხვევაში მისი გაცემა განახლებოდა მიმღების მიერ კომპეტენტურ ორგანოში კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის გაცემის განახლების თაობაზე განცხადების შეტანის შემდეგ და ანაზღაურდებოდა მის მიერ მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის გაცემის შეჩერების დღიდან. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებდა შეჩერების პერიოდში მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურებას, თუ კომპენსაციის შეჩერება ამავე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული საფუძვლით მოხდა.

დადგენილი იყო, რომ კ. ყ-ს სახელმწიფო კომპენსაციის მიღება შეუწყდა და შეჩერებული არ ჰქონია. რაც შეეხებოდა მ. კ-ს და თ. კ-ას, მათ კომპენსაციის მიღება 30-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული რომელიმე საფუძვლით არ შეჩერებიათ. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მხრიდან მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნისას კანონის 30-ე მუხლზე მითითება არ იყო მართებული.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 3 თებერვლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოსარჩელებს უარი ეთქვათ გასული პერიოდის მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე იყო კანონიერი და მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო მოსარჩელეთა მოთხოვნა მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილშიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს კ. ყ-მა, თ. კ-ამ და მ. კ-მა. აპელანტებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 26 მაისის განჩინებით კ. ყ-ის, თ. კ-ას და მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 მაისის გადაწყვეტილე-

ბა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს კ. ყ-მა, თ. კ-ამ და მ. კ-მა. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორების განმარტებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების განყოფილების გადაწყვეტილებით თ. კ-ას 2011 წლის 1 იანვრიდან შეუჩერდა სახელმწიფო კომპენსაცია, ხოლო კ. ყ-ს 2010 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაცია. სასამართლომ ასევე არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის სოციალური მომსახურების განყოფილების გადაწყვეტილებით მ. კ-ს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შეუჩერდა სახელმწიფო კომპენსაცია.

კასატორების მითითებით, კ. ყ-ს, თ. კ-ას და მ. კ-ს, რომ შეუჩერდათ სახელმწიფო კომპენსაცია, ცალსახად იყო დადგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის 2010 წლის 24 ნოემბრის №04/07-22001, №04/07-2002 და სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის განყოფილების უფროსის 2010 წლის 15 ოქტომბრის №05/19-40 წერილებით, სადაც ერთმნიშვნელოვნად იყო განმარტებული, რომ კომპენსაცია შეჩერებულ იქნა კანონში არსებული ხარვეზის გამო. სახელმწიფო კომპენსაცია შეჩერებული იყო საკითხის საბოლოო გარკვევამდე. კასატორების მოსაზრებით, რადგან კანონში არსებული ხარვეზი 2011 წლის 11 მარტის კანონის ცვლილებით გასწორდა, გაუცემელი კომპენსაცია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა განეახლებინა და გაეცა.

კასატორების მითითებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი, გარდა 30-ე მუხლისა, კომპენსაციის შეჩერებას არ ით-

ვალისწინებდა, რის გამოც შეჩერების საფუძველი ნებისმიერ შემთხვევაში იყო აღნიშნული კანონის 30-ე მუხლით. კასატორების მითითებით, სასამართლომ არ განმარტა თუ რომელი მუხლის საფუძველზე შეუჩერდათ მათ კომპენსაციის გაცემა.

კასატორების მოსაზრებით, კომპენსაციის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებები გვიან გაკეთდა, სწორედ ამის გამო არ ეცნობათ მათ აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ და შესაბამისად, არ გადაეცათ მათი ასლი. კომპენსაციის შეწყვეტის გადაწყვეტილება არ არსებობდა მ. კ-ის მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანის დროსაც, რისი ნათელი დასტური იყო მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებელი, რომელშიც სიტყვაც არ იყო ნახსენები კომპენსაციის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

კასატორების მითითებით, სასამართლოს განმარტება, რომ მოსარჩელებს 2010 წლის სექტემბრიდან 2011 წლის მარტამდე სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება არ ჰქონდათ, არ გამომდინარეობდა მოქმედი კანონმდებლობიდან, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მომსახურების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელი არის სახელმწიფო.

ამდენად, დამსახურებული კომპენსაცია მოსარჩელებს ყველა შემთხვევაში უნდა მიეღოთ, რადგან აღნიშნული ხარვეზი განაპირობა სახელმწიფოს საჯარო მოხელეთა დანაშაულებრივმა გულგრილობამ, რომ ოთხი წლის განმავლობაში არ მიიღეს მთავრობის შესაბამისი დადგენილება. რამდენიმე თვის მიუღებელი კომპენსაცია კი კასატორებისათვის ნამდვილად მნიშვნელოვან ზიანს წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული კ. ყ-ის, თ. კ-ას და მ. კ-ის საკაცო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნობილი კ. ყ-ის, თ. კ-ას და მ. კ-ის საკაცო საჩივარი და მისი განხილვა

დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 7 მარტს 13:00 საათ-ზე.

საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 30 მაისის სასამართლო სხდომაზე კასატორებმა – კ. ყ-მა, თ. კ-ამ და მ. კ-მა დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ, დააკონკრეტეს მიუღებელი თანხების ოდენობა, რასაც დაეთანხმა მონინალმდგევე მხარის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელიც (მიუღებელი თანხების ოდენობის ნაწილში) და საბოლოოდ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 3 თებერვლის №04/5885 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის – თ. კ-ას სასარგებლოდ – 3 770.67 ლარის, კ. ყ-ის სასარგებლოდ – 2 763.87 ლარის და მ. კ-ის სასარგებლოდ – 2 797.86 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. ყ-ის, თ. კ-ას და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ, თ. კ-ამ, კ. ყ-მა და მ. კ-მა შესაბამისი განცხადებებით მიმართეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების განყოფილებებს და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა მოითხოვეს. აღნიშნული განცხადებებისა და შესაბამისი კანონის საფუძველზე, თ. კ-ას – 2010 წლის 8 სექტემბრიდან (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების განყოფილების გადაწყვეტილებით), კ. ყ-ს – 2010 წლის 6 სექტემბრიდან (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების განყოფილების გადაწყვეტილებით), ხოლო მ. კ-ს 2010 წლის 3 სექტემბრიდან (სსიპ სოციალუ-

რი მომსახურების სააგენტოს გარდაბნის სოციალური მომსახურების განყოფილების გადაწყვეტილებით) დაენიშნათ სახელმწიფო კომპენსაცია, თითოეულს – თვეში 560 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თ. კ-ას – 2011 წლის 1 იანვრიდან, კ. ყ-ს – 2010 წლის 1 დეკემბრიდან, ხოლო მ. კ-ს – 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შეუჩერდათ/შეუწყდათ სახელმწიფო კომპენსაცია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის ი. ლ-ის 2010 წლის 24 ნოემბრის №04/07-2201, №04/07-2202 წერილებით (კ. ყ-ს და თ. კ-ას) და გარდაბნის რაიონული განყოფილების უფროსის 2010 წლის 15 სექტემბრის №05-19-40 წერილით (მ. კ-ს) კასატორებს ეცნობათ, რომ სახელმწიფო კომპენსაცია შეუჩერდათ/შეუწყდათ საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე. წერილების შინაარსიდან გამომდინარე, კომპენსაციის შეჩერების/შენწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მთავრობის დადგენილება, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანამდებობის პირები, რომელსაც უნდა დანიშვნოდა სახელმწიფო კომპენსაცია არ არსებობდა. კასატორების მიერ არაერთი განცხადების წარდგენის (2011 წლის 1 მარტს, 2011 წლის 23 აგვისტოს, 2012 წლის 10 იანვარს) მიუხედავად, მათზე დანიშნული კომპენსაციის გაცემა არ განახლებულა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 11 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების პირობებში (მას შემდეგ, რაც კომპენსაციის მიმღებ სუბიექტებად ცალსახად განისაზღვრნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობიდან განთავისუფლებული პირები) თ. კ-ამ, კ. ყ-მა და მ. კ-მა განცხადებებით მიმართეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის განყოფილებებს და კომპენსაციის ხელახლა დანიშვნა და მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურება მოითხოვეს. თ. კ-ას, კ. ყ-ისა და მ. კ-ის განცხადებები კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე დაკმაყოფილდა და კ. ყ-ს – 2011 წლის 30 მარტიდან, თ. კ-ას – 2011 წლის 23 ივნისიდან, ხოლო – მ. კ-ს – 2011 წლის 22 მარტიდან (განცხადებების წარდგენის დღიდან) დაენიშნათ კომპენსაცია, თვეში – 560 ლარის ოდენობით. მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში კი სსიპ სო-

ციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 3 თებერვლის №04/5885 წერილით განმცხადებლებს ეცნობათ, რომ მიუხედავად „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 11 მარტს განხორციელებული ცვლილებებისა, რომლის შედეგადაც დაკონკრეტდა ფინანსთა სამინისტროს ხაზით კომპენსაციის დანიშვნის უფლების მქონე პირთა წრე, მიუღებელი თანხის ანაზღაურებას კანონი არ ითვალისწინებდა, შესაბამისად, განმცხადებლებს უარი ეთქვათ გასული პერიოდის მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ნორმის სწორ განმარტებას, კერძოდ, იმ გარემოების დადგენას, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია (კომპენსაციის პირველად დანიშვნის დროს მოქმედი რედაქცია), სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტებად ითვალისწინებდა თუ არა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის (დეპარტამენტის) საჯარო თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირებს, თუ მათი კომპენსაციის მიმღებ სუბიექტებად განსაზღვრა, მხოლოდ 2011 წლის 11 მარტს აღნიშნულ კანონში შესული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად განხორციელდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი

და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს კანონმდებლის ნების სწორი განმარტება, აუცილებელია სადავო საკითხთან დაკავშირებით „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ყველა ცვლილების ქრონოლოგიური განხილვა.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ (თავდაპირველი რედაქცია) 2005 წლის 27 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპენსაციის მიღების უფლება ჰქონდათ: „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს“; ამავე კანონის მე-8 მუხლით კი დადგენილი იყო სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა კომპენსაციის გაანგარიშება. მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები აგრეთვე ვრცელდებოდა ფინანსური პოლიციის მოსამსახურეებზე, თუ მათ ჰქონდათ ნამსახურობის არანაკლებ 20 კალენდარული წელი (მათ შორის, არანაკლებ 4 წელი ფინანსურ პოლიციაში).

ამასთან, კ. ყ-ის, თ. კ-ასა და მ. კ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის დროს მოქმედი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად (2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული №4277-რს ცვლილების შედეგად), კომპენსაციის მიღების უფლება ჰქონდათ: „ე) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს, რომლებიც განსაზღვრულნი იყვნენ საქართველოს მთავრობის დადგენილებით;“.

2006 წლის 29 დეკემბრის №4277-რს კანონით ცვლილება შევიდა მე-8 მუხლშიც და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა კომპენსაციის გაანგარიშება“; ხოლო მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები აგრეთვე ვრცელდებოდა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებზე, რომლებიც განსაზღვრული იყო საქართველოს მთავრობის დადგენილებით, თუ მათ ჰქონდათ ნამსახურობის არანაკლებ 20 კალენდარული წელი (მათ შორის, არანაკლებ 2 წელი ფინანსურ პოლიციაში ან/და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საგადასახადო/საბაჟო ორგანოების თანამდებობებზე). საგადასახადო/საბაჟო ორგანოებში ნამსახურობის მიზნებისათვის გათვალისწინებული იქნებოდა მხოლოდ 2007 წლის 1 იანვრიდან ნამსახურები წლები“.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 11 მარტის №4384-ს კანონით შეტანილი ცვლილებებით მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ: „ე) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს“.

ხოლო მე-8 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირთა კომპენსაციის გაანგარიშება“. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი კი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები აგრეთვე გავრცელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებზე, თუ მათ ჰქონდათ ნამსახურობის არანაკლებ 20 წელი; ნამსახურობაში, გარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ნამ-

სახურობისა, შედიოდა ნამსახურობა შემდეგ ორგანოებში: სამხედრო, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ორგანოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (2009 წლის დეკემბრამდე პერიოდი), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, პროკურატურის ორგანოები, აგრეთვე მოსამართლედ ან მის თანაშემწედ მუშაობა“.

ამასთან, ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ: სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს“.

საკასაციო სასამართლო „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული კანონის კასატორებისათვის სახელმწიფო კომპენსაციის პირველად დანიშვნის დროს მოქმედი რედაქცია კომპენსაციის მიღების უფლების მქონე სუბიექტად ცალსახად მოიცავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების, მათ შორის საგამოძიებო სამსახურის თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს.

რაც შეეხება მოცემულ კანონში 2011 წლის 11 მარტს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებას, ვინაიდან, საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამის ვადაში არ გამოიცა დადგენილება, რომელიც დეტალურად განსაზღვრავდა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ნუსხას, კანონმდებელმა დააზუსტა/დააკონკრეტა სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტთა წრე (კომპენსაციის გაანგარიშების წესიც) და მიუთითა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებზე, რითიც ხაზი გაუსვა და ნათელი გახადა ის გარემოება, რომ აღნიშნული ნორმა ძველი რედაქციის პირობებშიც ითვა-

ლისწინებდა და მოიცავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესაბამისი თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირებს. ამასთან, მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა კომპენსაციის გაანგარიშების წესში, კერძოდ, ნამსახურობაში, გარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ნამსახურობისა, შევიდა ნამსახურობა შემდეგ ორგანოებში: სამხედრო, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ორგანოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (2009 წლის დეკემბრამდე პერიოდი), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, პროკურატურის ორგანოები, აგრეთვე მოსამართლედ ან მის თანაშემწედ მუშაობა“.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორების უფლების რეალიზება და მათთვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ კომპენსაციის პირველად დანიშვნა 2010 წლის სექტემბერში ანუ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 2006 წლის 29 დეკემბრის რედაქციის მოქმედების პირობებში განხორციელდა, შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებლები კომპენსაციის მიმღებ სუბიექტებად მიიჩნია. თუმცა, კანონის ამავე რედაქციის მოქმედების პირობებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულიად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე შეუჩერა/შეუწყვიტა კასატორებს კომპენსაციის გაცემა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისას და ახალი გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ფუნდამენტური პრინციპით – კანონიერი ნდობის პრინციპით, რა პრინციპიც მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ცალსახად დაირღვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი აქტებით ყოვლად გაუგებარია კასატორებისათვის მოხდა სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერება თუ შენ-

ყვეტა. ამასთან, საერთოდ არ არის მითითებული იმ სამართლებრივ ნორმაზე, რომელიც კომპენსაციის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, რადგან მოცემულ შემთხვევაში ცალსახად არ არსებობდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის არც 30-ე და არც 31-ე მუხლის წინამძღვრები. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ კომპენსაციის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილებები მოსარჩელებს (კასატორებს) არ ჩაბარებიათ (მათ მხოლოდ შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე წერილები გაეგზავნათ), რაც დამატებით მიუთითებს მოცემულ საქმეზე არსებულ მთელ რიგ მატერიალურ და პროცესუალურ დარღვევებზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების პოზიციას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან, მთავრობის დადგენილებით არ დაზუსტდა ფინანსთა სამინისტროს ხაზით კომპენსაციის დანიშვნის უფლების მქონე პირთა წრე, მოსარჩელებისათვის კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი არ არსებობდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მთავრობის მიერ შესაბამისი დადგენილების მიღება სწორედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინტერესის სფეროს წარმოადგენდა და მას, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, ევალებოდა აღნიშნულზე შესაბამისი ინიციატივის წარდგენა. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა არ შეიძლება გამხდარიყო პირის მდგომარეობის გაუარესების საფუძველი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ამ პირებს კანონიერი ნდობა გააჩნდათ ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 3 თებერვლის წერილში არსებულ განმარტებას, იმის თაობაზე, რომ ვინაიდან, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონმა არ გაითვალისწინა მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურების შესაძლებლობა, არ არსებობს მოსარჩელებისათვის მიუღებელი თანხის ანაზღაურების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონმა ნამდვილად არ გაითვალისწინა არარეალიზირებული უფლების არსებობის პირობებში მიუღე-

ბელი კომპენსაციის ანაზღაურების შესაძლებლობა, ხოლო იმ პირობებში, როდესაც კასატორებს უფლება 2010 წლის სექტემბრიდან აქვთ რეალიზებული და მათთვის კომპენსაციის შეჩერება/შენწყვეტა ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე განხორციელდა, იმ პირობებში, როდესაც კ. ყ-ი, თ. კ-ა და მ. კ-ი 2010 წლიდან მოყოლებული სარგებლობენ ყველა იმ სოციალური შეღავათითა და გარანტიით, რომლითაც სარგებლობენ – სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი პირები და მათ პოლკოვნიკისა (თ. კ-ას და კ. ყ-ს) და ვიცე-პოლკოვნიკის (მ. კ-ს) სამხედრო წოდება აქვთ მინიჭებული, მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმა ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. ყ-ის, თ. კ-ას და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, კ. ყ-ის, თ. კ-ას და მ. კ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 3 თებერვლის №04/5885 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის, კერძოდ, თ. კ-ას სასარგებლოდ – 3 770.67 ლარის, კ. ყ-ის სასარგებლოდ – 2 763.87 ლარისა და მ. კ-ის სასარგებლოდ – 2 797.86 ლარის გაცემა უნდა დაეკისროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. კ. ყ-ის, თ. კ-ას და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. კ. ყ-ის, თ. კ-ას და მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურე-

ბის სააგენტოს 2012 წლის 3 თებერვლის №04/5885 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისროს მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა კ. ყ-ის სასარგებლოდ – 2 763.87 ლარის, თ. კ-ის სასარგებლოდ – 3 770.67 ლარის და მ. კ-ის სასარგებლოდ – 2 797.86 ლარის ოდენობით;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძველი

ბანჩინაბა

№ბს-358-348(კ-13)

25 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 14 ნოემბერს ა. ე-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ სამინისტროს 2012 წლის 29 ოქტომბრის №04/01-01/10965 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მისთვის თავშესაფრის მინიჭების თაობაზე მოპასუხისათვის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი არის წარმოშობით ჩეჩენი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. 2003 წელს გაემგზავრა სირიაში, სასწავლებლად. 2010 წელს დაბრუნდა ჩეჩნეთში. დაბრუნები-

დან 7 თვის შემდეგ დაიბარეს დაკითხვაზე, სადაც სთხოვდნენ ინფორმაციას ჩეჩნეთის ომის მონაწილე ნათესავების შესახებ. ამის შემდეგ უთვალთვალდნენ და ისმინებოდა მისი ტელეფონი. აღნიშნული ფაქტიდან 6 თვის შემდეგ გზაში მიმავალი გააჩერეს უცხო პირებმა, რომლებმაც მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. 2012 წელს დატოვა ჩეჩნეთი და წავიდა აზერბაიჯანში, სადაც ლტოლვილის სტატუსი არ მოუთხოვია. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მას არ შეუძლია ჩეჩნეთში დაბრუნება უსაფრთხოების პირობების არ არსებობის გამო. შიშობს, რომ დაბრუნების შემთხვევაში გახდება უკანონო დაკავებისა და სასჯელის მსხვერპლი, ვინაიდან არაერთი ამგვარი ფაქტი დაფიქსირდა და განსაკუთრებით ებრძვიან რელიგიურ ადამიანებს. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, 2012 წლის 2 მაისს მან განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მოითხოვა თავშესაფრის მინიჭება, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი. მოსარჩელის აზრით, მოპასუხის გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან მასში ასახული არგუმენტები მიუთითებს სამინისტროს მიერ საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელი გარემოებების არასრულ გამოკვლევაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2012 წლის 29 ოქტომბრის №04/01-01/10965 გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხე – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ა. ე-ი დაიბადა 1978 წლის 23 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის ქ. ვლადიმირში. იგი არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ეროვნებით ჩეჩენი. 2003-2010 წლებში ა. ე-ი ცხოვრობდა სირიაში, სადაც დაეუფლა მუსლიმანური სარწმუნოების საფუძვლებს. ამასთან, მიიღო უმაღლესი განათლება ქ. დამასკოს სა-

ხელმწიფო საერთაშორისო უნივერსიტეტში, არაბული ენის ფაკულტეტზე. სირიაში ცხოვრების პერიოდში მას ჰქონდა დროებითი ბინადრობის მონაწილეობა, რის საფუძველზეც ლეგალურად იმყოფებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე და ახორციელებდა კომერციულ საქმიანობას, კერძოდ, ქ. გროზნოში რეალიზაციის მიზნით გზავნიდა ტანსაცმელს. 2010 წელს იგი დაბრუნდა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, საიდანაც 2012 წელს, ოჯახთან ერთად, გაემგზავრა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ხოლო 2012 წლის 24 აპრილს ჩამოვიდა საქართველოში. 2012 წლის 2 მაისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სამინისტროს და მოითხოვა მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება. 2012 წლის 14 მაისის ცნობის საფუძველზე ა. ე-ს მიენიჭა ლტოლვილის სტატუსის მადიებელი პირის სტატუსი, ხოლო 2012 წლის 29 ოქტომბრის №04/01-09/10965 გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დევნა, ასევე დევნის საფუძვლიანი შიში უკავშირდება პიროვნების ისეთ პირობებში ყოფნას, როდესაც მის მიმართ სისტემატურად ხორციელდება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული უფლებების დარღვევა, ხოლო პირი ქვეყნის ხელისუფლებისგან ვერ იცავს თავს, ერთ შემთხვევაში იმის გამო, რომ თავად ხელისუფლებისგან მოდის აღნიშნული ქმედებები, ხოლო მეორე შემთხვევაში, ხელისუფლება ვერ, ან არ იცავს მას. პიროვნება, რომელიც უარს განაცხადებს წარმოშობის ან საცხოვრებელი ქვეყნის დაცვაზე, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა ლტოლვილად, თუ სურვილის არქონა უკავშირდება დევნის დასაბუთებულ შიშს. ამდენად, ლტოლვილის ცნების განსაზღვრებიდან გამომდინარე, ლტოლვილი არის პირი, რომელსაც არ აქვს არჩევანის შესაძლებლობა, დატოვოს თუ არა თავისი საცხოვრებელი ქვეყანა, არამედ, იგი იძულებულია მოიქცეს ასე დევნის საფუძვლიანი შიშის გამო. დევნა კი უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა ისეთ დარღვევას, როგორც არის წამება, შეურაცხყოფა, ძალადობა და სხვა ზიანის მიყენება და წარმოადგენდეს ქვეყნის დატოვების – უკიდურესი ქმედების შედეგს.

საქალაქო სასამართლო დაეყრდნო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მიერ მიცემულ განმარტებას. კერძოდ, რელიგიურ პირებს მეჩეთში ქადაგებისათვის ეძლევათ სპეციალური ტექსტი, რომლითაც მათ ქადაგებისას უნდა მიმართონ ხალხს. ა. ე-ი, როდესაც აღნიშნულ ტექსტს გაეცნო, აღმოაჩინა, რომ მასში ჩეჩენი ბოევიკები ტერორისტებად და სახელმწიფოს მტრებად

იყვნენ მოხსენიებულნი, რის გამოც მას ხალხისათვის მათი მკვლელობისაკენ უნდა მოეწოდებინა. მაჰმადიანური რელიგიის თანახმად, ხალხის მკვლელობისაკენ მონოღება მძიმე ცოდვაა, ამიტომ მან, როგორც რელიგიურმა და სასულიერო პირმა, აღნიშნული მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა. მოსარჩელის განმარტებით, 2012 წელს ჩეჩენი ბოევიკებისადმი მისი ამგვარი დამოკიდებულების გამო, პოლიციის განყოფილებაში წარმოებული დაკითხვისას, მის მიმართ განხორციელდა ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლა. ა. ე-მა საჭიროდ არ ჩათვალა ქადაგებისას მორწმუნე ხალხის წინაშე ზემოაღნიშნული ტექსტის წაკითხვა, რადგან მას არ სურდა სახელმწიფოს პოლიტიკაში ჩარევა, ამის გამო სახელმწიფოს მხრიდან დევნას განიცდიდა. მოსარჩელის განმარტებით, ამგვარი მუქარისა და ზეწოლის ქვეშ ცხოვრება მისთვის შეუძლებელია, რადგან ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მისი სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება. სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ ადმინისტრაციულ ორგანოსთან გასაუბრებისას დასმულ შეკითხვაზე, თუ როდის და რატომ გადანწყვიტა მეორედ ჩეჩნეთის რესპუბლიკის დატოვება, განმარტა, რომ 2012 წელს იგი დაკითხულ იქნა პოლიციის თანამშრომელთა მიერ, რადგან იგი მათი ინტერესის სფეროში მოექცა. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და გარემოებები, კერძოდ, არ დაინტერესდა, კონკრეტულად რა საკითხთან დაკავშირებით დაიკითხა ა. ე-ი, რამ გამოიწვია პოლიციის თანამშრომელთა ინტერესის სფეროში მისი მოქცევა და რის გამო ხორციელდებოდა მასზე მუდმივი დაკვირვება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული დევნისა და აღნიშნულის გამო საფუძვლიანი შიშის არსებობის ნამდვილობის საკითხის დადგენა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე წარმოებული გასაუბრებისას ადმინისტრაციული ორგანო შემოიფარგლა მხოლოდ წინასწარ დადგენილი, სტანდარტული კითხვების საფუძველზე ა. ე-ის მიერ მიცემული მოკლე განმარტებების შეფასებით და სათანადოდ არ გამოიკვლია მის მიმართ განხორციელებული დევნის რეალური მიზეზები. აღნიშნულის გამო საფუძვლიანი შიშის არსებობის ნამდვილობის დამადასტურებელი გარემოებები, რაც მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის

მე-5 ნაწილისა და 96-ე მუხლის მოთხოვნათა არსებით დარღვევად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციით დადგენილი, ლტოლვილის ცნების განმსაზღვრელი ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ სასამართლოს მთავარ სხდომაზე დასახელებული გარემოებები უნდა მიჩნეულიყო გასაჩივრებული აქტის მომზადება-გამოცემის წესის არსებითი დარღვევის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების, ურთიერთშეჯერებისა და სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, სახეზე იყო ა. ე-ის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 მაისის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა და ვერც აპელანტის მიერ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება (სსსკ 102-ე მუხლი), იმ გარემოებების დასადგენად, რომ არ არსებობდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ გაასაჩივრა, რომლითაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია თუ რა გარემოებები არ გამოიკვლია სამინისტრომ მაძიებლის შესახებ. ამასთან, მიუხედავად იმისა,

რომ ა. ე-მა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ იგი არ არის სასულიერო პირი, სასამართლო გადაწყვეტილებაში იგი მოხსენიებულია სასულიერო პირად. ამასთან, გასაჩივრებულ განჩინებაში გამოთქმულია მხოლოდ ვარაუდი, რომ მოსარჩელე იდეგნებოდა რელიგიურ ნიადაგზე. კასატორი აღნიშნავს, რომ სამინისტროში ჩატარებული ანკეტირებისას ა. ე-მა წარმოშობის ქვეყნის დატოვების მიზეზად დაასახელა მხოლოდ ჩეჩენ ბოევიკებთან მისი ნათესაური კავშირი. ის ფაქტი, რაც აღნიშნულია სასამართლო გადაწყვეტილებაში ანკეტირებისას სტატუსის მადიებელს არ განუცხადებია, შესაბამისად, სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა მასზე. ამასთან, კასატორი ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელის განმარტებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას ფაქტების გაუმჟღავნებლობა გამოწვეული იყო უნდობლობით, ვინაიდან გასაუბრებისას და ანკეტირებისას მას შექმნილი ჰქონდა ყველა პირობა, განემარტა, რომ მიწოდებული ინფორმაცია იყო კონფიდენციალური. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები განსაკუთრებით დაუცველ ვითარებაში იმყოფებიან, მტკიცებულებათა დადგენის და შეფასების პასუხისმგებლობას ინაწილებს გადაწყვეტილების მიმღები პირი. სტატუსის მაძიებელს ეკისრება მხოლოდ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა სამინისტროს აცნობოს ყველა მის მიმართ განხორციელებული ფაქტი, რაშიც მისი აზრით, შეიძლება გამოიხატოს დევნა. ამდენად, ა. ე-ი ვალდებული იყო, ადმინისტრაციული წარმოებისას სრულად გაეცნო ადმინისტრაციულ ორგანოსათვის მისთვის ცნობილი ყველა გარემოება და ფაქტი, რაც გაამყარებდა მის პოზიციას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მისი განხილვა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და

ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პრეტენზია შეეხება იმას, რომ გასაჩივრებული განჩინებით არ არის გაცემული არგუმენტირებული და დასაბუთებული პასუხი სააპელაციო საჩივარში მითითებულ მოსაზრებებზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებზე საერთოდ არ უმსჯელია, არ შეუფასებია ისინი და მხოლოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ აპელანტმა ვერ წარადგინა რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებების დასადგენად, რომ არ არსებობდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველი. საყურადღებოა, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრებით აპელანტი მოელის სააპელაციო სასამართლოსაგან მის პრეტენზიებზე დასაბუთებული პასუხის მიღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, საჩივრის ავტორს სრულიად სამართლიანად გაუჩნდეს განცდა იმისა, რომ მიზანი, რომელიც მიმართული იყო უფლების ზემდგომ სასამართლოში დაცვისაკენ, უშედეგო გამოდგა, სასამართლომ უპასუხოდ დატოვა სააპელაციო საჩივრის პრეტენზიები, რომლებიც მისი აზრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონწინააღმდეგობას ასაბუთებდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიუთითებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე ა. ე-ი დაიბადა 1978 წლის 23 დეკემ-

ბერს რუსეთის ფედერაციის ქ. ვლადიმირში. იგი არის რუსეთის მოქალაქე, ეროვნებით ჩეჩენი. 2003-2010 წლებში ა. ე-ი ცხოვრობდა სირიაში, სადაც დაეუფლა მუსლიმანური სარწმუნოების საფუძვლებს. ამასთან, მიიღო უმაღლესი განათლება ქ. დამასკოს სახელმწიფო საერთაშორისო უნივერსიტეტში, არაბული ენის ფაკულტეტზე. სირიაში ცხოვრების პერიოდში მას ჰქონდა დროებითი ბინადრობის მოწმობა, რის საფუძველზეც ლეგალურად იმყოფებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე და ახორციელებდა კომერციულ საქმიანობას, კერძოდ, ქ. გროზნოში რეალიზაციის მიზნით გზავნიდა ტანსაცმელს. 2010 წელს იგი დაბრუნდა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, საიდანაც 2012 წელს ოჯახთან ერთად გაემგზავრა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ხოლო 2012 წლის 24 აპრილს ჩამოვიდა საქართველოში. 2012 წლის 2 მაისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სამინისტროს და მოითხოვა მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება. 2012 წლის 14 მაისის ცნობის საფუძველზე ა. ე-ს მიენიჭა ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირის სტატუსი, ხოლო 2012 წლის 29 ოქტომბრის №04/01-09/10965 გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე.

აღსანიშნავია, რომ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეძიოს დევნიდან თავშესაფარი სხვა ქვეყნებში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს ნამდვილად წარმოადგენს ჩადენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედობისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს. ამგვარი უფლების უზრუნველსაყოფად შემუშავებულ იქნა „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენცია, რომელმაც განმარტა ტერმინი – ლტოლვილის მნიშვნელობა. კერძოდ, „ლტოლვილი“ ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად და საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით, ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავის ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყ-

ნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1967 წლის 31 იანვრის ოქმის თანახმად, ამ ოქმის მიზნებისათვის ცნება „ლტოლვილი“, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც კონვენციის პირველი მუხლის განსაზღვრებაში ექცევა და 1 A (2) მუხლიდან სიტყვების „1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად“ და სიტყვები „ . . . მსგავს მოვლენათა შედეგად“ გამოტოვების პირობით. ამგვარადვე განმარტავს „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლი ლტოლვილის სტატუსის, კერძოდ ეს სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, იმყოფება საქართველოში, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით. ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო კრიტერიუმებს. ამდენად, ლტოლვილის სტატუსის (ისევე როგორც ჰუმანიტარული სტატუსის) მინიჭებისათვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მაძიებელ პირს გააჩნდეს საფუძვლიანი შიში, რომ მის მიმართ განხორციელდება დევნა და ეს დევნა გამოიწვევს საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. სამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-

ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება ემსახურება იმ მიზანს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოიკვლიოს და შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოებები, რომლებიც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას სათანადოდ არ იქნა გამოკვლეული. საგულისხმოა, რომ ამგვარი გარემოებების გამოკვლევა შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების პირობებში და მათი შეფასება ადმინისტრაციული ორგანოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას უნდა წარმოადგენდეს.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ უთითებს რაიმე ისეთ გარემოებებზე, რომელთა გამოკვლევა და შეფასება სასამართლო წარმოებისას შეუძლებელი იყო, ამასთან ამგვარი გარემოების დადგენა და შეფასება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები იმასთან დაკავშირებით, რომ 2012 წელს ჩეჩენი ბოევიკებისადმი დამოკიდებულების გამო, პოლიციის განყოფილებაში წარმოებული დაკითხვისას, ა. ე-ის მიმართ განხორციელდა ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლა. ა. ე-მა საჭიროდ არ ჩათვალა ქადაგებისას მორწმუნე ხალხის წინაშე მისთვის გადაცემული ტექსტის წაკითხვა, რადგან მას არ სურდა სახელმწიფოს პოლიტიკაში ჩარევა, ამის გამო სახელმწიფოს მხრიდან დევნას განიცდიდა. საკასაციო პრეტენზია შეეხება იმას, რომ ა. ე-ს ადმინისტრაციული წარმოებისას ამგვარი ინფორმაცია არ მიუწოდებია, მიუხედავად იმისა, რომ მას შექმნილი ჰქონდა ყველა პირობა სამინისტროსთვის ეცნობებია სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო მისთვის ცნობილი ყველა ინფორმაცია. სააპელაციო საჩივრის პრეტენზია, რომ სტატუსის მაძიებელი პირის მიერ ადმინისტრაციული წარმოებისას ამა თუ იმ ინფორმაციის გაუფლერებლობა იყო სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი, გასაჩივრებული განჩინებით არ არის უარყოფილი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოკვლევას საჭიროებდა ის გარემოება ქვეყნის დატოვებამდე ხორციელდებოდა თუ არა ა. ე-ის მიმართ რაიმე სახის დევნა, რაც ქმნიდა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა დარღვევას ან იყო თუ არა ამგვარი დევნის მომავალში განხორციელების შიში საფუძვლიანი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს დასაბუთებას იმის თაობა-

ზე, სასამართლოში ა. ე-ის მიერ გაჟღერებული ფაქტი, რომ მას ავალებდნენ ქადაგებისას წაეკითხა ტექსტი, რომლის შინაარსი მისთვის მიუღებელი იყო რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე, ადასტურებდა თუ არა მის მიმართ განხორციელებულ დევნას. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს მხრიდან ა. ე-ის მიმართ პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა ნიშნით დევნა არ ხორციელდებოდა, მან სახელმწიფო საზღვარი დაბრკოლების გარეშე გადაკვეთა. ამასთან, იგი არის რუსეთის მოქალაქე. ასევე შეფასებას საჭიროებს ის ფაქტი, რამდენად სარწმუნოა მხარის ვარაუდი, რომ მის მიმართ განხორციელებული თავდასხმის ინიციატორი იყო ქვეყნის მმართველი ძალა და მან სამართლებრივი დაცვა სახელმწიფოს არამართლზომიერი მოქმედებების გამო ვერ მიიღო, ან ამგვარი დაცვის მიუღებლობა ემყარებოდა სამართლიან შიშს, რომ მმართველის შემთხვევაში დაცვის სანინაალმდეგოდ პირი გახდებოდა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა დარღვევის მსხვერპლი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 მაისის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლის შემონმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), რაც სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოარკვიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებულ

ბით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკაცაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამხედრო მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება

განჩინება

№ბს-659-634(კ-13)

29 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: ა. ბ-ე

მოპასუხე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

სარჩელის სახე: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე ქმედების განხორციელება

სარჩელის საგანი:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაც-

ვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს კადრების სამმართველოს 2013 წლის 27 მარტის №572794 წერილის ბათილად ცნობა;

2. სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელის მითითებით, 1989 წლიდან მუშაობდა „საქშავზღვათევზდაცვის“ ეკოლოგიის სამმართველო-ში. 1991 წლიდან აღნიშნული სამსახური დაექვებდებარა საქართველოს შს სამინისტროს და ეწოდა საქშავზღვათევზდაცვის ეკოლოგიის პოლიციის სამმართველო. ა. ბ-ე 1991 წლის 13 აგვისტოს №246 ბრძანების საფუძველზე დაინიშნა ამავე პოლიციის სამმართველოში ... თანამდებობაზე.

2009 წლის 7 სექტემბერს შეუსრულდა 55 წელი, ვინაიდან, წოდებით იყო კაპიტანი, საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის დებულების 61-ე მუხლის „ა“ პუნქტით და ამავე დებულების 68-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით 2009 წლის 31 სექტემბერს დაითხოვეს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან ასაკის გამო გადადგომით. შინაგან საქმეთა ორგანოებიდან მისი დათხოვნის დროს წელთა ნამსახურობა შეადგენდა 18 წელს და 18 დღეს, იმის გათვალისწინებით, რომ გავლილი ჰქონდა სავალდებულო სამხედრო სამსახური 2 წელი და 10 დღე, საერთო სტაჟმა შეადგინა 20 წელი და 28 დღე.

მოსარჩელის განმარტებით, მან „სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 7 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს და მოითხოვა კომპენსაციის დანიშვნა, რაზედაც 2013 წლის 27 მარტის №572794 წერილით ეთქვა უარი, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი შინაგან საქმეთა ორგანოში სტაჟის გამოთვლას იწყებს არა შინაგან საქმეთა ორგანოში მისი ბრძანებით დანიშვნის დღიდან, არამედ წოდების მინიჭების დღიდან, რაც მოსარჩელის მითითებით არასწორია.

სამართლებრივი: მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს კადრების სამმართველო 2013 წლის 27 მარტის №572794 წერილში მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად არასწორად უთითებს, „სამხედრო, ში-

ნაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრების სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლზე, ვინაიდან, აღნიშნული მუხლის არც ერთ პუნქტში არ არის მითითებული იმის თაობაზე, რომ სამხედრო სამსახურში მუშაობის სტაჟის ათვლა იწყება მოსამსახურის წოდების მინიჭების დღიდან. პირიქით, აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ „წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში დაითხოვეს ან გადადგა სამსახურიდან“. პიროვნება ინიშნება თანამდებობაზე და შემდეგ ენიშნება მას წოდება თანამდებობის მიხედვით. მოსარჩელის განმარტებით, არც ერთ საკანონმდებლო აქტში არ არის მითითებული, რომ წოდების მინიჭებიდან წარმოებს სტაჟის ათვლა. პოლიციაში დანიშნვის დღიდან ლეზულობს ხელფასს, რომელიც შეიცავდა: დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში, სასურსათო ულუფის ღირებულებას და სხვა, პოლიციის მუშაკისათვის განსაზღვრულ კომპენსაციას.

მოსარჩელის მტკიცებით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი და „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრების სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“, საქართველოს კანონის 11-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ანიჭებს უფლებას დაინიშნოს კომპენსაცია, ვინაიდან, იგი შინაგან საქმეთა ორგანოთა რიგებში დაინიშნა 1991 წლიდან, შეუსრულდა ზღვრული ასაკი, დათხოვნილია თადარიგში ასაკის გამო, ამასთანავე, არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი. შინაგან საქმეთა ორგანოთა რიგებში მუშაობის დაწყებამდე მუშაობდა სამოქალაქო დაწესებულებაში და აქვს მუშაობის საერთო სტაჟი 20 წელი.

მოსარჩელემ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 აპრილის განჩინებით ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ა. ბ-ის შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნისას მუშაობის საერთო პერიოდმა შეადგინა 18 წელი, 00 თვე და 18 დღე, მაგრამ მას „პოლიციის რიგითის“ პირველადი სპეციალური წოდება მიენიჭა 1992 წლის 14 აგვისტოს №356 ბრძანებით „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრების სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, წელთა ნამსახურობის გაანგარიშების მოთხოვნათა გათვალისწინებით შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნისათვის, კერძოდ, 2009 წლის 31 აგვისტოსათვის ა. ბ-ის წელთა ნამსახურობის ვადა შეადგენს 17 წელს, 00 თვეს და 17 დღეს და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გათვალისწინებით ნამსახურევი შეადგენს 19 წელს, 00 თვეს და 27 დღეს, ე.ი. „სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით იგი არ ექვემდებარება სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნას „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრების სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე.

2013 წლის 5 მაისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შესახებ და მოითხოვა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს კადრების სამმართველოს 2013 წლის 27 მარტის №572794 წერილის ბათილად ცნობა;

2. მოპასუხემ მიიღოს გადაწყვეტილება მოსარჩელე ა. ბ-ისათვის შინაგან ორგანოებში ნამსახურევი წლების 20 წლითა და 28 დღით განსაზღვრისა და სოციალური მომსახურების სააგენტოში წარსადგენად, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და მხარი დაუჭირა მოპასუხის პოზიციას.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე ა. ბ-ე შინაგან საქმეთა ორგანოთა რიგებში დაინიშნა 1991 წლის 31 აგვისტოს და დათხოვნილ იქნა გადადგომით 2009 წლის 7 სექტემბერს. შინაგან საქმეთა ორგანოში მისი ნამსახურობა შეადგენს 18 წელს და 18 დღეს. გარდა ამისა, მას გავლილი აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური 2 წელი და 10 დღე, რის გამოც საერთო ჯამში მისი ნამსახურობა შინაგან საქმეთა ორგანოში შეადგენს 20 წელსა და 28 დღეს.

„სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 7 მარტს ა. ბ-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს და მოითხოვა კომპენსაციის დანიშვნა, რაზედაც 2013 წლის 27 მარტის №572794 წერილით ეთქვა უარი, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე, რადგან ორგანოდან დათხოვნის დღეს მისი ნამსახურები წლების ჯამი შეადგენდა 19 წელს, 00 თვესა და 27 დღეს.

რაიონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ა. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს კადრების სამმართველოს 2013 წლის 27 მარტის №572794 წერილი; დაევალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს, მიიღოს გადაწყვეტილება ა. ბ-ესათვის შსს ორგანოებში ნამსახურები წლების 20 (ოცი) წლით და 28 (ოცდარვა) დღის განსაზღვრისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარსადგენად სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

ა. ბ-ე 1989 წლიდან მუშაობდა „საქშავზღვათევზდაცვის“ ეკოლოგიის სამმართველოში. 1991 წლიდან აღნიშნული სამსახური დაექვედგებარა საქართველოს შს სამინისტროს და ეწო-

და „საქშავზღვათევზდაცვის ეკოლოგიის პოლიციის სამმართველო“. ა. ბ-ე 1991 წლის 13 აგვისტოს №246 ბრძანების საფუძველზე დაინიშნა ამავე პოლიციის სამმართველოში ... თანამდებობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 7 სექტემბრის №48743/შ ბრძანებით ა. ბ-ე დაითხოვეს შს ორგანოებიდან გადადგომით.

ა. ბ-ემ შს ორგანოთა რიგებში იმსახურა 20 წელი და 28 დღე.

გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ივნისის საქმე №2/797-02 გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ა. ბ-ე 1991-93 წლებში შსს ეკოლოგიის პოლიციაში მუშაობისას მონაწილეობას ლეზულობდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტერიტორიებზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ ბრძოლებში.

საქმეშია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს კადრების სამმართველოს 2013 წლის 27 მარტის №572794 წერილი, რომლითაც მოსარჩელეს უარი უთხრეს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე, რადგან ორგანოდან დათხოვნის დღეს მისი ნამსახურები ვადა შეადგენდა 19 წელს, 00 თვეს და 27 დღეს.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სადავოა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის კანონიერება.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა: ბათილად ცნო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს კადრების სამმართველოს 2013 წლის 27 მარტის №572794 წერილი; მოპასუხეს დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს, მიიღოს გადაწყვეტილება ა. ბ-ესათვის შსს ორგანოებში ნამსახურები წლების 20 წლით და 28 დღის განსაზღვრისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარსადგენად სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში

სადავოდ მიჩნეული ფაქტების შეფასება:

სასამართლოს საქმეში არსებული უდავო ფაქტობრივი გარემოებების განხილვისა და გამოკვლევის საფუძველზე დად-

გენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე ა. ბ-ე შს ორგანოებში სამუშაოდ იქნა ჩარიცხული 1991 წლის 13 აგვისტოდან №246 ბრძანების საფუძველზე, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით შს ორგანოებიდან დათხოვნისათვის 2009 წლის 7 სექტემბერს მოსარჩელეს წელთა ნამსახურება გააჩნია 18 წელი და 00 თვე და 18 დღე, სამხედრო სავალდებულო სამსახურის 2 წლისა და 10 დღის გათვალისწინებით ნამსახურები ვადა შეადგენს სულ ჯამში 20 წელს, 00 თვეს და 28 დღეს.

მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიმართ წელთა ნამსახურების ათვლა უნდა დაიწყოს მოსარჩელისთვის წოდების მინიჭების დღიდან, მიიჩნია დაუსაბუთებლად, რადგან „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 16 ოქტომბრის №430 კანონის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად კი წელთა ნამსახურების გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურის ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან. რისი გათვალისწინებით მოსარჩელის მიმართ წელთა ნამსახურების გამოანგარიშება უნდა მოხდეს მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან 1991 წლის 13 აგვისტოდან, მით უფრო, რომ აღნიშნული ნორმის სანინაალმდეგო გამაბათილებელი მტიცებულებანი მოპასუხის მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ საქართველოს კანონი“.

აპელანტი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

მონინალმდგე მხარე: ა. ბ-ე

მესამე პირი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

აპელაციის საგანი და მოცულობა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის მსჯელობით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები და არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი. წელთა ნამსახურების ათვლა უნდა დაიწყოს მოსარჩელისათვის წოდების მინიჭების დღიდან, რადგან, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 16 ოქტომბრის №430 კანონის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წელთა ნამსახურების გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურის ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადაადგილებული სამსახურიდან. ა. ბ-ე დაინიშნა 1991 წლის 13 აგვისტოს „საქმავზღვათეფზდაცვის“ სამმართველოს ეკოლოგიის პოლიციაში. შს ორგანოებიდან დათხოვნილია 2009 წლის 3 აგვისტოს. ე.ი. წელთა ნამსახურებმა შედგინა 17 წელი, 00 თვე და 17 დღე, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გათვალისწინებით ნამსახურები შეადგენს 19 წელს, 00 თვეს და 27 დღეს, შესაბამისად, „სახელმწიფო კომპენსაციების და აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონით იგი არ ექვემდებარება სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნას.

შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს კადრების სამმართველოს 2013 წლის 27 მარტის №572794 წერილი მომზადებულია და გამოცემულია კანონმდებლობის დაცვით, იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რამაც შეადგინა მოსარჩელის წელთა ნამსახურობა 19 წელი, 00 თვე და 27 დღე. (პირველ ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილია ამონაწერი შრომის

ნიგნაკიდან, შს სამინისტროს სამსახურებრივი პირადი სია №56554 ა. ბ-ის შესახებ, ასევე სხვა მტკიცებულებები).

სამხედრო სამსახურში მოსამსახურის ბრძანებით ჩარიცხვის დღედ ცალსახად უნდა იქნეს მიჩნეული სუბიექტის სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის თარიღი, ანუ ის დღე, როდესაც მას მიენიჭა სპეციალური ნოდება და გახდა სამხედრო მოსამსახურე, რადგან „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე კანონმდებელი სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს ყველას ერთად განიხილავს, როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც აქვთ სამხედრო სამსახურში ამავე კანონით განსაზღვრული სამხედრო ნამსახურები წლების ზღვრული ოდენობა და სწორედ ამ ფაქტობრივი გარემოების (წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი სამხედრო სამსახურში) არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს სახელმწიფო ზემოაღნიშნული სუბიექტების და მათი ოჯახის წევრების სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლებას.

სამართლებრივი: აპელანტის განმარტებით, მართალია, სასამართლომ სწორად გამოიყენა კანონი, მაგრამ არასწორად განმარტა იგი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება.

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო, სრულად გაიზიარა და დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნებს საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით; კერძოდ, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქ-

ტობრივი გარემოება; თავის მხრივ, აპელანტმა თავის სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შეძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

კასატორი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

მონინალმდევე მხარე: ა. ბ-ე

კასაციის საგანი და მოცულობა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 23 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები/სამართლებრივი/:

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამასთან, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არასწორად განმარტა კანონი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლების თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, წელთა ნამსახურობის ათვლა უნდა დაიწყოს მოსარჩელისათვის წოდების მინიჭების დღიდან, რადგან „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ„ საქართველოს კანონის 1996 წლის 16 ოქტომბრის №430 კანონის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურის ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად დაითხოვეს თადარიგში ან გადადგა სამსახურიდან.

კასატორის შეფასებით, სასამართლომ არასწორად იმსჯელა, ა. ბ-ისათვის შინაგან საქმეთა ორგანოში ჩარიცხვის თაობაზე და არასწორად მიიჩნია 1991 წლის 13 აგვისტოს №246 ბრძანება. ა. ნ. ძე ბ-ე დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის შსს ორგანოებში 1992 წლის 16 ივლისს №246 პ/შ ბრძანებით, „საქმავზღვათეფზდაცვის“ სამმართველოს ქ. თბილისის ინსპექციაში თევზდაცვის ... თანამდებობაზე წოდების მინიჭების გარეშე,

რაც დასტურდება კასატორის მოთხოვნით. დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოგზავნილი წერილით და ბრძანების ამონაწერით, ასევე ირკვევა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება: „საქმავზღვათევზდაცვის“ სამმართველო შსს სამინისტროს დაექვემდებარებაში გადაეცა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 31 იანვრის №90 დადგენილებისა და 1992 წლის 4 თებერვლის №8 ბრძანების საფუძველზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. ბ-ე ვერანაირად ვერ იქნებოდა 1991 წლის 13 აგვისტოდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ჩარიცხული.

კასატორის განმარტებით, ა. ბ-ეს „პოლიციის რიგითის„ პირველადი წოდება მიენიჭა 1992 წლის 14 აგვისტოს №356 ბრძანებით ე.ი. „პოლიციის რიგითად“ წოდებით ჩარიცხვიდან ჩაეთვლება წელთა ნამსახურობა და არა ეკოლოგიის პოლიციაში დანიშნვიდან. შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილია 2009 წლის 31 აგვისტოს, ე.ი. წელთა ნამსახურობის ვადამ შეადგინა 17 წელი 00 თვე და 17 დღე, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გათვალისწინებით ნამსახურები შეადგენს 19 წელს, 00 თვეს და 27 დღეს, შესაბამისად, „სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონით იგი არ ექვემდებარება სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნას.

კასატორის შეფასებით, სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღე ცალსახად არის პირის სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის თარიღი ანუ ის დღე, როდესაც მას მიენიჭა სპეციალური წოდება და გახდა სამხედრო მოსამსახურე, რადგან „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, კანონმდებელი სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს ყველას ერთად განიხილავს, როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ სამხედრო სამსახურში ამავე კანონით განსაზღვრული შესაბამისი ნამსახურები წლის ზღვრული ოდენობა და სწორედ ამ ფაქტორივი გარემოების (წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი სამხედრო სამსახურში) არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს სახელმწიფო ზემოაღნიშნული სუბიექ-

ტების და მათი ოჯახის წევრების სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლებას.

სამართლებრივი: კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თაღარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონი.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებებით ა. ბ-ის წარმომადგენელმა მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

წერილობითი მოსაზრებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა მოითხოვა ასევე წერილობითი მოსაზრებით მესამე პირმა – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც პროცესუალური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სა-

მართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394-ე „ე“ მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულვებლყოფით, სასამართლო აქტი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების მიღებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე №ბს-52-52(კ-08) მ. ხ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიმართ, 2008 წლის 25 მარტის განჩინებით ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკას, რომლის მიხედვით საკასაციო სასამართლომ იმსჯელა სააპელაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით მინიჭებული კომპეტენციის კვალიფიციური გამოყენების შესახებ, კერძოდ:

სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდე-

ბულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოების გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება“.

სააპელაციო სასამართლომ რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები უკრიტიკოდ გაიზიარა და არც დაასაბუთა მათი უტყუარობა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება წარმოდგენილ

მტკიცებულებებს, საქმე არ არის სრულყოფილად შესწავლილი და გამოკვლეული, რაც არ იძლევა სამართლებრივი შეფასებების გაკეთებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

სსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, იზიარებს საკასაციო პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოთხოვნის იმ ძირითად სამართლებრივ საფუძველზე, რომელზედაც უთითებდა აპელანტი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარის უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას იმსჯელოს მხარის მიერ წამოყენებულ ძირითად არგუმენტებზე, მოახდინოს მათი სათანადო სამართლებრივი შეფასება. სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. უკანასკნელი მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების უზრუნველყოფას, განპირობებულია მხარის ინტერესით იცოდეს სახელმწიფოს სახელით გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველები, მოტივაცია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო ამონიშნავს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების ტექსტის მიხედვით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმის

გამო, რომ სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსიდან ირკვევა, რომ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ბ-ის წელთა ნამსახურობა შეადგენდა 20 წელსა და 28 დღეს და აღნიშნა, რომ მოსარჩელისათვის წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება უნდა მოხდეს ა. ბ-ის მოსამსახურის ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან 1991 წლის 13 აგვისტოდან.

სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია: „საქმავზღვა-თევზდაცვის“ ეკოლოგიის სამმართველო, სადაც მუშაობდა მოსარჩელე, როდიდან დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ყველა არსებული და საქმეში დაცული მტკიცებულებების სრულყოფილი ურთიერთშეჯერებისა და შეფასების შემდეგ უნდა მოეხდინა მოსარჩელისათვის წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება 1991 წლიდან.

სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 მუხლის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებების სრული გამოყენებით უნდა გაირკვეს თუ როდიდან დაექვემდებარა ის სამსახური, სადაც მუშაობდა მოსარჩელე შინაგან საქმეთა სამინისტროს და როდიდან გახდა მოსარჩელე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და 1996 წლის 16 ოქტომბრის „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის სუბიექტი.

ვინაიდან, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლით განსაზღვრულია საპენსიო უზრუნველყოფის მქონე პირთა წრე, კერძოდ, კანონის „დ“ პუნქტის შესაბამისად, რიგითი და უფ-

როსი შემადგენლობის პირები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, ყოფილი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის, დამოუკიდებელი თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელი სახელმწიფოების შინაგან საქმეთა ორგანოებში, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოსა და ყოფილ სსრ კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით (შეთანხმებით).

ამავე კანონის მე-11 მუხლი ადგენს სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების განმსაზღვრელ პირობებს, კერძოდ: „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ: „ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, აგრეთვე, იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იძულებით იყვნენ დათხოვნილი 1956 წელს ქართული სამხედრო შენაერთის (დივიზიის) დაშლის დროს და აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 და 10-ზე მეტი კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი; აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი“. ხოლო მე-16 მუხლში მოცემულია წელთა ნამსახურობის გადაანგარიშების წესი: „1. წელთა ნამსახურობაში პენსიის დანიშვნისათვის ჩაითვლება: საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სამსახური; სამხედრო სამსახური; შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში სამსახური; სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სამსახური; პარტიზანულ რაზმებსა და შენაერთებში სამსახური; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში მუშაობის პერიოდი – სამხედრო სამსახური ან შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოებში და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში კადრში დატოვებით; ტყვეობაში ყოფნის პერიოდი, თუ ტყვემ არ ჩაიდინა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; სასჯელის მოხდის და პატიმრობის პერიოდი, თუ სამხედრო მო-

სამსახურეები, რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირები უსაფუძვლოდ იყვნენ მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან რეპრესირებულნი. (17.06.2005 №1680)

2. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს წელთა ნამსახურობაში შეიძლება ჩაეთვალოთ სამხედრო სამსახურში ან შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურის ორგანოებში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩარიცხვამდე სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდი. 6 წლის ზემოთ სწავლის ერთი წელი ჩაეთვლება 6 თვედ.

2¹. შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილ რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლება საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სამსახური.

3. წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდი შეღავათიანი გაანგარიშებით.

4. წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან.

5. ამ კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილ პირთათვის პენსიის დასანიშნად წელთა ნამსახურობის გამოანგარიშების წესს განსაზღვრავს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო“.

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს მითითებული აქვთ, რომ აღნიშნული სამსახური 1991 წლიდან დაექვემდებარა საქართველოს შს სამინისტროს და ეწოდა „საქმავზღვათევზდაცვის ეკოლოგიის პოლიციის სამმართველო“, ხოლო საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე დართული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 31 იანვრის №90 დადგენილებით დასტურდება, რომ „საქმავზღვათევზდაცვის“ სამმართველო და საქართველოს შავი ზღვის სარენაო ნავსადგურები „პორტის კაბინეტის“ სამსახური დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს 1992 წლიდან.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის შავი ზღვის ეკონომიკური ზონის, თევზის მარაგის დაცვის, კვლავააღწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს უფროსის 1992 წლის 16 ივლისის №246 ბრძანების შესაბამისად, „ბ-ე ა. ნ.-ძე დაინიშნა „საქმავზღვათევზდაცვის“ სამმართველოს ქ. თბილისის ინსპექციაში

... ინსპექტორად მ/წლის 2 ივნისიდან ხელფასით თანახმად სამტაბო ერთეულისა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილი არ იყო, სააპელაციო სასამართლოს შეეძლო თავად მოეპოვებინა მტკიცებულებები და მათი ობიექტური, ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად მიეღო გადაწყვეტილება.

ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულებას ამონმებს, როგორც ფაქტობრივი ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. ამდენად, სააპელაციო სასამართლო საქმის გადასინჯვას ახდენს არა მხოლოდ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, არამედ სააპელაციო სასამართლოში კანონით დადგენილი წესით წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზეც. მოცემულ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს პალატა მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს იმ მტკიცებულებებზე, რომელიც კასატორმა დაურთო საკასაციო საჩივარს და დამატებით მოახდინოს მათი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ყველა გარემოება, იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, მოსთხოვოს მხარეს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, შეაფასოს საქმეზე არსებული მტკიცებულებები, სასამართლო დასკვნებში ასახოს მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების დადგენის მიზნით.

სააპელაციო სასამართლომ ყველა მტკიცებულებების გათვალისწინებით უნდა გამოიკვლიოს „საქმეზღვრავთეზდაცვის“

სამმართველოს ეკოლოგიის პოლიციის სამმართველო, სადაც 1991 წლის 13 აგვისტოს №246 ბრძანებით დაინიშნა ა. ნ. ძე ბ-ე და შესაბამისად აღნიშნული სამსახურის მოსამსახურე წარმოადგენდა თუ არა 1996 წლის 16 ოქტომბრის „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის სუბიექტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითთებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. პენსია ასაკის გამო

ასაკით პენსიის დანიშვნის საფუძველი

№ბს-381-370(კ-13)

21 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: მ. მ-ე

მოპასუხე: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ
სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სო-
ციალური მომსახურების ცენტრი

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-
ცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ
სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და 24-ე მუხლის სა-
ფუძველზე ქმედების განხორციელება.

სარჩელის საგანი:

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთა-
ლოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2012 წლის 6 ნოემ-
ბრის №03/6146 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 22
იანვრის №04/4019 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთა-
ლოს სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალოს მ. მ-ეს და-
უნიშნოს 2012 წლის 30 ოქტომბრიდან სახელმწიფო პენსია.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელე მუშაობს შპს „...“ წყალმომარაგე-
ბის დეპარტამენტის სატუმბი სადგურებისა და რეზერვუარე-
ბის განყოფილების ადგილობრივი ტუმბოების მართვის ჯგუ-
ფის ვაკე-საბურთალოს უბნის წყალსაქაჩი სადგურის ოპერა-
ტორის თანამდებობაზე.

მოსარჩელემ 2012 წლის ოქტომბერში მიმართა ვაკე-საბურ-
თალოს სოციალური მომსახურების ცენტრს საპენსიო პაკეტით

უზრუნველყოფის თაობაზე. ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის №04-02/667 გადაწყვეტილებით ეთქვა უარი.

2012 წლის 5 დეკემბერს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, პენსიის დანიშვნა და მიუღებელი პენსიის ანაზღაურება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 22 იანვრის №04/4019 გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ შპს „...“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე და 149-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება ჰქონდა დელეგირებული და აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. მ-ე, როგორც იქ დასაქმებული პირი ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე ორგანიზაციის უარი არის დაუსაბუთებელი, შპს „...“ არ არის საბიუჯეტო ორგანიზაცია და არ ახორციელებს საჯარო საქმიანობას, იგი კერძო სამართლის იურიდიული პირია.

მოსარჩელის მტკიცებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ცალსახად დასტურდება, რომ შპს „...“ არ წარმოადგენს საბიუჯეტო დაწესებულებას. იგი არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ბიუჯეტის სახსრებიდან. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით შპს „...“ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე და 149-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა, ხოლო ამავე დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ოქმის შედგენას ახორციელებენ შპს „...“ ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული პირები. მოსარჩელის განმარტებით, მას არ ჰქონდა დელეგირებული საჯარო სამართლებრივი ფუნქციები – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება. იგი არ ახორციელებდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო საქმიანობას, რის გამოც მას არ უნდა შეეზღუდოს სახელმწიფო პენსიის მიღება.

სამართლებრივი: მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-

60¹, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე და 24-ე მუხლებზე და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე.

მოპასუხეებს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო-სა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის წერილობითი შე-საგებლები არ წარმოუდგენიათ.

საქმის გარემოებები:

მ. მ-ე მუშაობს შპს „...“ წყალმომარაგების დეპარტამენტის სატუმბო სადგურებისა და რეზერვუარების განყოფილების ადგილობრივი ტუმბოების მართვის ჯგუფის ვაკე-საბურთალოს უბნის წყალსაქაჩი სადგურის ოპერატორის თანამდებობაზე.

მან 2012 წლის ოქტომბრის თვეში მიმართა ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრს საპენსიო პაკეტით უზრუნველყოფის თაობაზე. ვაკე-საბურთალოს საოციალური მომსახურების ცენტრის №04-02/667 გადაწყვეტილებით ეთქვა უარი პენსიის დანიშვნაზე.

2012 წლის 5 დეკემბერს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, პენსიის დანიშვნა და მიუღებელი პენსიის ანაზღაურება, რაზედაც 2013 წლის 22 იანვრის №04/4019 გადაწყვეტილებით ეთქვა უარი, იმ მოტივით, რომ შპს „...“ დელეგირებული ჰქონდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე და 149-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება და აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე, როგორც იქ დასაქმებული პირი ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და იყო საჯარო მოხელე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2012 წლის 6 ნოემბრის №30/6146 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 22 იანვრის №40/4019 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალა მ. მ-ეს დაუნიშ-

ნოს ასაკის საფუძვლით სახელმწიფო პენსია 2012 წლის 30 ოქტომბრიდან.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები:

მ. მ-ემ 2006 წელს დაიწყო მუშაობა შპს „თ...“, ხოლო ამჟამად მუშაობს შპს „...“ წყალმომარაგების დეპარტამენტის სატუმბო სადგურებისა და რეზერვუარების განყოფილების ადგილობრივი ტუმბოების მართვის ჯგუფის ვაკე-საბურთალოს უბნის წყალსაქაჩი სადგურის ოპერატორის თანამდებობაზე.

2012 წლის 30 ოქტომბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა მისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკის განყოფილების 2012 წლის 30 ოქტომბრის №03/6146 გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 22 იანვრის №04/4019 გადაწყვეტილებით მ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სადავო გარემოება – ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე მიიღო გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის თაობაზე, რომ სათანადოდ არ გამოუკვლევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, კერძოდ, არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ იგი არ ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ საქმიანობას და არ წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ სარჩელის განხილვის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შედეგად მიიჩნია, რომ მ. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირ-

ველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კი საჯარო სამსახური (შემდგომ – სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად: 1. პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან. 2. თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება ამ კანონითა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება, მისივე არჩევით. 3. პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კი საჯარო საქმიანობა – ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა;

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება და განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილი შპს „...“ 2012 წლის 22 ოქტომბრის №16-0093/12 ცნობით დადგენილია, რომ კომპანიას საჯარო სამართლის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით აწარმოოს საქმეები, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში აღნიშნული კომპანია ფუნქციონირებს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი ყოველგვარი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების გარეშე, არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ადმინისტრაციულ ორგანოდ არ განიხილება. შპს „...“ არ აქვს დელეგირებული ის საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება, რომელიც ზღუდავს კონკრეტული დასაქმებულისათვის – მ. მ-ისათვის გასაცემლით უზრუნველყოფის უფლებას, რადგანაც იგი არ ახორციელებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო საქმიანობას.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით

ნით, „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

აპელანტი: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

მონინალმდევე მხარე: მ. მ-ე

სარჩელზე მოპასუხე: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრი

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტს ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებული არ აქვს.

სამართლებრივი: აპელანტის მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონმა პენსიის მიღების უფლების მოპოვებისთვის აკრძალა ანაზღაურებადი საქმიანობის განევა ორი სახის დაწესებულებაში – ადმინისტრაციულ ორგანოსა და საბიუჯეტო ორგანიზაციაში.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „ს“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად „საბიუჯეტო ორგანიზაციად ითვლება მხარჯავი დაწესებულება ან/და ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების /ქვეპროგრამების ფარგლებში თანხის განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საკუთარი პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურებისა და წესების თანახმად“.

აპელანტის მტკიცებით, დასტურდება და სადავო არ არის ის ფაქტი, რომ შპს „...“ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო განმარტებულია, როგორც ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან და-

წესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. აღნიშნულის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს მიეკუთვნება არა მხოლოდ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), არამედ ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომელსაც მინიჭებული აქვს ისეთი ფუნქციის განხორციელება, რომლის შესრულება არ საჭიროებს მეორე მხარის თანხმობას და რომლის უკანაც სახელმწიფო იძულების მექანიზმი დგას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარების უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების თანახმად, შპს „...“ მიენიჭა უფლებამოსილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებთან დაკავშირებით აწარმოოს საქმეები. მითითებული ცნობის თანახმად, საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება შპს „...“ მინიჭებული აქვს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. იგი არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არ განიხილება ადმინისტრაციულ ორგანოდ.

ზემოაღნიშნული განმარტებების შესაბამისად, აპელანტის მტკიცებით, მართალია, შპს „...“ დელეგირებული აქვს საჯარო სამართლებრივი ფუნქცია კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც დამტკიცებულია ასევე დაწესებულების ცნობით, თუმცა აღნიშნული, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის თანახმად, წარმოადგენს საჯარო საქმიანობას და სახელმწიფო პენსიის დანიშნაზე უარის თქმის საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი შეპასუხებით მ. მ-მ მოითხოვა სააპელაციო საჩივრის არდაკმაყოფილება შემდეგი მოტივით: შპს „...“ არ წარმოადგენს საბიუჯეტო დაწესებულებას. იგი არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ბიუჯეტის სახსრებიდან. შპს „...“ საქართველოს

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე და 149-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა, ხოლო ამავე დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ოქმის შედგენას ახორციელებენ შპს „...“ ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული პირები. მ. მ-ეს არ აქვს დელეგირებული საჯარო სამართლებრივი ფუნქციები – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება. იგი არ ახორციელებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო საქმიანობას, რის გამოც მას არ უნდა შეეზღუდოს სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების /სარეზოლუციო ნაწილი/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ, არასწორად განმარტა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რის გამოც დაუსაბუთებლად უთხრეს უარი მოსარჩელეს ასაკის საფუძვლით სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე. სააპელაციო პალატის განმარტებით, კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის კონკრეტული საჯარო ფუნქციის განხორციელების დელეგირება არ ქმნის საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ასეთი პირი ზოგადად მიჩნეული იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოდ და მასში დასაქმებული ნებისმიერი პირის ნებისმიერი საქმიანობა მიჩნეული იქნეს საჯარო საქმიანობად.

კონკრეტულ შემთხვევაში შპს „...“ დელეგირებული აქვს საჯარო ფუნქციის განხორციელება საქართველოს ენერგეტიკი-

სა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით დამტკიცებული «ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების თანახმად და ახდენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმეების წარმოებას. აღნიშნული ფუნქციის განხორციელებისას და მის ფარგლებში შპს „...“ განიხილება ადმინისტრაციულ ორგანოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული განსაზღვრების მიხედვით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოთ აღნიშნული ნორმის შინაარსის მიხედვით საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების, რაც ზოგადად ადმინისტრაციული ორგანოების: სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირების ფუნქციებს წარმოადგენს, განხორციელება შესაძლებელია კანონის ან კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულ პირებსაც დაეკისროთ და ეს უკანასკნელნი სწორედ მათზე დაკისრებული კონკრეტული საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ფარგლებში განიხილებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად და ვალდებულნი არიან საჯარო ფუნქციის განხორციელების პროცესში გადაწყვეტილებები მიიღონ და ქმედებები განახორციელონ საჯარო კანონმდებლობით, მათ შორის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით; აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში შპს „...“ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ იმ სამართალურთიერთობაში, როდესაც ის ახდენს ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთა სანქცირებას, რადროსაც ის, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია იმოქმედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად; აღნიშნულის გარდა სხვა და კერძოდ, მოცემულ სადავო სამართალურთიერთობაში შპს „...“ განიხილვა ადმინისტრაციულ ორგანოდ, არ ეფუძნება არც ერთ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტს.

სააპელაციო პალატის შეფასებით, ვინაიდან დავა ეხება სახელმწიფო პენსიის დანიშვნას, მის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოებს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს; შესაბამისად, სასამართლოს მიერ ამ კანონის ყველა ნორმა განმარტებული უნდა იქნეს ტერმინთა განმარტების შესახებ ამავე კანონის მე-4 მუხლში მოცემული მნიშვნელობით, ამავე კანონის მიზნებთან შესაბამისობაში.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე პენსიის ადმინისტრირების ორგანომ პენსიის დანიშვნაზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დაადგინოს პენსიის დანიშვნის მომთხოვნი პირი ახორციელებს თუ არა საჯარო საქმიანობას; ამასთან, მან პირის მიერ განხორციელებული საქმიანობის საჯარო საქმიანობად შეფასებისას უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული განსაზღვრებით, რომლის მიხედვით საჯარო საქმიანობად მიიჩნევა ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა.

სააპელაციო პალატის მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ერთ სამართლებრივ რეჟიმში მოექცა ადმინისტრაციული ორგანო, როგორც იმავდროულად საბიუჯეტო ორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციებიც, თუ მათი დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი და შესაბამისად განიხილებიან საბიუჯეტო ორგანიზაციებად; სააპელაციო პალატის განმარტებით, აღნიშნული ნორმით მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთათვის დაწესდა შეზღუდვა პენსიის გაცემაზე იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს ერთდროულად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო გასაცემლის და შრომის ანაზღაურების გაცემა, თუ ეს კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული (მაგ. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა) და რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვე-

პუნქტის შინაარსის მიხედვით პირზე „სახელმწიფო პენსიის შე-სახეობ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით და-წესებული აკრძალვის გავრცელების საფუძველია ის გარემოე-ბა, რომ აღნიშნული პირის საჯარო საქმიანობა უნდა ხორციელ-დებოდეს საბიუჯეტო ორგანიზაციაში და ამ საქმიანობისათ-ვის მისი ანაზღაურების წყარო უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯე-ტი, ანუ პენსიის გაცემაზე უარის თქმისათვის განმსაზღვრელი ფაქტორია ის გარემოება, რომ პირის საჯარო საქმიანობა ხორ-ციელდება საბიუჯეტო დაწესებულებაში და, შესაბამისად, ეს საქმიანობა ანაზღაურებადია სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ, მი-უხედავად იმისა, ეს საბიუჯეტო დაწესებულება ადმინისტრა-ციული ორგანოა თუ კერძო სანარმო დელეგირებული ფუნქცი-ების ფარგლებში, თუ სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაა.

კასატორი: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

მონინალმდგე მხარე: მ. მ-ე

სარჩელზე მოპასუხე: სსიპ სოციალური მომსახურების სა-აგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენ-ტრი.

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკ-მაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი საკასაციო საჩივარს ამყარებს ძირითადად იმავე მოტივებზე, რაზეც მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-საშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვე-პუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებო-ბის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსოლუტური კასაცია.

სამოტივაციო წანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკა-საციო საჩივრების მოტივების შესწავლა-გაანალიზებისა და გა-საჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შე-მონშების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ სოცია-ლური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საა-

პელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას, სასამართლოს არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სადავო სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა მატერიალური სამართლის ნორმა და დავა გადაწყვიტა მოქმედი კანონმდებლობის ნორმების სწორი განმარტების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური კასაციის წანამძღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი. სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ იმსჯელოს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის – სოციალური დაცვის სამართლის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინის „საჯარო საქმიანობის“ მნიშვნელობაზე, შესაბამისად, განმარტოს ტერმინის დეფინიცია საჯარო-სამართლებრივი მიზნის კონტექსტში.

საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს რამდენად კანონშესაბამისად ხდება ადმინისტრაციული ორგანოების, როგორც ნორმათშემფარდებელი ორგანოების მხრიდან საჯარო საქმიანობის განხორციელების ცნების სწორი გაგება-გამოყენება.

აღნიშნული განმარტება თავის მხრივ, საჭიროებს საჯარო საქმიანობის განმხორციელებელი პირის სამართლებრივი როლისა და სტატუსის განმარტებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მიერ სამართლებრივი ცნების ერთგვაროვანი გამოყენება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პენსიაზე უფლება პირის სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება და კონსტიტუციური რანგისაა, შესაბამისად, სახელმწიფომ, მისი ორგანოების სახით უნდა უზრუნველყოს იმგვარი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის უფლებათა ეფექტიან რეალიზაციას და ამავედროულად მიიღოს სათანადო ზომები უფ-

ლების შესაძლო დარღვევის პრევენციის მოხდენით.

განსახილველ დავაში პირის უფლება სოციალურ დაცვაზე ვერ განხორციელდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლის ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის გამო, რაც საკასაციო სასამართლოს მხრიდან მაუნიციპალიტეტული განმარტების მოხდენას მოითხოვს.

სსსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. მ-ემ 2006 წელს დაინყო მუშაობა შპს „თ...“, ხოლო ამჟამად მუშაობს შპს „...“ წყალმომარაგების დეპარტამენტის სატუმბო სადგურების და რეზერვუარების განყოფილების ადგილობრივი ტუმბოების მართვის ჯგუფის ვაკე-საბურთალოს უბნის წყალსაქაჩი სადგურის ოპერატორის თანამდებობაზე.

იგი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს ასაკის საფუძვლით სახელმწიფო პენსიით უზრუნველსაყოფ პირს.

მ. მ-ის განცხადებაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკის განყოფილების 2012 წლის 30 ოქტომბრის №03/6146 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ, იმ საფუძვლით, რომ იგი ახორციელებდა საჯარო საქმიანობას.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 22 იანვრის №04/4019 გადაწყვეტილებით მ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სარჩელის საგანს წარმოადგენს: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2012 წლის 6 ნოემბრის №03/6146 გადაწყვეტილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 22 იანვრის №04/4019 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე, მისი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელე მ. მ-ეს ასაკის საფუძვლით სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარი ეთქვა, იმ მოტივით, რომ იგი იყო საჯარო მოხელე, გამომდინარე იქედან, რომ შპს „...“ მინიჭებული ჰქონდა ადმინისტრაციულ სამართალ-

დარღვევათა კოდექსის 96¹-ე და 149-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საქმეების წარმოების უფლებამოსილება და, შესაბამისად, შპს „...“ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის“ შესახებ, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად წესებს. მითითებული კანონის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა, საყოველთაობა, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია და ა.შ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის 1-ლი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით უფლებას, ხოლო მე-2 ნაწილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულთა მიერ სოციალური დაცვით უფლებით რაც შეიძლება დიდხანს სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ვალდებულებას იღებს უზრუნველყონ ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოებრივ სრულფასოვან წევრებად, რაც შეიძლება მეტი ხნით, რაც მაგალითად, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოიხატება, სათანადო სახსრების გამოყოფით, რაც საშუალებას მისცემს მათ იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ბს-314-297(კ-07) შ. შ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ, მესამე პირის – სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მონაწილეობით, განმარტა:

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-9 მუხლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე. ადამიანის უფლებათა სა-

ყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავი განსაზღვრავს პენსიის დანიშვნის წესსა და პირობებს, ამავე კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკი, კერძოდ, მამაკაცებისათვის – 65 წელი, ხოლო ქალებისათვის – 60 წელი, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კი პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპენსიო ასაკის პირისთვის პენსიის უფლების წარმოშობის ან წარმოშობილი უფლების შეწყვეტის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელება. საჯარო საქმიანობის ცნებას განსაზღვრავს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-4 მუხლის შესაბამისად: საჯარო საქმიანობა არის ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ხასიათის საქმიანობისა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული სამართალურთიერთობის საკვანძო საკითხს წარმოადგენს კანონის მიზნის გარკვევა. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით ტერმინი „პენსია“ დეფინირებულია შემდეგნაირად: პირისთვის ამ კანონის შესაბამისად დანიშნული ყოველთვიური ფულადი

სარგებლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ერთობლიობა. საპენსიო უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება, რის გამოც მას სახელმწიფო პენსიის სტატუსი გააჩნია. საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა და პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ მოხდეს ორი ფულადი გასაცემლის გაცემა, შესაბამისად, სახელმწიფო პენსიის მიღების გამომრიცხველი ფაქტორია, თუ პირი არის საჯარო საქმიანობის განმხორციელებელი, რაც ნიშნავს, რომ პენსიის დანიშვნის მოთხოვნის მომენტში პირი იმავდროულად არ უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხელფასის მიმღები სუბიექტი (რაც გამორიცხავს სახელმწიფო დაფინანსებით ერთდროულად ხელფასისა და პენსიის მიღების შესაძლებლობას).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის გ) ქვეპუნქტის დადგენის მიზანი სწორედ საბიუჯეტო სახსრებიდან პირისთვის ორი სახის გასაცემლის დაუშვებლობის პრინციპს ემსახურება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დეფინირებული ტერმინის – „ადმინისტრაციული ორგანო“ საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, ადმინისტრაციული ორგანოს ცნების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია მისი ფუნქციონალური გაგება. ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია ორი ნაწილისგან შედგება. დეფინიციის პირველი ნაწილი მოიცავს ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, აგრეთვე – საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, როდესაც ეს სუბიექტები ასრულებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს, ისინი წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გაგებით. არსებითი არ არის ხელისუფლების რომელი შტოს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ესა თუ ის ორგანო, არამედ მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა ფუნქციის განხორციელება გულისხმობს საქმიანობას, რომელიც არ არის კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელება, პოლიტიკური გადაწყვეტილებები, საეკლესიო საქმიანობა, კანონშემოქმედება და მართლმსაჯულება.

ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც ცნების დეფინიციის მეორე ნაწილშია მოცემული, აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა

სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებებს და ამ მიზნით გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. „ნებისმიერ სხვა პირში“ იგულისხმება როგორც კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირები, ასევე საწარმოები (მაგ. შპს, სს), კერძო სამართლის იურიდიულ პირს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება შეიძლება დაეკისროს დელეგირებით ანუ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ უფლებამოსილების გადაცემის საფუძველზე. კერძო სამართლის იურიდიული პირები არ არიან უფლებამოსილი გამოიყენონ საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმები, თუმცა კანონის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია აღჭურვოს ეს პირები საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით, თუ იგი მოითხოვს რაიმე სპეციალურ ცოდნას. სწორედ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში კერძო სამართლის იურიდიული პირები განიხილებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად და ამ დროს არიან ვალდებული მიიღონ გადაწყვეტილებები ან განახორციელონ ქმედებები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, შპს „...“ არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, მაგრამ როგორც საქმეში წარმოდგენილი შპს „...ს“ ადამიანთა რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მომხმარებლისა და წყალანიერების ქსელით უკანონო სარგებლობისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებითი აღსრულების წესების“ თანახმად, შპს „...“ მიენიჭა უფლებამოსილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით აწარმოოს საქმეები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „...“ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მხოლოდ ზემოაღნიშნულ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ სამართალდარღვევების გამოვლენისა და შემდგომ დაჯარიმების სა-

კითხში, ხოლო, სხვა ყველა შემთხვევაში იურიდიული კომპანია ფუნქციონირებს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, სამენარმეო სუბიექტი. ამასთან, შპს „...“ არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამავე ცნობით დასტურდება, რომ მოსარჩელე მ. მ-ე მუშაობდა შპს „...“ წყალმომარაგების დეპარტამენტის სატუმბო სადგურების და რეზერვუარების განყოფილების ადგილობრივი ტუმბოების მართვის ჯგუფის ვაკე-საბურთალოს უბნის წყალსაქაჩი სადგურის ოპერატორის თანამდებობაზე. საკასაციო სასამართლო იზიარებს, ქვედგომი სასამართლოების შეფასებას იმასთან მიმართებაში, რომ შპს „...“ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ იმ სამართალურთიერთობაში, როდესაც ის ახდენს სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალანირების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სანქცირებას, რა დროსაც ის, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია იმოქმედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ხოლო სხვა, კერძოდ, მოცემულ სამართალურთიერთობაში შპს „...“ განხილვა ადმინისტრაციულ ორგანოდ არ ეფუძნება არც ერთ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მ. მ-ის მიმართ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დაწესებული აკრძალვის გავრცელება არის უკანონო, ვინაიდან მ. მ-ე შპს „...“ არ ახორციელებდა საჯარო ფუნქციას, მას არ ევალებოდა სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალანირების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სანქცირება, რომლის განხორციელების დროსაც შპს „...“ დელეგირებული აქვს საჯაროსამართლებრივი ფუნქციის განხორციელება და ამ შემთხვევაში მიიჩნევა ადმინისტრაციულ ორგანოდ.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კანონმდებელმა პენსიის შეწყვეტის ან მასზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა, საჯარო საქმიანობა არა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც თავისთავად წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას, არამედ სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად, მოქმედებს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების საფუძველზე ანუ იგი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ შპს „...“ არ წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზა-

ციას, იგი არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დაწესებული აკრძალვა უნდა გავრცელდეს იმ პირზე, რომელიც ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას, იმ დაწესებულებაში, რომელიც წარმოადგენს საჯარო უფლებამოსილების განმხორციელებელ სახელმწიფო ორგანოს და ამავდროულად იგი უნდა იყოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება.

განსახილველ შემთხვევაში, მ. მ-ის მიმართ არ არსებობს არც ერთი გამომრიცხველი ფაქტორი, იგი პენსიის მოთხოვნის მომენტში არ არის საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი პირი, შესაბამისად, მის მიმართ ამ კანონისმიერი დათქმის საფუძველზე პენსიის დანიშვნაზე უარი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, რასაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების საფუძველზე ქვემდგომმა სასამართლოებმა მისცეს სწორი სამართლებრივი შეფასება და დავა გადაწყვიტეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორი შეფასება მისცეს საქმის მასალებს, სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმატიულ ბაზას და კანონიერად და ობიექტურად გადაწყვიტეს დავა, შესაბამისად არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები.

ამასთან, სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხე – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 390-ე და 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო სა-

ჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ივნისის განჩინება;

3. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ასაკით პენსიის დანიშვნის საფუძველი

განჩინება

№ბს-354-344(კ-13)

17 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალეზა.

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 14 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ზ. ნ-ემ მოპასუხეების სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა მოსარჩელისათვის ასაკით პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2012 წლის 29 აგვისტოს №04-03/3852 აქტისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურე-

ბის სააგენტოს 2012 წლის 10 დეკემბრის №04/77326 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის დავალება მოსარჩელეს 2012 წლის 22 ივნისიდან დაუნიშნოს ასაკით პენსია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით ზ. წის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე, კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს საპენსიო ასაკს მიღწეულ პირს, რომელიც დასაქმებულია აიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ ... ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე და იმავდროულად არის ... დეპარტამენტის სრული პროფესორი. დაფინანსება ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან. სასამართლომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული 2012 წლის 25 აპრილის №04-01/27973 წერილსა და 2013 წლის 7 თებერვლის №04-02/8307 წერილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ა(ა)იპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას.

პირველი ინსტანციის მოსაზრებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მიზნებისათვის, სახელმწიფო პენსიის დანიშვნა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ პირი ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა, ადმინისტრაციულ ორგანოში, ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში. ასევე მიუთითებს იმ გარემოებას, რომ კანონმდებელმა აკრძალა ანაზღაურებადი საქმიანობის განევა ორი სახის დაწესებულებაში – ადმინისტრაციულ ორგანოში და საბიუჯეტო ორგანიზაციაში (მართალია საბიუჯეტო ორგანიზაცია ძირითადად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, მაგრამ კანონმდებლის მიერ დამატებით განისაზღვრა ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელება არაადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას).

სასამართლომ მიუთითა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციის განმარტებას იძლევა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 31-ე მუხლი. აღნიშნული განმარტებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციად ითვლება: „მხარჯავი დაწესებულება (ანუ ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია) ან/და ბიუ-

ჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში თანხის განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურებისა და წესების თანახმად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბერის №215/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ წესდების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეკანი და მათი მოადგილეები, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი, ამავე წესდების მე-20 მუხლის შესაბამისად 1. დეკანს, აკადემიური საბჭოს წარდგინებით, თანამდებობაზე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. 2. დეკანი აირჩევა 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. 3. დეკანის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით, რომელსაც შეიმუშავენ და ამტკიცებენ აკადემიური საბჭო.

სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ცალსახად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიეკუთვნება არამართო სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), არამედ ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომელსაც მინიჭებული აქვს ისეთი ფუნქციის განხორციელება, რომლის შესრულება არ საჭიროებს მეორე მხარის თანხმობას და რომლის უკანაც სახელმწიფო იძულების მექანიზმი დგას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ და მიუთითა, რომ ვინაიდან დღეის მდგომარეობით მოსარჩელე ზ.წ-ე დასაქმებული არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დე-

კანის თანამდებობაზე და უკავია ადმინისტრაციული თანამდებობა და იმავდროულად არის ... დეპარტამენტის სრული პროფესორი და მოსარჩელე ეწევა საჯარო საქმიანობას და მუშაობის პერიოდში „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ასაკით პენსიის მიღების უფლებას ვერ მოიპოვებდა. შესაბამისად, სოციალური მომსახურების სააგენტო დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრმა 2012 წლის 29 აგვისტოს №04-03/3852 გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელეს ასაკით პენსიის დანიშვნის თაობაზე, რაც ასევე კანონიერად იქნა მიჩნეული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 10 დეკემბრის №04/77326 გადაწყვეტილებით.

სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ცალსახად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №215/ნ ბრძანებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დელეგირებული აქვს საჯარო სამართლებრივი ფუნქციები და, შესაბამისად, მოსარჩელე ეწევა საჯარო საქმიანობას, რაც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, საქართველოს კანონის მიხედვით წარმოადგენს „საჯარო საქმიანობას“, რაც სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ნ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2012 წლის 29 აგვისტოს №04-03/3852 აქტი და სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 10 დეკემბრის №04/77326 გადაწყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

დიდუბე-ჩულურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს და-
ევალა გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტი ზ. ნ-ის მიმართ, ასაკის საფუძველით სახელმწი-
ფო პენსიის დანიშვნის შესახებ, პენსიის დასანიშნად მიმართვის
დღიდან.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელეს არ დაე-
ნიშნა ასაკის საფუძველით პენსია, ვინაიდან ადმინისტრაციულ-
მა ორგანომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე სამეცნიერო მოღვაწეო-
ბასთან ერთად, ახორციელებს საჯარო საქმიანობას; შესაბამი-
სად, დავის გადასაწყვეტად პალატის მოსაზრებით, მნიშვნე-
ლოვანია იმ გარემოების შეფასება მოსარჩელის საქმიანობა აიპ
„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში“ დეკანის თანამდე-
ბობაზე წარმოადგენს თუ არა ისეთ საჯარო საქმიანობას, რაც
გამორიცხავს პენსიის მიღების უფლების რეალიზაციის შესაძ-
ლებლობას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შე-
სახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე, რომლის თანახ-
მად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო
ასაკის მიღწევა; ამასთანავე, ამავე მუხლით დადგენილია, რომ
პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება
შენწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების
პერიოდში; სააპელაციო პალატის მითითებით, იმის განმარტე-
ბა, თუ ამ კანონის მიზნებისათვის რა მიიჩნევა ისეთ საჯარო
საქმიანობად, რომელიც გამორიცხავს პენსიის მიღების შესაძ-
ლებლობას, მოცემულია ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვე-
პუნქტში, რომლის მიხედვით საჯარო საქმიანობაა ადმინისტრა-
ციულ ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორ-
ციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო-
საგანმანათლებლო საქმიანობისა. შესაბამისად, სააპელაციო
პალატის მოსაზრებით, პირს პენსიაზე უფლება არ წარმოეშობა
საპენსიო ასაკის მიღწევის მიუხედავად, თუ ის დასაქმებულია
საბიუჯეტო დაწესებულებაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოქმედი კანონ-
მდებლობის შესაბამისად, საბიუჯეტო დაწესებულებაა ის და-
წესებულება, რომლის საქმიანობაც მთლიანად ან ნაწილობრივ
ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ასეთი შეიძლება იყოს
არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანო, არამედ სხვა საწარ-
მო, დაწესებულება თუ ორგანიზაცია, რომელიც დელეგირების
საფუძველზე ახორციელებს საჯარო ფუნქციებს და იმყოფება
ბიუჯეტის დაფინანსებაზე. შესაბამისად, პენსიის უფლება და-

მოკიდებული არ არის იმაზე, დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანოა, თუ კერძო სანარმოა დელეგირებული საჯარო ფუნქციებით, ან იმაზე, რა სახის საჯარო ფუნქციებს ახორციელებს საპენსიო ასაკს მიღწეული პირი ამ დაწესებულებაში, არამედ ის დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ რა სახსრებია საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი პირის ხელფასის დაფინანსების წყარო, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კანონმდებელი პენსიასთან შეუთავსებლად მიიჩნევს საბიუჯეტო დაწესებულებაში „ანაზღაურებად საქმიანობას“ და არა მხოლოდ საჯარო საქმიანობას, რომელიც შეიძლება ხორციელდებოდეს არასაბიუჯეტო დაწესებულებაშიც დელეგირების საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ პენსიის მომთხოვნი პირი კარგავს პენსიის მიღების უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი საჯარო საქმიანობისათვის ხელფასის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი დაფინანსება ხორციელდება სამეცნიერო ან პედაგოგიური საქმიანობისათვის.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ დავაში ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ა(ა)იპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, სადაც საჯარო საქმიანობას ეწევა მოსარჩელე, მართალია, სახელმწიფოსაგან დელეგირების საფუძველზე ახორციელებს საჯარო ფუნქციებს, მაგრამ ამ ფუნქციების განსახორციელებლად დაფინანსებას არ იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან; კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ აიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ მიერ გაცემულ ცნობაზე, რომლის შესაბამისად, მოსარჩელის ხელფასის დაფინანსება დეკანის თანამდებობაზე ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სახეზეა ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის უფლებას, მიიღოს პენსია ასაკის საფუძველით საჯარო საქმიანობის განხორციელების პირობებშიც.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სახეზეა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული, სადავო აქტების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2012 წლის 29 აგვის-

ტოს №04-03/3852 და სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 10 დეკემბრის №04/77326 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრისათვის ქმედების განხორციელების დავალების წინაპირობები.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. კასატორმა აღნიშნა, რომ ის დაწესებულება, სადაც მოსარჩელეა დასაქმებული, წარმოადგენს საბიუჯეტო დაწესებულებას, თანახმად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „რ“ ქვეპუნქტებისა. ამასთანავე, თუ პირს ერთდროულად პედაგოგიურ ან სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, იმავე ან სხვა დაწესებულებაში უკავია ადმინისტრაციული თანამდებობა ან ეწევა სხვა საჯარო საქმიანობას, მოქმედი კანონმდებლობით, მუშაობის პერიოდში მოკლებულია პენსიის მიღების შესაძლებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში დაცული მასალებით დადგენილია, რომ ზ. ნ-ე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრისათვის მიმართვის მომენტისათვის არის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საპენსიო ასაკს მიღწეული პირი, საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ იგი მუშაობს ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ... ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე და ... დეპარტამენტში სრულ პროფესორად.

მოსარჩელის მიერ პენსიის დანიშვნის მოთხოვნის მომენტისათვის (2012 წლის 22 ივნისი) მოქმედი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პენსიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმო-

შობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. ამასთანავე, ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით საჯარო საქმიანობა არის ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში 01.11.2013წ. №1490 კანონით შეტანილი ცვლილებებით აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით, საჯარო საქმიანობა არის საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა, რომლის შესახებ ინფორმაციას კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; კანონის აღნიშნული რედაქცია ამოქმედდა 2013 წლის 1 დეკემბრიდან.

კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სარჩელის საგანს წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2012 წლის 29 აგვისტოს №04-03/3852 გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ასევე მოპასუხის დავალდებულება ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ზ. წ-ის მიმართ ასაკის საფუძვლით სახელმწიფო პენსიის დანიშვნა. ამასთან, როგორც მხარეებმა საკასაციო სასამართლოს სხდომებზე დაადასტურეს სადავო სამართალურთიერთობა მოიცავს 2012 წლის ივლისიდან ახალ 01.11.2013წ. №1490 საკანონმდებლო ცვლილებამდე არსებულ პერიოდს, შესაბამისად, დავის სწორად გადაწყვეტა საჭიროებს მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მიმართვის დროს მასში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე მოქმედი ნორმების სწორ განმარტებას.

როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე მისი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზ. ნ-ეს ასაკის გამო სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციაში დასაქმებულ პირს, რომელიც ეწევა ადმინისტრაციულ ფუნქციებს და ახორციელებს საჯარო საქმიანობას, შესაბამისად, იგი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით პენსიის მიღებაზე უფლებამოსილ პირს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის პენსიის დანიშვნის მოთხოვნით მიმართვის მომენტში მოქმედ რედაქციას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული კანონის მიზნებისათვის კანონმდებელმა პენსიის მიღებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნია საპენსიო ასაკს მიღწეული პირი, რომელიც ეწევა საჯარო საქმიანობას. ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტმა ამ კანონის მიზნებისათვის განმარტა საჯარო საქმიანობის ცნება და გარდა სამეცნიერო საგანმანათლებლო საქმიანობისა, ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა ჩათვალა პენსიის დანიშვნასთან შეუთავსებელ საქმიანობად. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მესამე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობა არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სამეცნიერო-კვლევით, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ, უმაღლეს, სკოლისგარეშე, საალმზრდელ საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებაში სამეცნიერო ან პედაგოგიურ თანამდებობაზე მუშაობა. ამდენად, საჯარო საქმიანობის განხორციელების ცნების სწორი გაგება საჭიროებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის ნორმების ტელეოლოგიურ განმარტებას, რათა გარკვეულ იქნეს კანონის ობიექტური მიზანი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 21 იანვრის განჩინებაში საქმეზე №ბს-381-370(კ-13) განმარტა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით ტერმინი „პენსია“ დეფინირებულია შემდეგნაირად: პირისთვის ამ კანონის შესაბამისად დანიშნული ყოველთვიური ფულადი სარგებლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ერთობლიობა. საპენსიო უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება, რის გამოც მას

სახელმწიფო პენსიის სტატუსი გააჩნია. საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა და პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ მოხდეს ორი ფულადი გასაცემლის გაცემა, შესაბამისად, სახელმწიფო პენსიის მიღების გამომრიცხველი ფაქტორია, თუ პირი არის საჯარო საქმიანობის განმხორციელებელი, რაც ნიშნავს, რომ პენსიის დანიშვნის მოთხოვნის მომენტში პირი იმავდროულად არ უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხელფასის მიმღები სუბიექტი (რაც გამორიცხავს სახელმწიფო დაფინანსებით ერთდროულად ხელფასისა და პენსიის მიღების შესაძლებლობას)“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დადგენის მიზანს სწორედ ის წარმოადგენდა, რომ არ განხორციელებულიყო საბიუჯეტო სახსრებიდან პირისთვის ორი სახის გასაცემლის გაცემა, რაც გამოიხატა ამკრძალავი ნორმის დადგენაში ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ იმ საპენსიო ასაკს მიღწეული პირების მიმართ, რომელთა ხელფასის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. ამდენად, კანონმდებელმა პენსიასთან შეუთავსებლად საბიუჯეტო დაწესებულებაში „ანაზღაურებადი საქმიანობა“ მიიჩნია და არა მხოლოდ საჯარო საქმიანობა, რომელიც ამ კანონისა და ზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეიძლება ხორციელდებოდეს არასაბიუჯეტო დაწესებულებაშიც დელეგირების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონკრეტულ დავაში მნიშვნელოვანია გაირკვეს მოსარჩელის ხელფასის ფორმირების წყარო, რამდენადაც სწორედ კანონის მიზნებიდან გამომდინარე ეს განაპირობებს პენსიის მიღების უფლების არსებობა-არარსებობის საკითხს და არა მხოლოდ ის გარემოება, მოსარჩელე დასაქმებულია თუ არა საბიუჯეტო დაწესებულებაში. ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2013 წლის 19 თებერვლის №74-01-309/01-25 ცნობის თანახმად, ზ. წ-ე მუშაობს ა(აიპ) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ... დეკანის და ... დეპარტამენტის სრული პროფესორის თანამდებობაზე. დაფინანსება ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან. ამდენად, მიუხედავად მოსარჩელის საბიუჯეტო ორგანიზაციაში დასაქმებისა, მისი ხელფასი არ ფინანსდება საბიუჯეტო სახსრებიდან, შესაბამისად არ არსებობს არც ფაქტობრივი და არც სა-

მართლებრივი წანამძღვრები იმისათვის, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვას ასაკის საფუძვლით სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დაწესებული აკრძალვა არ უნდა გავრცელდეს მოსარჩელეზე, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, იგი პენსიის მოთხოვნის მომენტში არ არის საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი პირი, შესაბამისად, მის მიმართ ამ კანონისმიერი დათქმის საფუძველზე პენსიის დანიშვნაზე უარი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, რასაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება და დავა გადაწყვიტა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას არ დაურღვევია პროცესუალური და მატერიალური სამართლის ნორმები, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპელი

1. სარჩოს დაკისრება	
მარჩენალის გარდაცვალების გამო ყოველთვიური სარჩოს ოდენობის განსაზღვრა	3
ჯანმრთელობის დაზიანების გამო სარჩოს დაკისრების საფუძველი	29
2. კომპენსაციის ანაზღაურება	
სარეიტინგო ქულების კანონიერება	48
ერთჯერადი კომპენსაციის დაკისრების საფუძველი	57
მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურება	66
ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძველი	85
სამხედრო მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება	96
3. პენსია ასაკის გამო	
ასაკით პენსიის დანიშვნის საფუძველი	116; 135